შავი ვარდი

ალექსანდრე
იასაღაშვილი

ალექსანდრე იასაღაშვილი

შავი ვარდი

მკითხველთა ლიგა

სარჩევი

თავი I 4

თავი II 12

თავი III 22

თავი IV 29

თავი V 37

თავი VI 40

თავი VII 53

თავი VIII 55

თავი IX 57

თავი X 66

თავი XI 70

თავი XII 74

თავი XIII 77

თავი XIV 85

თავი I

უცნაური ღამე იყო, გემი მძლავრი მკერდით მიაპობდა ზღვის მოლივლივე ტალღებს, მთვარის შუქის ანარეკლი ზოლად გასდევდა წყალს და სადღაც შორეთში იკარგებოდა, მსუბუქი ნიავი ნაზად უსალბუნებდა გემბანზე გამოფენილ მგზავრთა სახეებს, უცნაური მყუდროება იდგა, თითქოსდა რაღაც ავის მომასწავებელი.

ღრუბელი მოულოდნელად წამოვიდა და მთვარეს გადაეფარა; ოდნავ წამოწინწკლა. ქარმა დაბერა, ზღვა აქოჩრა და ააბობოქრა. მგზავრების უმრავლესობამ კაიუტებს მიაშურა.

მალხაზიც შემობრუნდა.

მის წინ ზორბა მეზღვაურმა გაიარა და ღიმილით შეხედა ჭაბუკს.

— ხომ არ შეგეშინდათ, ახალგაზრდავ, ღელვა რომ დაიწყო? რას იზამ, ასეთია ჩვენი შავი ზღვა, ცვალებადია ქალის გულივით.

მალხაზს, მართალია, ქალის გულის ცვალებადობისა ჯერ არაფერი გაეგებოდა, მაგრამ აღელვებული ზღვით კი ვერ გააკვირვებდი. მისი საყვარელი პაპა, დამსახურებული პედაგოგი ნაზიმ ზოიძე ბათუმში ცხოვრობდა, საკუთარ სახლში, ზედ ზღვის პირას. ყოველი წლის ზაფხულში, როგორც კი არდადეგები დაიწყებოდა, მალხაზი მისი სტუმარი იყო და შემოდგომამდე იხვივით სულ წყალში ჭყუმპალაობდა.

ზღვამ გამოაწრთო მისი ნებისყოფა და ჩინებული ცურვაც ასწავლა, ახლაც, ამ წუთშიც, ზღვიდან ბრუნდებოდა მამამისი, სახელგანთქმული მეცნიერი, პავლე ნაპირელი. ყირიმში ისვენებდა ცოლ-შვილით.

ბათუმამდე კარგა მანძილი კიდევ რჩებოდა და ჭაბუკი საყვარელ პაპასთან შეხვედრაზე და ნაცნობ ადგილებზე ფიქრობდა.

ამ ფიქრშივე წამოეპარა უეცარი ღელვა.

გვერდით დარდიმანდულად ჩავლილ, თავდაჯერებულ მეზღვაურს თვალი გაადევნა და წასვლა დააპირა, ის იყო, ორი-სამი ნაბიჯი გადადგა, რომ უცებ გემბანს დამცხრალი ვეება ტალღის ხმაურს ვიღაცის განწირული კივილი შეერია. მალზახი მოულოდნელად ადგილზე გაშეშდა, მერე რამდენიმე ნახტომით გაჩნდა გემბანის მეორე მხარეს და ზღვას გადახედა. ვერა გაარჩია რა სიბნელეში. არც არაფერი ესმოდა ჯოჯოხეთურ ხმაურში, მაგრამ ალღოთი იგრძნო, რომ დაბლა, წყალში ვიღაც ფართხალებდა და შველას ითხოვდა.

მალხაზმა უმალ გაიძრო ტანზევით და ზღვაში გადაეშვა.

კივილი ახლახან ჩავლილ მეზღვაურსაც შეესმა, წამსვე ისიც გემბანის იმ მხარეს გაჩნდა და თვალი მოჰკრა, თუ როგორ გადახტა ჭაბუკი ზღვაში.

რაკი განწირულთან მშველელი დაიგულა, მეზღვაურმა გემის კაპიტანს მიაშურა და მოახსენა, რომ უბედური შემთხვევა მოხდა.

კაპიტანმა გემი გააჩერა, ატყდა განგაში, ზღვაში ნავი ჩაუშვეს — ირგვლივ უკუნეთი სიბნელე იწვა. ტალღები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ და ღრიალით აყრუებდნენ იქაურობას. ანაზდად წყვდიადი გემიდან გატყორცნილმა შუქის ნაკადმა გაჰკვეთა.

მალხაზმა შუქზე შეამჩნია მოფართხალე ადამიანი, მაგრამ, სანამ იმ ადგილს მიაღწევდა, განწირული ტალღებმა ჩაყლაპეს. მშველელმა ჩაიყურყუმელავა. რამდენჯერმე გაუცრუვდა ცდა, ბოლოს ბედმა გაუღიმა. მესამედ რომ დაყვინთა, ადამიანის სხეულს შეეხო და ზღვის ზედაპირზე ამოათრია.

— ეჰეი... — მოესმა ნავიდან.

— აქეთ, აქეთ, — შეჰყვირა მალხაზმა, მაგრამ ხმა ისე ჰქონდა ჩახრინწული, რომ მენავეებს ვერ მიაწვდინა. მაინც მოეცა გული. აღარ ეშინოდა, მიხვდა, რომ გემი გაჩერდა და მაშველი ნავი გამოაგზავნეს.

განგაშის ხმაზე მგზავრებმა გემბანზე მოიყარეს თავი, პროჟექტორის შუქზე ხედავდნენ, თუ როგორ ებრძოდა ქანცგაწყვეტილი ჭაბუკი ცალი ხელით გააფთრებულ ტალღებს. გამამხნევებელი ყვირილით აქეზებდნენ. ეს შეძახილები, რომლებიც ტალღების ღრიალსაც კი სძალავდა, მართლაც ძალ-ღონეს უორკეცებდა ზღვასთან მებრძოლს.

— ეჰეი... — უფრო ახლოდან მოესმა ძახილი.

— აქეთ, აქეთ, — მთელი ძალები დაძაბა, ისე შეჰყვირა და ამჯერად, როგორც იყო, ხმაც მიაწვდინა. ნავი მისკენ გამოეშურა. მალხაზს ღონე აღარ ჰყოფნიდა, ძლივსღა უსვამდა მკლავს.

სულზე მოუსწრო ნავმა.

ზღვაში გადავარდნილი ახალგაზრდა ქალი აღმოჩნდა, სიცოცხლის ნიშან-წყალი თითქმის აღარ ეტყობოდა, არც მალხაზს დაყროდა ხეირი, მასაც ბლომად ეყლაპა მლაშე წყალი.

გემზე რომ განგაში ატყდა, აფორიაქებულ მგზავრებს კაიუტიდან ფატი და პავლეც ამოჰყვნენ გემბანზე, ისინი აზვირთებულ ზღვას გაჰყურებდნენ, თუ როგორ ებრძოდა ტალღებს ვიღაც. ფატის გული უკ-

ვნესოდა, ვიშვიშებდა, საბრალო დედას აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ტალღებთან მებრძოლი, უკვე ღონემიხდილი კაცი მისი შვილი იყო.

გემბანზე ამოყვანისთანავე მეზღვაურებმა საექიმო პუნქტისკენ გააქანეს ორივე.

ექიმმა დაუყოვნებლივ აღმოუჩინა პირველი დახმარება, ქალს ნაყლაპი წყალი ამოანთხევინა, ხელოვნური სუნთქვა დააწყებინა და მოასულიერა. ახლა ავადმყოფს სიწყნარეღა სჭირდებოდა და მაშინვე ლოგინში ჩააწვინეს. ექიმი თავზე ადგა, მაჯას ხელიდან არ უშვებდა.

ვაჟმა მალე მოიხედა. გულისრევამ გადაუარა. მხოლოდ საშინელ დაღლილობას გრძნობდა. ქალის დარდიღა აწუხებდა — მან ხომ მისთვის გასწირა თავი.

მგზავრების ნაწილი ისევ გემბანზე ირეოდა, უთავბოლოდ ყაყანებდა. ყველა მშველელს აქებდა, აღტაცებული იყვნენ უცნობი ჭაბუკის ვაჟკაცობით.

უცებ ფატის მალხაზი გაახსენდა, მიიხედ-მოიხედა და ქმარს ჰკითხა:

— პავლე, სად არის ჩვენი ბიჭი, რომ არსად ჩანს?

— სად იქნება, დასაძინებლად თუ წავიდა. წავიდეთ, ფატი, ყველაფერი ბედნიერად დასრულდა.

მალხაზი კაიუტაში არ აღმოჩნდა.

დედას გულმა რაღაც ინიშნა.

— პავლე, ჩქარა საექიმო პუნქტში! — გარეთ გაიჭრა. პავლე ნაპირელი ცოლს მიჰყვა.

ფატი საექიმო პუნქტში შევარდა, მწოლიარე ჭაბუკი დალანდა და ძუ მგელივით მიეჭრა.

— შვილო, ჩემო მალხაზ? — გადაეხვია და გულში ჩაიკრა, ექიმი ფეხზე წამოდგა, შემოსულებს მიესალმა.

— თქვენი შვილია?

— დიახ, შვილი გახლავთ, — უპასუხა პავლემ.

— ბედნიერი მშობლები ყოფილხართ, პატივცემულნო. ნება მომეცით, უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ, ეს ქალიშვილი თქვენმა ვაჟმა იხსნა უეჭველი დაღუპვისაგან.

პავლე ნაპირელი საწოლს მიუახლოვდა, ქალს ლამაზი სახე ჰქონდა, წაბლისფერი თმები ბალიშზე გადაჰფენოდა, მკერდი ოდნავ აუდ-ჩაუდიოდა, საშუალო ტანისა იქნებოდა, ცოტა გამხდარი.

როდესაც პავლე, ფატი და მალხაზი კაიუტაში დაბრუნდნენ, დედამ საყვედურით მიმართა შვილს:

— რისთვის მწირავდი სასიკვდილოდ, ჩემო ბიჭო? განა არ იცი, რომ დედაშენი უშენოდ ერთ დღესაც არ იცოცხლებს თავს?

მალხაზს გაეღიმა.

— არაფერია, დედა, სრულიად უვნებელი და ჯანმრთელი ვარ. ვიღაც ხომ უნდა მიშველებოდა?

— განა გემზე ცოტა მეზღვაურია, შვილო?

— ჩემ გარდა იმ დროს ახლოს არავინ იყო, თორემ იქნებ ვერც კი დამესწრო მათთვის.

ფატის აღარაფერი უთქვამს, ერთი ამოიოხრა და საწოლისაკენ შებრუნდა.

მეორე დილით გემბანზე მალხაზის გამოჩენას დიდი ამბით შეხვდნენ — მალხაზს კი საექიმო პუნქტში მიეჩქარებოდა, უნდოდა შეეტყო, თავს როგორ გრძნობდა ის ქალიშვილი.

ძლივს დააღწია თავი აღტაცებულ მგზავრებს და საექიმო პუნქტში შევიდა.

ექიმმა ხელი ჩამოართვა და ავადმყოფს წარუდგინა.

— ლიდა, აი თქვენი მხსნელი, იცნობდეთ და გიყვარდეთ.

მადლობის თვალით ახედა.

— მალხაზ ნაპირელი ვარ, — თქვა ჭაბუკმა.

— ლიდა საბინა, — ხმადაბლა უპასუხა ქალმა და გაწითლდა.

— როგორ გრძნობთ თავს? უკვე კარგად ხართ?

— გმადლობთ, არა მიშავს, უკეთ ვარ.

მერე კარგა ხანს დუმდნენ. უხერხულად შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ბოლოს ისევ ვაჟმა დაარღვია სიჩუმე.

— მარტო ხართ გემზე?

— მარტო.

— სად მიემგზავრებით? ვისთან?

— ბათუმში, ნათესავთან, — უგულოდ მიუგო ლიდამ. მალხაზი გრძნობდა, რომ ქალს რაღაც აწუხებდა, რაღაც დიდი სევდა და ვარამი ბორკავდა. იგი ხედავდა, რომ მისი პასუხებიც ძალით გამოგლეჯილ აღსარებას უფრო წააგავდა, ვიდრე გულახდილ საუბარს.

თუმცა ძლიერ სურდა ამბის დაწვრილებით გაგება, მაგრამ მიხვდა, რომ ახლა ამის დრო არ იყო, ქალს დასვენება და სიმშვიდე სჭირდებოდა.

ვინ იცის, რა ჭრილობას ატარებდა სულის სიღრმეში. რატომ უნდა აეფორიაქებინა სწორედ ახლა და გადარჩენის სიხარული ჩაემწარებინა?

მალხაზი წამოდგა, გამოსამშვიდობებლად გაუწოდა ხელი. ავადმყოფმა საბნიდან შიშველი მკლავი გამოყო და ჩამოართვა. უეცრად ქალს სახეზე ალმური შემოენთო. საჩქაროდ გამოსტაცა ხელი მის ხელს და სწრაფადვე შემალა საბანქვეშ. მერე შეშინებული თვალები იქ მყოფთ მოავლო, მთლიანად ჩაძვრა საბანში და გაისუსა.

მაგრამ უკვე გვიანღა იყო, ვაუმა მოასწრო თვალის შევლება და ადგილზევე გაშრა.

ქალს მკლავზე შავი ვარდი ჰქონდა დატატუირებული.

საექიმო პუნქტში გემის კაპიტნის მოადგილე და საზღვაო მილიციის ოპერატიული თანამშრომლები შემოვიდნენ. უნდოდათ გამოერკვიათ, თუ რა პირობებში მოხდა ქალის ზღვაში გადავარდნა. ავადმყოფი უგულოდ იძლეოდა პასუხებს, ჩანდა, რომ რაღაცას ერიდებოდა, ვიღაცას უფრთხოდა, არ უნდოდა, ყველაფერი ეთქვა.

— მაშ ასე, თქვენ ადასტურებთ, რომ ლიდია საბინა ხართ? — შეეკითხნენ თანამშრომლები.

— დიახ, ამაზე უკვე გიპასუხეთ, — დუნედ მიუგო ქალმა.

— რატომ არა გაქვთ პიროვნების დამადასტურებელი საბუთი?

— ნოვოროსიისკის ნავსადგურში მომპარეს, ხელზე მხოლოდ ჩანთა და ცოტაოდენი ფული შემრჩა.

ქალს თვალებზე ცრემლები მოადგა, გული ამოუჯდა.

— გემზე მგზავრობის ბილეთი გქონდათ?

— აღება ვერ მოვასწარი, სალაროსთან დიდი რიგი იყო და ბილეთების გაცემა ადრე შეწყდა.

— კარგი და, როგორ მოხვდით გემზე?

— ხალხს შევერიე და შეუმჩნევლად ამოვედი.

მილიციის თანამშრომლებმა მაინც გამოარკვიეს: ქალს მშობლები არ ჰყოლია. მამამისი სამამული ომის ფრონტზე დაღუპულა, დედა კი ტრაგიკული შემთხვევის მსხვერპლი გამხდარა.

გოგონა მამიდას აღუზრდია, შემთხვევით მოხვედრილა ნოვოროსიისკში, ამხანაგ ქალიშვილს სტუმრებია. იქიდან კი ბათუმში დაუპირებია გამგზავრება, მაგრამ ვინ არის ნათესავი, ან სად ცხოვრობს ბათუმში? — ამ კითხვებზე ქალმა არაფერი უპასუხა.

— კიდევ ერთი შეკითხვა: რამ გაიძულათ ზღვაში გადავარდნა?

— მე ზღვაში არ გადავვარდნილვარ, თავადაც არ ვიცი, ეს როგორ მოხდა.

— იქნებ ვინმემ გადაგაგდოთ, ხელი გკრათ?

— არ ვიცი, — ქალს ტირილი აუვარდა.

— საქმიანობთ? რით ცხოვრობთ? რა შემოსავლით?

— აკი მოგახსენეთ, მამიდაჩემი მინახავს-მეთქი, საშუალო სკოლა დავამთავრე და ინსტიტუტში ვაპირებ შესვლას.

— ვითომ ეს ნამდვილად ასეა? — ეჭვით გაიქნია თავი მილიციის თანამშრომელმა.

ქალმა გაკვირვებით შეხედა. გამოუცდელი, ცხოვრების უნახავი გოგონა პირველად მოხვდა დაკითხვაზე და ვერ მიმხვდარიყო, რატომ აფათურებდა ხელებს მის სულში ეს უცნობი ადამიანი.

— კიდევ ერთი შეკითხვა, თქვენ მარცხენა მკლავზე ტატუირება გაქვთ, შავი ვარდი. ვერ მეტყვით, რას ნიშნავს ეს? სად მოხდა? ვინ გაგიკეთათ?

შავი ვარდის ხსენებაზე ქალს თავზარი დაეცა. გული შეეკუმშა. ვერასოდეს წარმოიდგენდა, თუ ვინმე ყურადღებას მიაქცევდა ამ ავბედით ნიშანს, მისი სატანჯველის სათავეს.

— თქვენს პასუხს ველი, — ჩაესმა ყურში დაბნეულ ქალს.

— არ ვიცი, მეც არ ვიცი. არაფერი არ ვიცი ამის შესახებ.

მას ისტერიული ტირილი აუვარდა და ბალიშზე გადაესვენა. ექიმმა, რომელიც დაკითხვას ესწრებოდა, ქალს მაჯა გაუსინჯა და დამსწრეთ მიმართა:

— დაკითხვა უნდა შეწყვიტოთ. მეტის უფლებას არ მოგცემთ. ავადმყოფი მძიმე ნერვულ მდგომარეობაშია და ზედმეი საუბარი მის ჯანმრთელობას ავნებს.

კაპიტნის მოადგილე წამოდგა, ავადმყოფს დააცქერდა და შენიშნა, რომ ქალს ყოველი კუნთი უთრთოდა. მილიციის თანამშრომელს მიუბრუნდა:

— რას იზამთ, რაკი ექიმი ამბობს, იძულებული ვართ შევწყვიტოთ.

ორივენი გემის კაპიტანს ეახლნენ და დაწვრილებით მოახსენეს დაკითხვის მსვლელობა და შედეგი.

კაპიტანი ჩაფიქრდა.

— კარგი იყო, უფრო მეტი და საფუძვლიანი მასალები მიგვეღო ავადმყოფისაგან, მაგრამ რას ვიზამთ, თუ არაფერს ამბობს, ძალას ვერ დავატანთ. ეჭვს გარეშეა, აქ დანაშაულია ჩადენილი. საავადმყოფოში მოვათავსებთ, თქვენ კი მასალები მოამზადეთ პროკურატურა-

ში გადასაცემად, შეიძლება ქალს იქ მაინც ათქმევინონ რამე. მე უკვე მითითება მივეცი, რომ ქალი საავადმყოფოში გადაიყვანონ.

...მალხაზი რამდენჯერმე მივიდა ექიმთან ქალის ჯანმრთელობის გასაგებად, ავადმყოფს მაღალი სიცხე ჰქონდა და ექიმმა არ შეუშვა. მგზავრებსაც აინტერესებდათ, შორიდან მაინც მოეკრათ თვალი ამ ალიაქოთის მიზეზისათვის, მაგრამ გემის ექიმი ფხიზლად დარაჯობდა საექიმო პუნქტის კარს.

გემი სოხუმის ნავსადგურში შევიდა.

ნავსადგური ხალხით იყო სავსე.

ექიმმა წინასწარ მოამზადა ავადმყოფი ქალაქის საავადმყოფოში გადასაყვანად. ქალს წინააღმდეგობა არ გაუწევია. ხოლო როცა ნავსადგურის ბაქანზე თავმოყრილ ხალხს მოავლო თვალი, მღელვარება ვერ დამალა და თავშეუკავებლად აქვითინდა. მერე უკან გამობრუნება სცადა.

— არ შემიძლია, არა! — ქალის სიტყვებში ვედრება ისმოდა.

— რა არ შეგიძლიათ? რაშია საქმე? — დამშვიდება სცადა ექიმმა, — საავადმყოფოში უნდა მოგათავსოთ.

— ცუდად ვარ, არ შემიძლია ჩასვლა.

ქალს მუხლები ეკეცებოდა, ძალ-ღონემ უმტყუნა, შემობრუნდა და მილიციის თანამშრომელს ჩამოეყრდნო.

—რახან ცუდადაა, უკანვე დავაბრუნოთ, — მიმართა მილიციის თანამშრომელმა ექიმს.

— რას ვიზამთ, თუ ასეა საქმე, მეტი რა გზა გვაქვს.

ქალი საექიმო პუნქტში დააბრუნეს. ექიმს და მილიციის თანამშრომელს ძლივს მიჰყავდათ — ფეხები აღარ ემორჩილებოდა, მუხლები ეკეცებოდა, ბოლოს იძულებული გახდნენ, ხელში აეყვანათ.

— ის იყო, ის! — რამდენჯერმე ამოიგმინა ქალმა და გული წაუვიდა.

მალხაზს ძალიან სურდა თავისი გადარჩენილის ნახვა, მაგრამ სანამ გემი ბათუმს არ მიუახლოვდა, მანამდე ვერ გაბედა მისვლა. სოხუმში მისი გადაყვანა რომ არ მოხერხდა, ეგონა, ბათუმში ჩაიყვანდნენ.

ის იყო, საექიმო პუნქტში შესვლას აპირებდა, რომ იქიდან ექიმი გამოვიდა.

— მინდოდა გამეგო, როგორ გრძნობს თავს ის ქალი.

ექიმმა იცნო მისული და მიხვდა, რომელ ქალზედაც ელაპარაკებოდნენ.

— ის ქალი ფოთში გადაიყვანეს და საავადმყოფოში მოათავსეს.

მალხაზი სახტად დარჩა.

— განა ბათუმში არ მოგყავდათ?

— რას იზამ, — ასე ისურვეს.

ბიჭს გული ეტკინა. არ ეგონა თუ ასე მალე დაეკარგებოდა აქაფებულ ზღვაში ნაპოვნი მშვენიერი ასული. უკანასკნელად მაინც ენახა. იქნებ უჭირდა რამე და შეეძლო კიდევ რითიმე დახმარებოდა? მისამართი მაინც მიეცა.

ბაქანზე გაშლილი ხალხი გემის მოაჯირს აწყდებოდა. ნაპირზე დამხვდურნი მატულობდნენ.

უეცრად მალხაზმა ყური ცქვიტა. ერთ კოხტა გოგოს აედევნა, მაგრამ ლიდა საბინა არ გამოდგა. თავადაც შეერია ხალხს და სანამ გემს კიბეს მიადგამდნენ, ყველგან მოძებნა.

ექიმი მართალი აღმოჩნდა. ლიდა საბინა გემზე არ იყო.

მესამე დღეს უკვე მთელმა ქალაქმა იცოდა გაზეთებიდან, რომ მხოლოდ მალხაზის ვაჟკაცობამ გადაარჩინა ქალიშვილი აბობოქრებულ ზღვაში დახრჩობას. ფოტოკორესპონდენტს გადამრჩენის სურათიც გადაეღო. გემის მოაჯირთან მდგარი ჭაბუკი მორცხვად იღიმებოდა.

სახლში აფორიაქებული დაბრუნდა მალხაზი. თითქმის აღარაფერი აინტერესებდა. წიგნსა და ანკესსაც ვერ დაუდო გული. ადგილს ვეღარ პოულობდა. მარტოდმარტო დაეხეტებოდა სანაპიროდან თავიანთ ბაღამდე. არც ვისმეს ეუბნებოდა რამეს და ვერც მშობლებმა დააცდენინეს სიტყვა.

ერთ დღეს უცებ გადაწყვიტა, ფოთში წასულიყო.

თავი II

ხუტა გაწერელია დილიდან ჩაუჯდა შესასწავლად ერთ მეტად ძნელ საქმეს.

ყურადღებით კითხულობდა, მას უნდოდა, ოპერატიული მოქმედების კონკრეტული გეგმა შეესწავლა, რომ ამ დროს გაისმა ტელეფონის ზარის ხმა.

— გაწერელია გისმენთ.

— ამხანაგო ხუტა! მოსულია ვიღაც ქალი, მას თქვენი ნახვა სურს, — გაისმა მორიგის ხმა.

— გამოუშვან.

ოთახში შემოვიდა საშუალო ხნის ქალი. მისი თმები ვერცხლისფრად ელავდა.

რამოდენიმე ხანს ხუტა დაჟინებით უმზერდა ნაცნობ ნაკვთებს ქალის სახეზე, შემდეგ, უსაზღვროდ გაოცებული, წამოვარდა ადგილიდან.

— მერი! ეს თქვენ?

— არა, მე ვარ ლარისა გრიეკო.

— როგორ? თქვენ ხომ მერი მალდონატო-მაკროპულო ხართ? — გაიოცა ხუტამ და ქალს შეხედა.

— იყო ოდესღაც, მაგრამ მაშინდელი გვარი და სახელი ჩემი არ იყო. ახლა მე დავიბრუნე ჩემი ნამდვილი სახელი.

გაწერელია ადგა და სკამი ქალთან მისწია.

— მე თქვენ არ გელოდით და არც არასდროს მიფიქრია, რომ მოხვიდოდით, — გაოცებული ლაპარაკობდა ხუტა.

— მე თქვენი შეწუხება არ მინდოდა, მაგრამ მოვედი, უბედურებამ მომიყვანა, მე არ მინდოდა თქვენთან მოსვლა, მრცხვენოდა...

— ისეთი რა შეგემთხვათ?

— ჩემი სვეტლანა დაიკარგა, — წარმოთქვა ქალმა და ატირდა.

ხუტა გაოცდა, იგი კარგად იცნობდა ქალს და ვერ წარმოედგინა, რომ მას ტირილი შეეძლო. ხუტას მოაგონდა ერთი ძველი ისტორია. რამდენიმე წლის უკან თბილისში თავისი ბანდით დათარეშობდა გერმან ბაზილი, იგივე ვადიმ ურალოვი. ბანდიტი ძლიერ ეშმაკი იყო. არა ერთი ღამე გაუთენებიათ მის ძებნაში მილიციის მუშაკებს. მათ რომ ეგონათ, ეს-ეს არის დავიჭერთო, სწორედ მაშინ რაღაც სასწაულად

დაუძვრებოდათ ხელიდან. სახელდობრ, ამ ბანდაში იყო მერი მალ-დონატო-მაკროპულო. გაიგეს რა, გერმან ბაზილი გაემგზავრა საქართველოდან, ხუტა გაწერელია და არჩილ ჩოხელი გაეკიდნენ მას. მერი მალდონატოს დახმარებით მოძებნეს ბანდიტი და შეძლეს მისი დაპატიმრება. იმ დროს მერიმ კიდევ არ იცოდა, რომ ხუტა მილიციის მუშაკი იყო, თორემ იგი არ დაუჯერებდა მას და არც მოაძებნინებდა ბანდის მეთაურს. გერმან ბაზილისათვის ეს დაპატიმრება აღმოჩნდა საბედისწერო.

ხუტა გაწერელიას იმ დროს არ დაუპატიმრებია მერი. მერი მთელი სულით ისწრაფოდა ნათელი ცხოვრებისაკენ. უნდოდა დამდგარიყო პატიოსანი მშრომელი, მოჰკიდებოდა ოჯახს. ხუტას შეეცოდა იგი იმიტომ, რომ მას სჯეროდა ადა

მიანის გამოსწორებისა. მაშინ გადაწყვიტა, მას ეშვილა თორმეტი წლის სვეტლანა, კირა ზაბორას ქალიშვილი. გოგოს დედა მხეცურად იქნა მოკლული მახაჩყალაში გერმან ბაზილის მიერ.

ზაბორას ოთახი იყო ბანდიტების შეხვედრის ადგილი, ბუნაგი. როდესაც იგი გაანადგურეს, კირას ემუქრებოდა გარდაუვალი დაპატიმრება. იცოდა რა მისი სუსტი ხასიათი, გერმან ბაზილს ეშინოდა, რომ იგი გასცემდა მას დაკითხვის დროს. რომ არ დაეღუპა თავისი თავი და მთელი ბანდა, მეთაურმა მოკლა ქალი.

გერმან ბაზილის ბანდაში იყო ვერონიკა შრაპი, აუტანელი, ბოროტი არსება. ეს ბებერი ვერ იტანდა ადამიანთა სამყაროს. ის შეიქმნა შეფიცული მტერი ახალი მთავრობისა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მის მამას ჩამოართვეს ფაბრიკა.

კირა ზაბორას მოკვლის შემდეგ ვერონიკას უნდოდა პატარა სვეტლანა აეყვანა ხელქვეითად. უბედურ ობოლს აბსოლუტურად არ გააჩნდა არავინ, რომ მიეხედა მისთვის.

მერიმ, როგორც იყო, დააღწია თავი ბანდას, სადაც იგი რამდენიმე წელიწადი იყო, მერიმ სიხარულით აიყვანა პატარა სვეტლანა თავისი მფარველობის ქვეშ.

...ქალმა თავი ასწია, ცრემლები მოიწმინდა და შეხედა ხუტას.

— თქვენ გაქვთ დრო, რომ მომისმინოთ მე? — იკითხა მან.

— რასაკვირველია.

— მაშ, კარგი, მისმინეთ.

— ერთი წუთით, სთხოვა მას ხუტამ და ტელეფონის ნომერი აკრიფა.

— არჩილ, ეს მე ვარ — ხუტა! აი, რა, მეგობარო, შენ თუ ძალიან დაკავებული არა ხარ, შემოიარე ჩემთან.

ქალს არ მოეწონა, რომ ხუტამ თავისთან გამოიძახა ვიღაც არჩილი. მას უნდოდა მოლაპარაკებოდა ხუტას პირისპირ, ეთქვა ის რაც აწუხებდა მას.

ხუტამ შეამჩნია ქალს უკმაყოფილება.

— ნუ აღელდებით, მერი.

— ჩემი ნამდვილი სახელია ლარისა, — შეუსწორა ქალმა, — ძალიან გთხოვთ, ნუ დამიძახებთ მერის. მე არ მინდა გავიხსენო დაწყევლილი წარსული.

ამ დროს ოთახში შემოვიდა არჩილ ჩოხელი. ქალმა შეხედა მას. არჩილის სახე მას ეცნაურა, მაგრამ საიდან, სახელდობრ ვერ გაიხსენა.

— გაიცანი, არჩილი, — თქვა ხუტამ.

არჩილმა შეხედა ქალს.

— ლარისა გრიეკო, — წარუდგინა ხუტამ ქალი.

— თუ მერი მალდონატო? — წარმოთქვა თავის ხმაში დარწმუნებულმა არჩილმა.

— წარსულში, მხოლოდ წარსულში.

არჩილი მაგიდასთან დაჯდა.

— არ გაგიკვირდეთ, ლარისა, არჩილ ჩოხელი მაშინ, მახაჩყალაში ჩემთან იყო. ჩვენ ერთად ვეძებდით გერმან ბაზილს.

ქალი ჩაფიქრდა. მან არ იცოდა, საიდან დაეწყო.

— აი რა, ლარისა. მე თქვენ მიცნობდით ჩაჩბას გვარით. როგორ მოხდა, რომ თქვენ გაიგეთ, რომ მე ნუტა გაწერელია ვარ? ვინ შეგატყობინათ ჩემი მისამართი?

— თუ ადამიანს აინტერესებს გაიგოს რამე, მას ყოველთვის შეუძლია გაიგოს ის, რაც მას სურს. მე თქვენ გხვდებოდით რამდენიმეჯერ, მაგრამ ვცდილობდი, რომ თქვენ არ შეგემჩნიათ. ვთხოვე ერთს, მეორეს, და გავიგე ბოლოს და ბოლოს, სადაც მუშაობდით.

— დიდი ხანია, რაც თქვენ თბილისში ხართ?

— აქ მოვემგზავრები დრო და დრო. ცხოვრებით კი თრიალეთში ვცხოვრობთ — მთაში. კოლმეურნეობა გვაქვს ჩვენ იქ და მე ფერმაში ვმუშაობ. ვითვლები მოწინავე მწველავად. მე კოლმეურნეობაში მაფასებენ. მათ, რასაკვირველია, არ იციან ჩემი წარსული.

ჩამოვარდა სიჩუმე. ქალი დაჟინებით უყურებდა ერთ წერტილს. ეტყობოდა, რომ იგი ისევე მოგონებებში გადავარდა.

— მაშ, თქვენ ამბობთ, რომ სვეტლანა დაიკარგა? როდის? როგორ ვითარებაში? — დაარღვია სიჩუმე ხუტამ.

არჩილ ჩოხელმა გაკვირვებით შეხედა მეგობარს.

— ერთი თვის უკან მე სვეტლანას ავუღე ეშერის სანატორიუმის საგზური. აქამდე ვერ გამიგია, როგორ გავბედე მისი მარტო გაშვება.

მაშ ასე, გავამგზავრე მე სვეტლანა სოხუმში. იქიდან იგი უნდა წასულიყო ეშერაში. მის დაბრუნებას ველოდი 24 დღის შემდეგ, მაგრამ სვეტლანა არ დაბრუნდა, წერილიც კი არ მოუწერია ჩემთვის. არ ვიცოდი, რა მეფიქრა. შეიძლება ავად გახდა. ავიღე შვებულება და წავედი მასთან. აღმოჩნდა, რომ სვეტლანა სანატორიუმში არ მისულა. მე ყველგან დავიწყე მისი ძებნა, მაგრამ იგი თითქოსდა წყალმა ჩაყლაპაო. მოვიარე მთელი საავადმყოფოები, მაგრამ ამაოდ. რა უნდა მექნა?

მოსვენება დავკარგე. რომ ყოფილიყო გერმან ბაზილი ცოცხალი, ვიფიქრებდი, რომ მისი ნამოქმედარია, მაგრამ ის ხომ დიდი ხანია მიწაშია. გაზეთში წერდნენ, რომ განაჩენი სისრულეშია მოყვანილიო. შეიძლება იმ ბებერმა ვერონიკამ? მაგრამ ისიც ხომ საპატიმროში იმყოფება.

ლარისა დადუმდა. მისი თვალები სავსე იყო ცრემლით.

ხუტა და არჩილი გაჩუმებულნი უყურებდნენ მას. მათ კარგად ესმოდათ უბედური ქალის მდგომარეობა.

— თქვენ ხომ მიშველით, ხომ მართალია? ძალიან გთხოვთ, მაპოვნინეთ ჩემი სვეტლანა...

— აუცილებლად ვიპოვით, აუცილებლად! — უპასუხა გაწერელიამ, — ჩვენთვის აუცილებელია დავაზუსტოთ რამდენიმე გარემოება.

— მკითხეთ, მე მზად ვარ, გიპასუხოთ ყოველივე კითხვაზე.

— რა სახის ტრანსპორტით გაემგზავრა სვეტლანა სოხუმში? მატარებლით თუ ავტომანქანით?

— მატარებლით.

— თქვენ დაინახეთ, როგორ ჩაჯდა ვაგონში სვეტლანა? — მე თვითონ ჩავსვი. იგი მიდიოდა ოთხადგილიანი კუპეთი. მე მივეცი ბილეთი გამცილებელ ქალს და შევეხვეწე, მიეხედა გზაში სვეტლანასათვის.

— რომელ რიცხვში გაემგზავრა იგი სოხუმში?

— 1 აგვისტოს, ღამის 2 საათზე, თბილისის სადგურიდან.

— მატარებელი?

— თბილისი-სოხუმი.

— შეიძლება თქვენ გახსოვთ ვაგონის ნომერი?

— რასაკვირველია, მახსოვს, I მერვე.

— ადგილი?

— არ მიმიქცევია ყურადღება. იგი იყო განლაგებული დაახლოებით ვაგონის შუაში — ქვევით.

— თქვენ შეგიძლიათ, შეიცნოთ გამცილებელი ქალი?

— რასაკვირველია, მახსოვს იგი. მართალია, ძალიან ბუნდოვნად, მაგრამ შეხვედრის დროს შემიძლია ვიცნო. იგი იყო საშუალო ხნის.

— სვეტლანას დაკარგვის შემდეგ თქვენ ის არ მოგიძებნიათ?

— რამდენიმეჯერ, მე სპეციალურად ვხვდებოდი თბილისი-სოხუმის მატარებელს, მაგრამ გამცილებელი ქალი ვერ ვნახე.

— არაფერია, ჩვენ მას მოვძებნით. შევეცდებით, ყველაფერი გავაკეთოთ ამისათვის, მოვახსენებთ უფროსს და დავიწყებთ მოქმედებას. მოდით ხვალ, მიიღებთ პასუხს. საშვი ადრევე იქნება მზად.

ლარისა წავიდა. რამდენიმე საათი არჩილ ჩოხელი და ხუტა გაწერელია ჩუმად ისხდნენ. მათ წინ აღიმართა ძნელი ამოცანა. ძნელი იყო რაიმე დასკვნის გამოტანა. საქმეს ართულებდა ისიც, რომ სვეტლანას დაკარგვიდან თითქმის რამდენიმე თვე იყო გასული. — შენ როგორ ფიქრობ, საიდან შეგვიძლია დავიწყოთ გამოძიება? — შეეკითხა არჩილი.

— რასაკვირველია, გამცილებლიდან, — იყო პასუხი.

ხუტა გაწერელიამ იმ ღამესვე დაადგინა ვაგონის გამცილებლის პიროვნება. შემდეგ ლარისა გრიეკოს მონაყოლი მოახსენა პოლკოვნიკ ზურაბ ლომაურს.

ის ყურადღებით ისმენდა ოპერატიული მუშაკების მონათხრობს და შემდეგ თქვა:

— სასწრაფოდ უნდა მოვიკრიბოთ მთელი ძალები, რათა მოვნახოთ სვეტლანა. ამხანაგო ხუტა, გააფორმეთ მივლინება და გაემგზავრეთ სოხუმში, თუ დაგჭირდათ დახმარება, შემატყობინეთ. გერმან ბაზილი განადგურებულია, მაგრამ ფაქტია, რომ მისი ბანდიდან რომელიღაც განაგრძობს თარეშს.

აუცილებლად უნდა დადგინდეს, სად იმყოფება ამჟამად ვერონიკა.

— როგორ თუ სად? — გაუკვირდა ხუტას, — ის ხომ ამჟამად პატიმრობის ვადას იხდის.

— ხომ შეიძლება, გაეთავისუფლებინათ, თუნდაც ამნისტიით, როგორც მოხუცებული. სასწრაფოდ დაადგინეთ, სად იხდის იგი სასჯელს.

მეორე დილას ლარისა გრიეკო შეხვდა ხუტას სამმართველოს შესასვლელში.

ხუტამ ქალი თავის სამუშაო კაბინეტში აიყვანა.

ლარისა დაჯდა სკამზე. მას ეცვა საზაფხულო კაბა მოკლე სახელოებით. მარცხენა ხელი, მკლავის ცოტა ზევით, ბინტით ჰქონდა შეხვეული. ხუტა გაოცდა:

— ეს რა გაქვს?

ქალმა ხმამაღლა გაიცინა:

— როგორ, თქვენ არ გახსოვთ? ტატიური შავი ვარდი.

მან მოიხსნა სახვევი.

— ეს იყო გერმან ბაზილის ბანდის ნიშანი, „პიროვნების დამადასტურებელი“.

ხუტა დაკვირვებით ათვალიერებდა ტატიურას.

კარზე დააკაკუნეს. ქალმა სასწრაფოდ შეიხვია ხელი. შემოდით, მიიპატიჟა ხუტა გაწერელიამ.

ოთახში შემოვიდნენ არჩილ ჩოხელი და უცნობი ქალი.

— ხუტა, ეს ქალი ვაგონის გამცილებელია, კლავდია როზოვა.

ლარისამ იმ წუთში იცნო კლავდია.

— დიახ, ის არის!

კლავდია მოროზოვას, რომელმაც ვერ იცნო ლარისა, გაუკვირდა მისი ქცევა.

— მაპატიეთ, — გამოერკვა ლარისა, — თქვენ მე ვერ მიცანით?

— ვერა.

— გახსოვთ, თბილისის სადგურზე მე შემოვიყვანე ახალგაზრდა გოგონა და კიდევ, გთხოვეთ მიგეხედათ გზაში — მეშინოდა, არაფერი შემთხვეოდა.

კლავდია ჩაფიქრდა.

— არ მაგონდება. შეიძლება ეს ასეც იყო, მაგრამ რატომ მეკითხებით ამას?

— გოგონა გზაში დაიკარგა, — უპასუხა ლარისამ.

— დაიკარგა? — გაკვირვებით იკითხა კლავდიამ, — აგერ, უკვე რვა წელია, რაც რკინიგზაზე ვმუშაობ, მაგრამ ჩემი მგზავრებიდან ჯერ არავინ დაკარგულა.

ლარისამ გარკვევით აღწერა სვეტლანას გარეგნობა, აჩვენა მას ფოტოსურათი. გამცილებელი ჩაფიქრდა.

— თითქოს მახსენდება... იმ კუპეში რომელიღაც მთვრალმა ახალგაზრდამ ატეხა დებოში. მას უნდოდა, დაეკავებინა ერთი გოგოს ადგილი. მგზავრებმა გამოიყვანეს იგი კუპედან. დილით, როდესაც ჩვენ სოხუმს ვუახლოვდებოდით, ის ბიჭი მოვიდა კუპეში, ამჯერად ფხიზელი და გოგოს ბოდიში მოუხადა.

— არ გახსოვთ მისი გარეგნობა?

— იგი საშუალოზე მაღალია, დაახლოებით 25 წლის. შავი თმები, მოკლე ულვაშები... თითქოს ცალი თვალით ცოტა ელამი იყო.

— რომელ სადგურში ამოვიდა იგი მატარებელში?

— მგონი, მცხეთასთან.

— სოხუმში გოგო და ბიჭი ერთად ჩავიდნენ? — შეეკითხა ხუტა.

— დიახ, ერთად, — უპასუხა ქალმა, — გოგოს ეჭირა პატარა ჩემოდანი.

— ამის შემდეგ თქვენ არ მოგიხდათ მასთან შეხვედრა?

— არა, მე იგი არ მინახავს.

კლავდია მოროზოვას მადლობა გადაუხადეს და დაემშვიდობნენ. შემდეგ ყურადღებით მოისმინეს სვეტლანას გარეგნობის აღწერა, ლარისა გრიეკოსაგან გოგონას ფოტოსურათი დაიტოვეს და შეჰპირდნენ, რომ მიიღებდნენ სასწრაფო ზომებს.

ლარისა წავიდა. არჩილი და ხუტა ფიქრებში ჩაეფლნენ.

— მითხარი, ხუტა, ნუთუ შენ არაფერს გეუბნება ამ ბიჭის გარეგნობის აღწერა, ის, რომ იგი მარჯვენა თვალით ელამია?

გახსოვს მეწისქვილე თედო ხაპიაშვილი, რომელიც ჩვენ დავიჭირეთ გერმან ბაზილის საქმესთან კავშირისათვის, ექიმ ნატო სულიაშვილის მკვლელობაში მონაწილეობისათვის.

— დიახ, მაგრამ ის ხომ მოკვდა. — ვიცი...

არ გახსენდება ჭაბუკი მატარებლიდან, მისი შვილიშვილი მიხა?

— მეც ვიფიქრე ამაზე, მაგრამ მიხაც ხომ იხდის სასჯელს.

— მერე რა? არ შეიძლება, რომ იგი განთავისუფლდა პატიმრობიდან? იქნებ გაიქცა?

— აუცილებლად ყველაფერი უნდა შემოწმდეს. ამისათვის ჩვენ მოგვიწევს ნატბეურში გამგზავრება. შეიძლება იგი დაბრუნდა. მოგვიწევს ჩვენი ძველი მეგობრის რეზო წიკლაურის შეწუხება.

— რეზო წიკლაური სიამოვნებით დაგვეხმარება ჩვენ და კიდევ აუცილებლად უნდა ავიყვანოთ მხედველობის ქვეშ ყაზარ წყალობი-

ჩი, მიხა ხაპიაშვილის ბაბუა დედის მხრიდან. ერთი წლის უკან იგი გაათავისუფლეს ამნისტიით, მაგრამ მგელი ხომ სულ ტყისკენ იყურება... მიხას შეეძლო ბაბუასთან თავის შეფარება.

იმავე დღეს არჩილ ჩოხელმა და ხუტა გაწერელიამ შეადგინეს ოპერატიული მოქმედების გეგმა და წარუდგინეს დასამტკიცებლად პოლკოვნიკ ლომაურს.

არჩილ ჩოხელმა გამოიძახა ყაზარ წყალობიჩი...

მოხუცს სამმართველოში შესვლისას შიშისაგან მუხლები უკანკალებდა.

— მობრძანდით, ყაზარ წყალობიჩ, — ღიმილით შეხვდა მას არჩილი, - შეიძლება ძველი ნაცნობების ასე დავიწყება?

— ნუთუ კიდევ რაღაც ხუმრობას მიწყობთ? მერე მე რა დავაშავე ასეთი, რომ უწყება გამომიგზავნეთ.

— რას ამბობთ, ყაზარ წყალობიჩ, მე იმისათვის არ გამომიძახებიხართ, თქვენ რომ რამეში დაგადანაშაულოთ. მინდოდა, მომელოცა განთავისუფლება.

— მომილოცოთ? — ყაზარმა გაკვირვებისაგან პირი დააღო, — ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს მართალია?

— ნუთუ ჩემს თავს მივცემ ნებას მოვიტყუო? რატომ არ შემოხვედით ჩვენთან, როცა გაგათავისუფლეს?

— რას ამბობთ? ეს ნაცნობობა ისე ძვირად დამიჯდა, რომ უკანასკნელ სამარემდე არ დაგივიწყებთ თქვენ

— როგორ გავიგო ეს „დამიჯდა“?

— აი როგორ, რომ ოთხი წელი ციხეში გავატარე, არაფერია თუ? მეკითხებით, რატომ არ მოვედი? — როდესაც მესმის სიტყვა მილიცია — სხეული მიკანკალებს, და ვუცდი, საცაა პარალიჩი დამარტყამს-მეთქი...

— ნუ გეშინიათ, ყაზარ წყალობიჩ, ჩვენ უდანაშაულო ხალხს ხელს არ ვახლებთ.

— ძვირფასო, 5 წლის უკან თქვენ მე ამ სიმღერას მიმღეროდით, მაგრამ ...

— რა „მაგრამ“?

— არ იცით თუ? როგორ შემიძლია დავივიწყო, მაშინ რამდენი სტატია მე მომიწყეს, აქ შემოსვლა ადვილია — გასვლაა ძნელი.

— მაგრამ ყველასათვის არა, ყაზარ წყალობიჩ, პატიოსანი ადამიანებისათვის აქ შემოსვლა და გასვლა ადვილია.

— ახლა, ძვირფასო, ერთი კითხვა მაქვს.

— გისმენთ.

— აი თქვენ — საგამომძიებლო ორგანო ხართ, სწორია? — დიახ, ეს სამძებრო განყოფილებაა.

— არა, შენ შეხედე მხოლოდ. კარებში დგას მილიციონერი, ისეთი ბიჭი, რომ მასთან საჭიდაოდ სანდრო კანდელაკიც რომ მოსულიყო, სამარცხვინო იქნებოდა. გვერდზე რევოლვერი ჰკიდია. ყარაულობს ის თუ რა? თქვენთან აქ პირდაპირ შემოდიან...

— საშვის გარეშე ჩვენთან არ შეიძლება. ასეა საჭირო.

— კარებზეც რომ დაწეროთ „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“, სულერთია, ძალითაც ვერ შემომათრევდით აქ.

არჩილმა გაიცინა.

ყაზარმა შეხედა მას და გაუხარდა, რომ უფროსი კარგ განწყობილებაზე მოიყვანა.

— როგორ არის ოჯახობა, ძვირფასო ყაზარ წყალობიჩ? ვიმედოვნებ, რომ ჯანმრთელად არიან?

— ღმერთის ძალით, არა უშავს, შვილიშვილი მარგო გავათხოვე, შვილმა კაპლომ უკვე მოიხადა პატიმრობის ვადა და გამოვიდა, ახლა სატვირთოზე მუშაობს. უფროსი გოგო რომელსაც ქმარი მოუკვდა, ახლა ჩემთან ცხოვრობს, ორი თვის წინ მეორე შვილიშვილი მიხა გამოვიდა ციხიდან. მოვიდა ჩვენ გვნახა და შემდეგ სად წავიდა, არ ვიცი, ამბობდა, ქუთაისში უნდა წავიდე ავტოშემკეთებელ ქარხანაში სამუშაოდო...

არჩილ ჩოხელისთვის, ესეც საკმარისი იყო: მთავარი მან გაიგო, — მიხა ხაპიაშვილი დაბრუნდა, პატიმრობიდან. არჩილმა გადაწყვიტა, მოხუცს რომ ეჭვი არ აეღო, დაკითხვა შეეწყვიტა, აუცილებელი იყო, ყაზარ, წყალობიჩის სახლი აეყვანათ მეთვალყურეობის ქვეშ.

— მაპატიეთ შეწუხებისათვის, ყაზარ წყალობიჩ, თქვენ თავისუფალი ხართ, შეგიძლია წახვიდეთ..

მეორე დილით ხუტა გაწერელია გაემგზავრა ნატბეურში, მოინახულა ახალგაზრდა მწყემსი რეზო წიკლაური და შეიტყო, რომ მიხა ხაპიაშვილი ნამდვილად ნახეს მთაში. რამდენიმე დღე გაატარა ცალთვალა ლევან კარაშვილთან, თავის ნათესავთან. შემდეგ ლევანმა იგი გააცილა დუშეთში. აქ ისინი შექეიფიანდნენ, რის შემდეგაც ლევანი დაბრუნდა სოფელში, მიხამ კი მცხეთაში გააგრძელა თარეში. შემდეგ იგი ჩაჯდა მატარებელში, მაგრამ რომელი მიმართულებით გაემგზავრა, ვერ იქნა დადგენილი.

ხუტა გაწერელიამ დაავალა რეზო წიკლაურს, თვალყური ედევ-ნებინა ლევანისათვის და ამავე დროს გაეგო, გამოჩნდებოდა მიხა მთაში, თუ არა. ეჭვი არ იყო, მიხა ხაპიაშვილმა თვითონ მოიტაცა სვეტლანა, ან, ყოველ შემთხვევაში, იცის, როგორ ვითარებაში მოხ-და გატაცება.

თავი III

სოხუმში ჩასვლისთანავე ხუტა გაწერელია ქალაქის მილიციას დაუკავშირდა, იქ მას ყველა იცნობდა. განსაკუთრებით მეგობრობდა მილიციის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ოპერატიულ რწმუნებულ ბესლან ავიძბასთან.

ბესლან ავიძბა სიხარულით შეხედა ძველ მეგობარს და შინ მიიწვია. გაწერელიამ დაწვრილებით გააცნო ჩამოსვლის მიზეზი, აღწერა სვეტლანასა და მიხა ხაპიაშვილის გარეგნობა, უამბო ლარისა გრიეკოს მონათხრობი და ბესლანიც დააინტერესა.

— ასეთი ნიშნების ახალგაზრდას ვიცნობ, ოღონდ ფეთქაურის გვარით, ამას წინათ წვრილმანი ხულიგნობისათვის მოიყვანეს ჩემთან, საეჭვო პირად მიმაჩნდა, თუმცა, ძალზე სერიოზული დანაშაული არ ჩაუდენია. სოხუმში იშვიათად გამოჩნდება ხოლმე. მისი ცხოვრების პირობები მაეჭვებს. რამდენადაც ვიცი, არსად მუშაობს. ფულს კი ბლომად ფლანგავს. საიდან აქვს, კაცმა არ იცის, უბედურება ის არის, რომ მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენა ვერ მოვახერხე, თორემ მივწერდი და გამოვარკვევდი...

— მისი კავშირურთიერთობანი ხომ არ დაგიდგენია?

— მხოლოდ ერთი. მუდამ ერთსა და იმავე რესტორანში დადის და ისიც მაშინ, როდესაც იქ მიმტანად ქერა ქალი მუშაობს.

— ქალის პიროვნება არა გაქვთ დადგენილი?

— როგორ გითხრა. ის ქალი ვანდა პეტერატაკია, თუმცა სახელი და გვარი პოლონურია, მაგრამ არა მგონია, პოლონელი იყოს.

მეორე საღამოს რესტორანში ვანდას ერთ-ერთ მაგიდას კარგა შეზარხოშებული უცნობი მიუჯდა. ვაჟის გარეგნობა ქალს მაშინვე მოეწონა, მარა რა იცოდა, თუ ეს მოხდენილი ვაჟკაცი ხუტა გაწერელია იყო?

— რას ინებებთ? — მიუახლოვდა და მომღიმარი სახით შეეკითხა.

— ასეთი ლამაზი ქალის ხელით მოტანილი მწარე წიწაკაც კი შაქარზე ტკბილი იქნება.

ქალს ესიამოვნა ქათინაური, გაიბადრა და სახეზე ეშმაკურმა ღიმილმა გადაჰკრა.

— მაშინ მარტო მწარე წიწაკას მოგიტანთ, — გაიცინა.

— მომიტანეთ, ოღონდ მოაყოლეთ, რაც კი რამ საუკეთესო მოგეპოვებათ სამზარეულოში. თან ერთი ბოთლი შამპანური და თქვენი ტკბილი ღიმილი დაუმატეთ.

— თქვენთვის არაფერს დავიშურებ, — გაუშინაურდა ქალი, — თუმცა, ცოტა ნასვამი კი ხარ, მაგრამ...

— არა, ნასვამი კი არა, მთვრალი ვარ, თქვენმა ნახვამ დამათრო. ეტყობა, ღვინოზე მეტად მოქმედებთ ადამიანზე.

იმ საღამოს ქალს ბევრი სამუშაო არ ჰქონდა და ლამაზ, ტანად ახალგაზრდასთან საუბარს სიამოვნებით აჰყვა.

— ეს თქვენი სადღეგრძელოა, კეთილი იყოს თქვენი გაცნობა, — ვაჟმა ჭიქა გამოცალა და განაგრძო, — მე გუშინაც ვიყავი აქ, თქვენს რესტორანში. სხვა მაგიდასთან ვიჯექი, დაგინახეთ თუ არა, თქვენთან მომინდა გადმოჯდომა, მაგრამ ვიღაც მილიციის თანამშრომელს მოვკარი თვალი და მოვერიდე.

— მერე და რისი შეგეშინდათ, ხომ არ შეგჭამდათ? — გაიკვირვა ქალმა,

— რა ვქნა, არ მიყვარს მილიციელები.

— განა რა დაგიშავეს, რითი დაიმსახურეს თქვენი სიძულვილი?

— ალბათ მაქვს მიზეზი.

— მართალი გითხრათ, არც მე მიზიან თვალში, მაგრამ რას ვიზამთ. განსაკუთრებით ის, რომელიც თქვენ გუშინ აქ შეგინიშნავთ. საზიზღარი ტიპია. ჩამომიჯდება და ხან რას მეკითხება, ხან რას.

— ო, ეს თუ ასეა, მაშინ მე თქვენს რესტორანში ვეღარ ვივლი.

ქალი ასეთმა გულახდილობამ გააოცა.

— განა გაქვთ მიზეზი, რომ მათ გაურბოდეთ?

— რაღა დაგიმალოთ, ჩემო ცუგრუმელა, ერთი კვირაა, რაც პატიმრობიდან გავთავისუფლდი.

— ალბათ რაიმე სერიოზული საქმე იყო.

— იყო, მაგრამ რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი.

ხუტა გაწერელიამ დანახარჯი გადაიხადა და წავიდა. სატყუარა ჩაშვებული იყო და თუ ამ ქალს რამე კავშირი ჰქონდა საეჭვო პირებთან, ანკესს ზვიგენი თუ არა, ლოქო მაინც წამოეგებოდა. თუმცა ქალი დააინტერესა თავისი პიროვნებით, მაგრამ სრული ნდობის მოპოვება იყო საჭირო.

კარგა ხანს დადიოდა ხუტა რესტორანში. ბოლოს სატყუარა ოდნავ შეირხა ერთ დღეს, როცა ის-ის იყო, დარბაზში შევიდა, ვანდა მიუახლოვდა და წასჩურჩულა:

— მოგვიანებით მოდით! დაკეტილიც რომ იყოს, დააკაკუნეთ, საჭირო საქმე მაქვს.

ხუტა გამობრუნდა, რესტორნიდან გავიდა.

საღამო ხანს სხვა სასადილოში შეიარა, ჭიქა არაყი და კათხა ლუდი დალია, რომ სასმელის სუნი ჰქონოდა. რესტორანში მაშინ მივიდა, როდესაც უკვე კეტავდნენ, ვანდა გამოვიდა და ხუტას მიუახლოვდა:

— წავიდეთ კოკი, ამაღამ ჩემი სტუმარი ხართ.

ხუტას ეუცნაურა ასეთი წინადადება, მან წინასწარ არ გაითვალისწინა ამის შესაძლებლობა. თუმცა, ესეც არ იყო მოულოდნელი ვანდასთანა ქალისაგან. საჭირო იყო მიჰყოლოდა — უკან დახევა მთელ გეგმებს ჩაუფუშავდა.

გვერდით ამოუდგა ვანდას და ოდნავ ბარბაცით მიჰყვა.

— შე საძაგელო, დათვერი? ვეღარ მოითმინე? — ღიმილით უსაყვედურა ქალმა.

— ისე, ცოტა დრო ხომ უნდა მომეკლა?

ვანდას ბინაში შუქი ენთო, ხუტამ შესვლისთანავე მაგიდასთან ზურგშექცევით, პერანგის ამარა მჯდარი ვიღაც დაინახა. ამას კი არ ელოდა, უკან გამობრუნება დააპირა, მაგრამ ქალმა ხელი წაავლო, შეაჩერა.

— სად მიდიხარ? ძლივს ხელში მოგიგდე და ახლა გარბიხარ?

— მე მგონია, მესამე პირი ზედმეტი უნდა იყოს. ხმაურზე კაცმა მათკენ მოიხედა.

ხუტამ მაშინვე იცნო მიხა ხაპიაშვილი,

— სისულელეა, ზედმეტი რომ ყოფილიყო, აქაც არ მოგიყვანდი, გაინცანით ჩემი კარგი მეგობარი ქარუმ ფექთაური, ეს კი კოკი ჟვანიაა.

მამაკაცებმა ერთმანეთს თვალებში ჩახედეს და ხელი ჩამოართვეს.

ქარუმ ფეთქაურად წოდებულმა ხაპიაშვილმა ეჭვით შეათვალიერა მისული. მერე, როცა დაინახა, როგორ შინაურულად ექცეოდა მას ვანდა, გამხიარულდა, უკვე კარგა შემთვრალიყო.

— შენც კარგი საზიზღარი ხარ, ვეღარ მოგვიცადე, რომ გალეშილხარ? ხომ გაგაფრთხილე, ახალ მეგობარს მოვიყვან-მეთქი? — უსაყვედურა ვანდამ.

— არა უშავს, რა, მასპინძელო, — შეეშველა ხუტა, — მეც ხომ ამდენივე მაქვს დალეული. ასე რომ, მე და ქარუმი ბარიბარში ვართ.

ქალმა ხელჩანთიდან კონიაკის ბოთლები და სანოვაგე ამოალაგა, მაგიდის გაწყობას შეუდგა.

როცა ხელახლა შეუდგნენ სმას, ხუტამ ისე მოაჩვენა თავი ახალგაცნობილებს, თითქოს ხელად დათვრაო, და თანამესუფრის მოურიდებელი დაცინვაც მიიღო. რამდენჯერმე დაღვარა სასმელი. ქარუმი კი ერთიმეორეზე ცლიდა ჭიქებს, არც ვანდა ჩამორჩებოდა.

ხუტამ მარცხენა მკლავი მაგიდაზე დადო, ზედ თავი ჩამოსდო და ფშვინვა ამოუშვა. მარჯვენა, ყოველი შემთხვევისათვის, ჯიბეში ჰქონდა ჩაყოფილი.

— უი, ძმობილო, კამპანია გამიწიე, ვაუკაცი არა ხარ? — შესძახა მიხა-ქარუმმა.

— თავი დაანებე, გამოიძინოს, ყველა ერთნაირად ხომ ვერ იტანს სასმელს, — გამოექომაგა ქალი.

მიხა ადგა, მიუახლოვდა ხუტას და შეანჯღრია. ხუტამ რაღაც გაუგებარი წაილუღლუღა.

— შენ კი არ გეძინება? — შეეკითხა ვანდა მიხას, – თქვე უკუღმართებო, მე საქმისათვის შეგახვედრეთ ერთმანეთს, თქვენ კი ასე უღმერთოდ დათვერით.

— საქმისათვის, თორემ სამსახურში არ დაგაგვიანდეს.. — ისეთ საყვედურს მოგცემს ბებია, რომ არ მგონია, კმაყოფილი დარჩე.

— ფეხებსაც ვერ მომჭამს, — წაიბურტყუნა მიხამ, — არ გამაჯავროს, თორემ იმ შენს ვერასაც კისერს მოვუგრეხ.

ხუტამ ბებია ვერას ხსენებაზე ყური ცქვიტა,

— აბა, სცადე, ის უფრო ადვილად მოგიგრეხს კისერს, მაინც კარგი თვალით არ გიყურებს, რაც ის გომბიო გაგვისხლტა ხელიდან.

— ჩუმად, მან არ გაიგოს, — შეშფოთდა მიხა, — ჯერ კიდევ არ ვიცით, სანდოა თუ არა.

— ფიქრი ნუ გაქვს, ისეა მთვრალი, ყურის ძირში ზარბაზანი რომ დაუცალო, ვერ გაიგებს, — დაამშვიდა ქალმა.

მიხა ხაპიაშვილი ადგა, ბარბაცით მივიდა ტახტთან, გაუხდელად წამოწვა და ხვრინვა ამოუშვა.

ქალი ბევრს ეჯაჯგურა ხუტას, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრა, თავი მიანება უკმაყოფილო ბურტყუნით, ჩააქრო შუქი და საწოლში ჩაწვა.

— ვინ გომბიო გაუსხლტათ ხელიდან? — ფიქრობდა გაწერელია. იქნებ სვეტლანა? კარგი და თუ მიხამ გაიტაცა და შემდეგ გაექცა, რატომ არ დაბრუნდა ლარისა გრიეკოსთან? ნუთუ სხვა ვინმეა და არა

სვეტლანა? საინტერესოა, ბებია ვერა იგივე დეიდა ვერონიკა ხომ არ არის? თუ მართლა ვერონიკაა, მაშინ დიდი სიფრთხილეა საჭირო, დეიდა ვერონიკა ხომ იცნობს ხუტას? ნახავს თუ არა, მაშინვე მიხვდება, რომ ეს ახალგაზრდა პატიმრობიდან განთავისუფლებული ვიღაც კოკი ჟვანია კი არა, მილიციის თანამშრომელია, რომელმაც ამ ხუთიექვსი წლის წინათ მერი მალდონატოსთან გააბა ურთიერთობა დაღესტანში და მთელი ბანდა ჩაუგდო ხელში მილიციას. არა საჭიროა ხვალვე მოეთათბიროს ამ საკითხზე ბესლან ავიძბას, საჭიროა ერთად შეიმუშაონ მოქმედების ახალი გეგმა...

გათენებისას ხუტა წამოდგა, შეიშმუშნა, შუბლი მოისრისა, ფანჯარასთან მივიდა, გამოაღო და ზღვის ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა, შემდეგ მაგიდისკენ შემობრუნდა, რომ კონიაკი დაელია, მაგრამ ყველა ბოთლი ცარიელი აღმოჩნდა.

ვანდას გამოღვიძებოდა და ჩუმად ადევნებდა თვალს. შემდეგ გაიცინა და თქვა:

— იმ უკუღმართ ქარუმას სულ გამოუწრუპია. კარადა გამოაღე, იქ კიდევ უნდა იყოს გაუხსნელი ბოთლი, თუმცა, დამაცა — ქალი პერანგის ამარა წამოხტა ლოგინიდან, კარადიდან ბოთლი გამოიღო, დაუსხა და ღიმილით შესთავაზა. ვაჟი დააცქერდა ქალის გაფუებულ გულმკერდს.

— აბა, ნუ აცეცებ თვალებს, თორემ სინათლეს დაჰკარგავ, — შემდეგ ხმას დაუწია, — საღამოზე ქარუმს გავისტუმრებ და...

მიხას გამოღვიძებოდა. ქალის ლაპარაკს რომ ყური მოჰკრა, სიტყვა აღარ დაამთავრებინა.

— ვანდა, კიდევ დაიწყე?

— შე სულელო, მე ქმრის ერთგული არ ვყოფილვარ და გინდა შენი ერთგული ვიყო? რას მიბღვერ? შენ ხომ დაეთრევი ვიღაც გოგოებში?

ქალმა ჩაიცვა და სამზარეულოში გავიდა.

მიხაც წამოდგა. მაგიდასთან მივიდა და კონიაკი გადაჰკრა.

— იცი, რა გაუმაძღარია ეს რძეძაღლი? ტყუილად კი არ გააგდო ქმარმა. ყოველ ნაბიჯზე ღალატობდა! — შესჩივლა ხუტას.

— რა მენაღვლება, ეგ ჩემი გემოვნების ქალი არ არის და არც ვაპირებ რამე ურთიერთობას.

მიხამ იჭვნეული თვალით შეხედა და სკამზე ჩამოჯდა.

— როგორ გამოიძინე? — ჰკითხა.

— ამასაც თუ ძილი ჰქვიან, ისე ვიყავი მთვრალი, რომ აღარაფერი მახსოვს, საერთოდ, ვერ ვიტან კონიაკს და არაყს. ღვინოს კი კარგად გეახლები.

— მე კი პირიქით, ღვინო ადვილად მათრობს.

— მიჩვევაზეა ყველაფერი, წინათ არაყის გემო სულ არ ვიცოდი. პატიმრობასა და გადასახლებაში შევეჩვიე ცოტათი.

— დიდი ხანია გათავისუფლდი?

ხუტამ პასუხად უბის ჯიბიდან განთავისუფლების ქაღალდი ამოიღო და მიხას გაუწოდა.

— ო, ჩემზე მეტი სტაჟიანი ყოფილხარ. მე სამ წელიწადს და რვა თვეს მალესინეს ციხე. ახლა რას აპირებ?

— რას უნდა ვაპირებდე? ცხოვრება ხომ მინდა? მაშასადამე, ფულის შოვნაც საჭიროა.

— სად აპირებ მუშაობის დაწყებას?

— უკვე დავიწყე.

— მართლა, სად დაიწყე?

— მატარებელზე. განა ცოტაა მგზავრი? შენ რას საქმიანობ?

— მე უფრო სუფთა ხელობა ავირჩიე — ნავსადგურები...

— მაგას მოხერხება უნდა. ყველას არა აქვს უნარი!

— რომ იცოდე, რა ადვილი საქმეა. არც ის უცხოელები არიან დოყლაპიები, ხშირად ნივთებში ფულის მაგივრად ობლიგაციებსა და ლატარიის ბილეთებს ვაძლევ. თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნება, ერთად ვიაროთ. ბევრგან უკვე შემჩნეული ვარ და შეიძლება ადვილად ჩავვარდე. ორნი რომ ვიქნებით, სულ სხვაა.

— ისე ამოწყდნენ ჩვენები, რომ მარტოობას გრძნობ?

— არ ამოწყვეტილან, კიდევ ბოგინობს თითო-ოროლა, მაგრამ ცოტანიღა დავრჩით, ძალიან ცოტანი, — ამოიოხრა მიხამ.

— მე გამიგია გერმან ბაზილი. აბა, ის იყო თურმე საქმის გამკეთებელი, აი.

ხუტამ სიტყვა გაუკრა.

— ის რომ იყო, იყო! მისი სადარი არც ყოფილა და არც იქნება. მაგრამ რას იზამ, ჩავარდა და თავიც გადააყოლა.

— იმაზე ბევრი რამე ითქვა გადასახლებაში. ჰო, კიდევ ვიღაცა დეიდა ვერონიკაზე ლაპარაკობდნენ, ქალი იყო მაგრამ საქმეში ვაჟკაცებს სჯობნიდაო.

— ვიცი, ძალიან მოხერხებული ქალი იყო.

— ამბობენ, ამნისტიით გაათავისუფლესო. — მეც გავიგე ეს ამბავი. — ახლა სად არის ნეტავი?

— არ ვიცი, – ისე უპასუხა მიხამ, რომ ხუტა მიხვდა, მან ძალიან კარგად იცოდა ვერონიკას სამყოფელი.

თავი IV

ხუტამ უკვე შეიტყო, რის გაგებაც უნდოდა, ახლა ერთი სული ჰქონდა, ვიდრე ბესლან ავიძბას შეხვდებოდა, უნდა გაეფრთხილებინა, რომ მიხა ხაპიაშვილი არ ასდევნებოდა.

საუზმის შემდეგ ისე წავიდ-წამოვიდნენ, აღარაფერი უთქვამთ.

ხუტა ვარაუდში არ მოტყუებულა, მიხა ჩუმად უკან აედევნა, მაინც მოახერხა და ავტომატ-ტელეფონით დაუკავშირდა ბესლან ავიძბას. შეთანხმდნენ, სად შეხვედროდნენ ერთმანეთს, შემდეგ კი „ქურდი“ კოკი ჟვანია საკოლმეურნეო ბაზარში გავიდა, მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მიხა შორიდან უთვალთვალებდა. კარგა ხნის ხეტიალის შემდეგ მილიციის თანამშრომელი ქალი შეამჩნია. მას გლეხის ქალივით ეცვა და ვიღაც დედაკაცს ქათამს ევაჭრებოდა. ხუტამ მიიხედ-მოიხედა და გვერდზე აეტმასნა.

უცებ ქალმა ყვირილი ატეხა, ხუტას ხელი სტაცა.

— ქურდო, ჩქარა მომეცი ჩემი ფული!

— რის ფული,რა ფული, გაგიჟდი? აბა მოკეტე, თორემ!... გაიქაჩა ხუტა.

— მიშველეთ, ფული ამომაცალა! მილიცია!

ხუტამ თავის დაძვრენა დააპირა, მაგრამ თვალის დახამხამებაზე მილიციელი გაჩნდა, საყელოში მაგრად ჩაავლო ხელი და განყოფილებაში წაიყვანა. იქ მას ბესლან ავიძბა ელოდა.

ხუტამ დაწვრილებით უამბო თავისი წინაღამინდელი თავგადასავალი.

— შენი მასალები, ჩემო ხუტა, ძალიან საინტერესოა, — უთხრა ბესლანმა, — მაგრამ სრული არ არის. მიხა ხაპიაშვილს, რომელსაც ჩვენ ქარუმ ფეთქაურად ვიცნობთ, ჯერ კიდევ ყველაფერი არ გაუმჟღავნებია. რაკი აგედევნა კიდეც, ჩანს, მთლად არ გენდობა. ჯიბგირობისათვის შენი დაპატიმრება კიდევ ერთი დამარწმუნებელი საბუთი იქნება მისთვის, მაგრამ მაინც არასაკმარისი.

— თქვი, რას მირჩევ?

— ყური დამიგდე: ლარისა გრიეკოს ნაამბობის მიხედვით, მკლავზე ტატუირებული შავი ვარდი უბრალო ნაეშმაკარი კი არა, პაროლი ყოფილა, რომლითაც თავისიანებს სცნობენ.

— მაშასადამე, ამ სიბერის დროს მკლავი უნდა დავიტატუირო.

— არა, ტატუირება რა საჭიროა? ძველ ტატუირებას ახლისაგან მთლიანად ბეციც კი გაარჩევს. ქიმიური ფანქრით უნდა დაიხატოს. შენ გრიეკოს მკლავის ფოტოსურათი გაქვს, ოსტატი კი მე ვარ. მომეცი აქ, ისე დაგიქარგო, თვითონ გერმან ბაზილიც რომ გაცოცხლდეს, თავის ნახელავისაგან ვერ გაარჩიოს.

დიდხანს იჯდა ხუტა ჩაფიქრებული. შემდეგ თავი აიღო და მეგობარს შეხედა.

— კარგი, მაგრამ თუ დეიდა ვერონიკა თავისუფალია და მაგათთან არის, მაშინ შავი ვარდი რაღას მიშველის? რა სახითაც არ უნდა ვეჩვენო, მაინც მიცნობს.

— ეგ ალქაჯი თუ მართლა ბათუმშია, მაშინ კვლავ დახმარება დაგვჭირდება თბილისიდან. აქ კი ჯერჯერობით არავინ გიცნობს.

კიდევ ერთხანს ითათბირეს, მოქმედების ახალი გეგმა შეიმუშავეს. შემდეგ კი ბესლანმა ხუტას მარცხენა მკლავზე შავი ვარდი ოსტატურად მოუხატა.

ხუტა გაწერელიამ მოხსენებითი ბარათი შეადგინა პოკოვნიკ ზურაბ ლომაურის სახელზე. დაწვრილებით აღწერა საქმის ვითარება და სთხოვა, დამხმარედ ვინმე გამოეგზავნა, რადგან მალე ბათუმში მოუწევდა ჩასვლა.

მოხსენებითი ბარათი ბესლან ავიძბას დაუტოვა, რომ სასწრაფოდ გაეგზავნა თბილისში. შემდეგ მილიციის განყოფილებიდან გამოვიდა და რადგან იცოდა, რომ ხაპიაშვილი უეჭველად უთვალთვალებდა, ათიოდე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ შენობისაკენ შებრუნდა, მუშტი მოუღერა და ზიზღით გადააპურჭყა.

ვანდას ბინაში მას მიხა ხაპიაშვილი და ოჯახის დიასახლისი დახვდნენ.

— არ მეგონა, თუ ასე ადვილად ჩავარდებოდი, — უსაყვედურა მიხამ.

— კოკა მუდამ ვერ მოიტანს წყალს, — უგულოდ მიუგო ხუტამ.

— როგორ დააღწიე თავი?

— ვერაფერი მიპოვეს. საფულე გზაში შეუმჩნევლად გადავაგდე.

— დიდხანს კი გაგაჩერეს.

— თითქოს არ იცნობდე მათ. როდესაც ხელში ჩაუვარდები, ცერემონიებს არ დაგიწყებენ.

ხუტა წამოდგა, პიჯაკი გაიძრო და ტახტზე მიაგდო. ახლაღა შეამჩნია, რომ პერანგის სახელოზე ღილი ასწყვეტოდა. გაიხადა და ვან-

დას სთხოვა მიეკერებინა. მარცხენა მკლავზე შავად გაიელვა შავმა ვარდმა.

ხუტამ ღილმიკერებული პერანგი სასწრაფოდ გადაიცვა, რათა „დამღა“ მალე დაემალა.

ვანდამ მიხას თვალი ჩაუკრა და მერე სუფრის გაშლა დაიწყო.

სადილმა უხმოდ ჩაიარა. ხუტა ცოტას სვამდა, უგუნებობა ემჩნეოდა. დამხვდურთა აზრით, ეს უგუნებობა განცდილი მარცხით იყო გამოწვეული. სადილის შემდეგ ვანდა საბანაოდ წავიდა.

— ხვალ ბათუმში მივდივარ, კოკი, — უცებ დაიწყო მიხამ.

— სადაც გინდა წადი, რა მენაღვლება!

— დეიდა ვერონიკას უნდა შევხვდე. შენ არ წამოხვალ?

— ბათუმში რა დამრჩენია?

— დეიდა ვერონიკას ნახვა არ გინდა?

— რაში მჭირდება, გადაყრუებული ბებრუცუნა...

— მაგას ნუ იტყვი, ისეთია, გაახალგაზრდავებული გეგონება. შენი ნახვა გაუხარდება.

— საიდან იცი, რომ დეიდა ვერონიკას ვიცნობ?

— ნუ თვალთმაქცობ, ეგ შავი ვარდი დეიდა ვერონიკას ნახელავია. დავინახე თუ არა, იმ წუთშივე ვიცანი.

— დაინახე? — უღიმღამოდ იკითხა და ხელი ჩაიქნია, - დიდი ხნის ამბავია, გერმან ბაზილის დროინდელი.

— იცნობდი გერმან ბაზილს?

— თუ მის ნიშანს ვატარებ, მაშასადამე ვიცნობდი კიდეც.

— ჩვენში ძია ფიდოს ეძახდნენ, პაპაჩემთან მთებში ხშირად ამოდიოდა. მამაჩემთან და ბიძასთან ერთად ბევრი სარფიანი საქმე გაუკეთებია. უჰ, მაშინ იყო დრო, ახლა რა ვართ? სულ რამდენიმე კაციღა ვბოგინობთ. კიდევ კარგი, დეიდა ვერონიკა შემოგვრჩა, დანიელ ბოშას თუ იცნობ?

— იმას ხომ დახვრეტა ჰქონდა მისჯილი.

— თხუთმეტი წლის პატიმრობით შეუცვალეს. შემდეგ გამოიქცა.

— სად მუშაობს?

სადღაც აქეთ, მგონი ბათუმთან, ისეთი სახეძაღლია, მეც არ მეუბნება, მარტო დეიდა ვერონიკამ იცის.

— რა გვარს ატარებს?

— იქ შეხვდებით და თვითონ გეტყვის.

— ცოტანი ყოფილხართ. გერმან ბაზილის დროს მაგარი ჯგუფი იყო და საქმეც კეთდებოდა, მას შემდეგ კი, რაც გაბაწრეს, ყველა-

ფერი უკუღმა წავიდა, სხვებიც ბევრნი მიგვაყოლეს. მე ვერ დამიმტკიცეს მასთან კავშირი: ვადიმმა არ გამთქვა, თორემ ექვსი წლის პატიმრობით არ გადავრჩებოდი.

კარგა ხანს უსმენდა მიხა ხუტას წუწუნს, მერე ჰკითხა:

— რატომ არ გინდა დეიდა ვერონიკასთან წამოსვლა?

— ჩვენ აქაც დიდ საქმეებს ვაკეთებთ. არ გიცნობ და არც ვიცი, რა მარიფათის კაცი ხარ, დეიდა ვერონიკა არაყზე იყო გადაყოლილი და ახლა აღარაფრის მაქნისი იქნება. დანიელი დოყლაპიაა და დამოუკიდებლად არაფრის შნო არა აქვს. ვისთან წავიდე?

— მე არ მიცნობ, მაგრამ მალე გამიცნობ და ნახავ, რისი გამკეთებელი ვარ, — დაიქადნა მიხამ.

— საქმის გამკეთებელი სპეკულაციაზე არ დაბანდდება.

— შენც ხომ ჯიბგირობ?

— ხანდახან, თითების გასავარჯიშებლად.

— მეც გამიკეთებია დიდი საქმეები.

— მაინც ვერ მოგენდობი.

— რატომ? — იწყინა მიხამ.

— სასმელს ეტანები.

— შენც არ უარობ სასმელს.

— მე შამპანურს უფრო ვეწყობი. არაყსა და კონიაკს იშვიათად, ადამიანის ორგანიზმზე ღვინო ისე არ მოქმედებს, როგორც არაყი და კონიაკი. გარდა ამისა, ახალი განთავისუფლებული ვარ პატიმრობიდან და მინდა, მაგარი ჯგუფი შევკრა, გერმან ბაზილისებური.

— დეიდა ვერონიკაც ამაზე ოცნებობს.

— კიდევ დეიდა ვერონიკა. მომაშორეთ თავიდან ის გახრწნილი, ლოთი დედაბერი!

— ის დედაბერი ჩემი ხელმძღვანელია.

— ვისი, შენი და იმ დოყლაპია ბოშასი?

— რატომ, კიდევ გვყავს ხალხი.

— დეიდა ვერონიკა უეჭველად კმაყოფილი იქნება შენი მუშაობით.

— ეხლა ის ძალიან გაჯავრებულია ჩემზე. ერთი გომბიო გამისხლტა ხელიდან და ეს ვერ მოუნელებია. წამოდი, გაუხარდება, იქნება გულს ცოტა გადაეყაროს.

— განა რა გახდა ეგ ვიღაცა გომბიო?

მიხა ადგა, კარადასთან მივიდა, კონიაკი გამოიღო და დაისხა.

— შენც ხომ არ დალევ? — შეეკითხა ხუტას.

— მხოლოდ ერთ ჭიქას.

მიხამ მეორე ჭიქაც გადაჰკრა და ტუჩები ენით მოილოკა.

— ამ ერთი თვის წინათ სოფელში ავედი, პატარა საქმე მქონდა. ერთი ცალთვალა ბიძის მეტი იქ არავინა მყავს. იქიდან მალე დავბრუნდი. მცხეთის სადგურზე მატარებლის მოლოდინში ბუფეტში კარგად გამოვიბრუჟე. ვაგონში რომ ავედი, ჩემს ადგილს ვერ მივაგენი და შეცდომით თავი სხვა კუპეში ამოვყავი. ვხედავ, ქვემოთ საწოლზე ვიღაც გოგო გაშოტილა და სძინავს. ზეზე წამოვაგდე, მაგრამ მგზავრებმა ერთი აყალმაყალი ამიტეხეს და გარეთ მიპინტრიშეს. მეორე დილით წინაღამინდელი ამბავი გამახსენდა. დავინტერესდი, ვისი გულისათვის გამომაპანღურეს. ძლივს მივაგენი. ბოდიში მოვიხადე, იქვე ჩამოვჯექი და საუბარი გავუბი. მარტო იყო, თან არავინ ახლდა. ეშერაში დასასვენებლად მიდიოდა. სოხუმში რომ ჩამოვედით, შევპირდი, რომ ეშერაში ავტობუსით გავამგზავრებდი. გაუხარდა, თურმე პირველად იყო სოხუმში.

სადგურში დეიდა ვერონიკა დამხვდა. როგორც კი შეხედა ქალს, ატირდა და გადაეხვია. გოგო მოულოდნელობისაგან გაშტერდა.

— ვინ ბრძანდებით?

— ეჰ, შვილო, ნუთუ ისე გამოვიცვალე, რომ ვეღარ მცნობ? შენ მაშინ პატარა იყავი და შეიძლება არც გახსოვდე. შენ ხომ ჩემი საყვარელი კირა ზაბორას ქალიშვილი ხარ?

— დიახ, ასე ერქვა დედაჩემს.

— მამაშენი ფრონტზე დაიღუპა. სამშობლოსათვის დასდო თავი.

— თქვენ საიდან იცით?

— როგორ თუ საიდან! არ გახსოვს, როგორ წაგიყვანე ბუინაკსში მერისთან?

— დიახ, ახლა მაგონდება, თქვენ ბებია ვერა ბრძანდებით?

— მადლობა ღმერთს, არ დაგვიწყებივარ, საყვარელო. აქ როგორ მოხვდი?

— ეშერის სანატორიუმში წამოვედი დასასვენებლად.

— ჩემო თვალისჩინო, რამხელა გაზრდილხარ, დაქალებულხარ. მაშინ პატარა გოგონა იყავი. ხომ არ გათხოვდი?

— რა მეჩქარება გათხოვება, ჯერ უნდა ვისწავლო.

— ჩემო სვეტლანა, სვეტა, საყვარელო, წავიდეთ ჩემსას, დაგასვენებ, გასადილებ და შემდეგ კი მე თვითონ მიგიყვან სანატორიუმში.

გოგო დაფიქრდა, ერთხანს ყოყმანობდა, მერე მოხუცის განაწყენებას მოერიდა და წაჰყვა. როცა ტაქსში სხდებოდნენ, ვერონიკამ დამიბარა:

— შენ ნაშუადღევს გამომიარე მანქანით. სანატორიუმში სვეტა უნდა წავიყვანოთ.

ნაშუადღევს დეიდა ვერონიკას ნაჩუქარი მანქანით მივედი. ჩასხდნენ და წავედით.

— ეშერისაკენ, — მითხრა ვერონიკამ, — მხოლოდ ნელა იარე, სვეტლანა თავს სუსტად გრძნობს, თუმცა, მოიცა. გააჩერე მანქანა, — მიბრძანა მან. მე გავჩერდი. უკვე ქალაქგარეთ ვიყავით გასულები.

— ბებია, თავი მიბრუის, გულიც მერევა, — შესჩივლა გოგონამ.

— ახლავე, ჩემო სანატრელო, ახლავე, გენაცვალე,

— ვერონიკამ შაქრის ნატეხი ამოიღო, რაღაც დააწვეთა და გაუწოდა, — გამომართვი, შვილო, მოწუწნე, მოგიხდება.

გოგომ პირში ჩაიდო შაქარი და ცოტა ხნის შემდეგ მიეძინა.

ვერონიკა ბოროტად მოიღუშა.

— ჩავარდი თუ არა ჩემს ხელში, შე ძაღლის ნაშიერო? - ღვარძლიანად ჩაიხითხითა და მერე მე მომიბრუნდა, — იცი, ეს გომბიო ვინ არის? მაგისი დედა ჩვენი ბანდის აქტიური წევრი იყო. ვადიმს ხასად ჰყავდა მახაჩყალაში, მის ბინაში გვქონდა თავშესაფარი, მაგრამ ჩავარდა. მაშინ დააპატიმრეს დანიელ ბოშაც. იმჟამად მე ბუინაკსში ვიყავი. ამ გომბიოს დედა — კირა ზაბორა, აზა სუმბარის გვარით ბოშათა ანსამბლში ცეკვავდა. ვადიმ ურალოვმა სცენაზე მოკლა, რადგან ძვლები მაგარი არ ჰქონდა და თუ დააპატიმრებდნენ, ყველაფერს დაამღერებდა. ეს გოგო მაშინ ვადიმის დავალებით მე ავიყვანე, მაგრამ მერიმ, იმ საზიზღარმა, ცხვირწინ ააცალა ვადიმს და სადღაც მიიმალა. მერი!.. აი, ქალი ის იყო, მაგრამ ის გაოხრებული ვაჟკაცებს არ უგდებდა ტოლს. მან მე ბევრი შეურაცხყოფა მომაყენა. ვიცი, ეს გოგო მისთვის მეტად ძვირფასია, ამის დაკარგვით გულს მოვუკლავ და თავბედს ვაწყევლინებ.

— ამ გოგოს მოკვლას აპირებ? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— რატომ მოვკლავ? თავის დედასავით გავათახსირებ, — განა ეს ცოტაა?

იმ ღამეს ნოვოროსიისკში მივედით, განაპირა უბანში ვერონიკას თავისიანები ჰყავს. სვეტლანა მასთან მივიყვანეთ.

იქ ერთ კვირას გავჩერდით. ვერონიკამ სვეტლანას მარცხენა მკლავზე შავი ვარდი ამოუჩხვლიტა. ქალი მიხვდა, ვის ხელშიც ჩა-

ვარდა და გაქცევა დააპირა. ვერ გაგვისხლტა. ვერონიკა აშიშვლებდა, შიშველ ტანზე წკეპლით სცემდა, დამშეულს მარილიან საჭმელს აძლევდა და წყალს არ აკარებდა. ვერ იქნა და ვერ მოარჯულა.

ერთ დღეს გოგომ გაპარვა მაინც მოახერხა. ვიცოდით, უფულოდ შორს ვერ წავიდოდა. ქალაქში დავუწყეთ ძებნა. ვერონიკამ ნავსადგურში მიაგნო, იქ რას უზამდა? — უთვალთვალა და ნახა როგორ ავიდა სვეტლანა ჩამომდგარ თბომავალზე. სასწრაფოდ მომნახა და მითხრა, შეუმჩნევლად გავყოლოდი, გემზე მომეკლა და ზღვაში გადამეგდო. ჩუმად გავყევი და აი ღამით, მარტოდმარტო გემბანის მოაჯირზე დაყრდნობილ გოგოს მივეპარე, ვტაცე ხელი და წყალში გადავუშვი. ვიღაც დამთხვეული ბიჭი გადაჰყვა. გემი გააჩერეს და ნახევრად გაგუდული ქალი ამოათრიეს...

დეიდა ვერონიკა სოხუმში ნავსადგურში დამხვდა. დარწმუნებული იყო, რომ სვეტლანას გვამს უკვე თევზები ძიძგნიდნენ, როდესაც შეიტყო ქალიშვილის გადარჩენა, ელდა ეცა. ისე გამომლანძღა, რიონიც ვერ გამრეცხდა. ერთხანს იმედი გვქონდა, რომ ქალს სოხუმში ჩაიყვანდნენ და გატაცებას მაინც მოვახერხებდით, მაგრამ სოხუმში არ ჩამოუსვიათ. დეიდა ვერონიკამ გვირჩია, ბათუმში წავსულიყავით, რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთში ყველაფერი დაბეჭდეს. იქიდან გავიგეთ, რომ ქალი ფოთის საავადმყოფოში მოეთავსებინათ. მე მაშინვე ფოთისაკენ გავეშურე. იქ გავიგე, რომ სვეტლანა საავადმყოფოდან სადღაც გამქრალიყო.

ხუტა გაწერელია გულდასმით უსმენდა ხაპიაშვილს. როგორც იქნა, გაიგო, რა დაემართა სვეტლანას. მაშასადამე, სვეტლანა ცოცხალია. ახლა საჭიროა მისი მოძებნა, შემდეგ კი ამ უბადრუკი შავვარდოსნების წამოკრეფა.

— თუ დაიკარგა, დაიკარგოს, რაღას დაეძებთ?

— ახლა იგი ჩვენთვისაც საშიშია.

— სად არის ახლა დეიდა ვერონიკა?

— ბათუმშია, მე მელოდება. კარგს იზამ თუ შენც წამოხვალ სხვაც არ იყოს, სვეტლანას ძებნაში მოგვეხმარები. წამოხვალ?

ხუტას გულით უნდოდა გაჰყოლოდა მიხას, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, იმ დედაბერს დიდებული მეხსიერება ჰქონდა. ბესლან ავიძბას აუცილებლად კვლავ უნდა მოთათბირებოდა.

— მერე და ვანდა გამომიშვებს აქედან?

— ერთი შენც, ამ ქვეყნის ნათრევ კახპას აჰყოლიხარ. რ, ნახე ამ დამპალში, რომ ეგრე დაგაბა?

— კარგი, მოვიფიქრებ და ხვალ დილით გეტყვი პასუხს. სამუშაოდან დაბრუნებული ვანდა შემოვიდა და გაოცდა, რომ ისინი კვლავ ოთახში დახვდნენ:

— არ გეყოთ ამდენი ლაქლაქი? მოდით, ივახშმეთ. ერთი ბოთლი კონიაკი კიდევ მოვიტანე.

— არაფერი არ მინდა, ისე ამტკივდა თავი, თუ ჰაერზე არ გავიარე, გავგიჟდები, — მოიმიზეზა ხუტამ და ოთახიდან ისე გავიდა, ვანდას ხვეწნისათვის ყურიც არ უგდია.

მეორე დილით, როცა ხუტა ვანდას ბინაში მივიდა, დიასახლისი უკვე წასული დახვდა. მიხას გაეღვიძა და ამფსონის მოლოდინში უგულოდ იყურებოდა ფანჯრიდან.

— რატომ წახვედი წუხელ? — უსაყვედურა.

— რა საჭიროა ერთ ქალთან ორი კაცი.

— სისულელე გააკეთე. ვანდა ისე გაბრაზდა, ახლოსაც არ მიმიკარა.

— პირიქით, ვფიქრობდი, ხელს შევუშლი-მეთქი.

— რა ჰქენი, გადაწყვიტე წამოსვლა?

— არა, შენ წადი, მე ორიოდე დღის შემდეგ ჩამოვალ ბათუმში, მხოლოდ შევთანხმდეთ, სად უნდა შევხვდეთ.

მოილაპარაკეს და მიხა ხაპიაშვილი ბათუმში გაემგზავრა. ხუტამ წინა ღამით ინახულა ბესლან ავიძბა, რომელმაც ურჩია, რომ ბათუმში ისე ჩასულიყო, ვერონიკას თვალში არ მოხვედროდა. იქ მის ბინას იპოვიდა და განუწყვეტლად უთვალთვალებდა. დაუკავშირდებოდა მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებას და სვეტლანას ძებნას დაიწყებდა. საჭირო იყო, მიხასთვის დაესწრო, თორემ საქმე ისევ გაჭიანურდებოდა.

ხუტამ ვრცელი მოხსენებითი ბარათი შეადგინა პოლკოვნიკ ზურაბ ლომოურის სახელზე და ბესლან ავიძბას გადასცა, რათა ბარათი თბილისში სასწრაფოდ გაეგზავნა.

თავი V

სოხუმიდან დაბრუნებულმა მიხა ხაპიაშვილმა დეიდა ვერონიკა სასწრაფოდ ინახულა. იგი ქალაქის განაპირა, ნახევრად მინგრეულ ქოხმახში მცხოვრებ დედაბერთან იყო შეკედლებული. ქოხი მოწყობილობით ვერ ბრწყინავდა, მაგრამ ეშმაკ დედაბერს ბევრი ფული და ძვირფასეულობა შავი დღისთვის ჰქონდა გადამალული.

სოხუმის ამბები მიხამ დაწვრილებით უამბო ვერონიკას და პატიმრობიდან ახლად განთავისუფლებული ვინმე კოკი ჟვანიას გაცნობაც დაამატა ზედ, რომელსაც მარცხენა მკლავზე შავი ვარდი ჰქონდა მოხატული.

ვერონიკამ დაწვრილებით გამოჰკითხა ყოველივე და ღრმად ჩაფიქრდა.

— არა, ასეთი ჩვენში არავინ ყოფილა. მარცხენა მკლავზე ჩვენი ნიშანი აქვსო? შენ თვითონ ნახე, თუ იმ ცერცეტა ვანდასაგან გაქვს გაგებული?

— ჩემი საკუთარი თვალით ნანახს გეუბნები.

— თუ ჰასან ლეკია — ჩიფჩიფებდა დაფიქრებული დედაბერი, — მაგრამ ჰასანი გაქცევის დროს მოკლეს, დანამდვილებით ვიცი..

— არა, ლეკი არ არის.

— მე ყველა მახსოვს. მათი უმეტესობა მიწაში ლპება. ნუთუ ისე მოვხუცდი, რომ მეხსიერებამ მიღალატა?

— მარტო შენ კი არა, ყველა თქვენიანი ჩამომითვალა.

— თუ ყველა ჩამოთვალა, მაშინ ძველი ყოფილა, როცა ჩამოვა, არ უთხრა ჩემი აქ ყოფნა. მინდა, შორიდან დავინახო.

— დეიდა, რა ყველგან საშიშროება გელანდება? გეუბნები, ჩვენია-მეთქი. ალბათ აღარ გაგონდება, შენი ხნის ადამიანისათვის ძნელი როდია დავიწყება. ჩემი თვალით ვნახე სოხუმში, ჯიბგირობისთვის როგორ დაიჭირეს.

— ჭიჭყინა ყოფილა, ჩვენში ზვიგენები იყვნენ და სხვის ჯიბეში კაპიკებისთვის არ აფათურებდნენ ხელებს. ასე თუ ისე, წინასწარ უნდა შევამოწმოთ, ისე ვერ ვენდობი.

— რა მენაღვლება, შეამოწმე. როგორც კი ჩამოვა ბათუმში, შორიდან დაგანახვებ.

— რატომ იგვიანებს?

— არ ვიცი, ალბათ იმ კახპა ვანდამ არ გამოუშვა.

— ერთი ეს მითხარი, ის შენი კოკი ჟვანია აფხაზი ხომ არ არის?

— ეგ რაღამ მოგაგონა?

— რა ვიცი, შვილო, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყო, ხომ იცი თუ კიდევ ჩავვარდით, მამაღმერთი ვეღარ გვიშველის. აფხაზზე იმიტომ დამებადა ეჭვი, რომ ის ეშმაკის ნასხლეტი ისე შემოგვიძვრა, რომ თვითონ ვადიმ ურალოვიც კი მოატყუა — აფხაზი ჩაჩბა ვარო... დანიელ ბოშა ინახულე და გააფრთხილე, ისიც იცნობს იმ ჩაჩბას.

ვერონიკამ მიხას თავი გამოუტენა დარიგებებით. შეხვედრის დრო დაუნიშნა და დავალებებით დატვირთული გაუშვა.

...მიხა ხაპიაშვილის სოხუმიდან წასვლის შემდეგ, იმავე საღამოს ხუტა გაწერელია ბათუმს გაემგზავრა. მან იცოდა, რომ ბათუმში არჩილ ჩოხელი იყო ჩასული. ხუტამ ბესლანს დაავალა, ბათუმში მილიციის სამმართველოს დაკავშირებოდა. აგრეთვე ჩოხელისათვის ეცნობებინა, რომ მანქანა მახინჯაურში დახვედროდა.

მახინჯაურის სადგურში ხუტას არჩილ ჩოხელი და ბათუმის მილიციის მუშაკი ჯემალ ქედელიძე დახვდნენ. როგორც კი ბათუმში ჩავიდნენ, ჯემალის სამუშაო ოთახში ჩაიკეტნენ.

— ხუტა, თუმცა შენ მოხსენებაშიც და ჩემთან გამოგზავნილ წერილშიც დაწვრილებით იწერებოდა მიხა ხაპიაშვილთან შეხვედრაზე, მაგრამ ზოგიერთი დეტალის დაზუსტება მაინც საჭიროა. პოლკოვნიკი ლომაური შენი სიმარჯვით კმაყოფილია. თუ ხაპიაშვილის აღიარება არა, ვინ იფიქრებდა, რომ გაზეთში გამოცხადებული ლიდა საბინა სვეტლანა გრიეკო იქნებოდა? ახლა ეს მითხარი, თუ დაადგინე, ამჟამად სად იმყოფება დანიელ ბოშა და ის ტარტაროზი ვერონიკა? ან სვეტლანა სად წავიდოდა? მეგონა, ნაზიმ ზოიძის ბინაში აფარებდა თავს. იმ ბიჭის პაპასთან, ვინც სიკვდილს გადაარჩინა, მაგრამ იქ არ აღმოჩნდა და მისი არც რაიმე იციან. ეტყობა, იმ საწყალ ბიჭს გულში ჩაუვარდა — კინაღამ შეიშალა, რომ გაიგო, დაიკარგაო... ჩემი აზრით, ან ვინმე გულკეთილ ადამიანს შეეკედლა, ან ვერონიკას ბრჭყალებში ხელახლა ჩავარდა.

— მიხამ თქვა: ჯერჯერობით არ ვიცით, საით წავიდაო.

— გგონია, მიხა ყველაფერში გულახდილია? შეიძლება არ გაამხილა შენთან.

— ყველაფერი დაფქვა და რაღა მაგას დამალავდა?

— შეიძლება აგრეც იყოს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა გამოვარკვიოთ სვეტლანას ადგილსამყოფელი და დავიც-

ვათ. თორემ თუ მიხამ და ვერონიკამ მოგვასწრეს, ხელახლა გაიტაცებენ.

— ხომ არ ემჯობინება, მიხა და ვერონიკა დავაპატიმროთ? — ჩაერია საუბარში ჯემალი.

— რა საბუთით? რა კონკრეტული მასალები მოგვეპოვება მათ დასაპატიმრებლად? სად არის მამხილებელი საბუთები? არც ერთი პროკურორი არ მოგვცემს სანქციას. რას იზამ, ძმაო, კანონს ვერ გადაუხვევ.

— საიდან შეიტყობდნენ, რომ სვეტლანა ფოთის საავადმყოფოში მიიყვანეს? - გაიკვირვა ჯემალმა.

— გაზეთებში ნათლად ეწერა, რომ ლიდა საბინა ფოთში გადაიყვანესო, ისინიც არც ისე შტერები არიან, რომ ვერ მიხვდნენ, სინამდვილეში ვინ არის ლიდა საბინა, — უპასუხა ხუტამ.

— ჩემო ხუტა, მე მგონი, შენი მისია ამ საქმეში უკვე დამთავრდა. რაც შეგეძლო, ყველაფერი გააკეთე. ახლა ვერონიკა და მიხაც უნდა დავაპატიმროთ. ოღონდ სვეტლანას აღმოჩენის შემდეგ.

— არა, მე ჯერ კიდევ საჭირო ვარ, — იწყინა ხუტამ, — ცხადია, ვერონიკას უნდა ვერიდო, მიხას კი კიდევ ბევრ რამეს გამოვწურავ. თუნდაც სად ბინადრობს ის ალქაჯი დედაბერი. ან სად იმალება დანიელ ბოშა. ამას მარტო მე შევძლებ.

— იცი რა? — მცირეოდენი ფიქრის შემდეგ თქვა არჩილმა, მოდი, შენ ისევ მახინჯაურში დაბრუნდი და იქიდან მატარებლით ჩამოდი. ხაპიაშვილი ალბათ გელოდება და ყოველ ჩამოსულ სამგზავრო მატარებელს უხვდება, მე და ჯემალი იქვე, სადგურში ვიტრიალებთ, შენ ერთ მგზავრს, რა თქმა უნდა, ჩვენიანს, ჩემოდანს ასწაპნი და ამაზე დაგაპატიმრებენ. ჩვენ მიხას მივყვებით და ვერონიკას ბინას ვიპოვით.

— თუ სვეტლანა მათ ხელშია, ამ გზით მივაგნებთ, მაგრამ თუ ჯერ არ მიუგნიათ, ძებნაში ხელს შევუშლით და შევეცდებით, ჩვენვე ვიპოვოთ.

— წარმოუდგენელია, რომ სვეტლანა ფოთის საავადმყოფოში ვინმე ავადმყოფს, ან თანამშრომელს არ დაკავშირებოდა, სხვაგვარად გაპარვა შეუძლებელი იყო.

— მეც ასე ვფიქრობ, — უპასუხა არჩილმა, — ამიტომ ჩვენ ხელახლა უნდა მივიდეთ ფოთის საავადმყოფოში.

მათ ახალი ოპერატიული გეგმა შეადგინეს და შესათანხმებლად სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსთან მივიდნენ.

თავი VI

მალხაზის მამას, პროფესორ პავლე ნაპირელს, თბილისში გამგზავრების წინ გულმა არ მოუთმინა და ზღვის პირას თავის საყვარელ ადგილისაკენ გაეშურა. ის ლოდი, რომელზედაც ხშირად უყვარდა ჯდომა და განმარტოება, მისი სიყვარულის პირველი მესაიდუმლე იყო. აქვე გაიცნო თავისი მეუღლე ფატიმა და ალბათ ეს გახლდათ მიზეზი, რომ როცა კი ბათუმს ეწვეოდა, არ შეეძლო არ მოენახულებინა იგი. იქიდან არ ემზირა ზღვის უნაპირო სივრცისათვის. ჩამოჯდებოდა თუ არა, მაშინვე იმ კარგი, ახალგაზრდული წარსულის მოგონებებში ჩაიძირებოდა.

წელს ლოდის შორიახლოს პლაჟი მოეწყოთ და ერთი ჟრიამული იდგა. პავლე ყურადღებას არავის აქცევდა. გასცქეროდა ზღვას და ენანებოდა, რომ მას მალე უნდა გამოსთხოვებოდა.

ვინ იცის, როდემდე იქნებოდა ასე გარინდებული, რომ ვიღაც დედაბერი თავს არ დასდგომოდა.

— ბოდიში, ასანთი ხომ არ გექნებათ?

პავლემ უკმაყოფილოდ შეხედა მას და გაოცდა.

დედაბერი გაბრწყინებული თვალებით შესცქეროდა.

— ასანთი გნებავთ? — მცირე ხნის დუმილის შემდეგ თქვა პავლემ და ასანთი გაუწოდა.

ქალმა პაპიროსს მოუკიდა.

პავლემ შეატყო, რომ დედაბერი ნასვამი იყო.

— რას შემომცქერით აგრე გაკვირვებით? ვეღარ მიცანით? — ბებრულად ჩაიხითხითა დედაკაცმა და ღრჯოები გამოაჩინა.

ამ კითხვამ პავლე დააბნია. მეხსიერებას ჯერჯერობით არ ემდურება.

ამ მაჯლაჯუნას ნუთუ ოდესმე იცნობდა?

— ვერა, ქალბატონო, პირველად გხედავთ.

— კარგად გამოიყურებით, ფერ-ხორცად ძალიან კარგად ხართ. თქვენ მკვდარი მეგონეთ. ალბათ დახვრეტა პატიმრობაზე შეგიცვალეს. გამოიპარეთ თუ სასჯელი მოიხადეთ? — არ ეშვებოდა დედაბერი.

— ქალბატონო, თქვენ სცდებით. ვისმეს მამსგავსებთ. პასუხისგებაში მიცემული არასოდეს ვყოფილვარ. სინდისისა და კანონის წინაშე მე პირნათელი ვარ.

— მაშ, თქვენ ბიუნაკსკში არ გიცხოვრიათ? — ჩააჟინდა ქალი.

— სცდებით. არა, იქ არასოდეს მიცხოვრია.

— არც მახაჩყალაში ყოფილხართ?

— მხოლოდ გავლით. წინათ, როდესაც შავი ზღვის სანაპიროზე რკინიგზა არ იყო, მოსკოვში გამგზავრება ბაქოზე გავლით გვიხდებოდა.

— არ მეგონა, თუ დეიდა ვერონიკა ასე მალე დაგავიწყდებოდა... რას ვიზამთ, ასეთია ცხოვრება. ძველ მეგობრებს მალე ივიწყებენ.

დედაბრის დაჟინებამ პავლე მოთმინებიდან გამოიყვანა. ლოდიდან წამოდგა, უნდოდა უკმეხი რამ ეთქვა, მაგრამ დედაბერმა თავი უცნაურად გადაიქნია, მხრები აიჩეჩა და უკან გაბრუნდა.

პავლე კაი ხანს გაჰყურებდა მას. ბოლოს დაასკვნა, რომ ვიღაც შეშლილთან ჰქონდა საქმე, უკმაყოფილოდ მოისრისა შუბლი და რაკი აქაც არ მოასვენეს, სახლისაკენ გასწია. დაფიქრებული დიდხანს დადიოდა ბაღში. თითქმის თავისი ყველა ძველი ნაცნობი გაიხსენა, მაგრამ ვერავის მიამსგავსა, ბოლოს გულმა არ მოუთმინა, სახლში შევიდა და მომხდარი ამბავი ცოლს უამბო.

— იცი რა, პავლე, — თქვა ფატიმ, — ეს პირველი შემთხვევა არ არის, უეჭველად შენს ძმას მიგამსგავსეს. ის ქალი ალბათ ერთ-ერთი მისი ამფსონთაგანია.

ძმის გახსენებაზე პავლემ ამოიოხრა.

— ის უბედური, ცოცხალი აღარ არის, მგელი იყო, მგლის ბილიკით დადიოდა და თავი გადააყოლა.

— ყველამ ხომ არ იცის, რომ მკვდარია. იქნება მის ზოგი ერთ თანამდგომს ცოცხალი ჰგონიათ?

პავლე ჩაფიქრდა და მოგვიანებით უპასუხა:

— ალბათ ასეა, ფატი, ალბათ ასეა. ჩემი ნაცნობებიდან ვერავინ გავიხსენე.

ვერონიკა მიდიოდა და ფიქრობდა, ნუთუ ეს კაცი ბანდის ყოფილი ხელმძღვანელი ვადიმ ურალოვი არ არის? არა, შეცდომა შეუძლებელია. იგი ვადიმ ურალოვის ყოველ ბეწვსაც კი იცნობდა. იცოდა მიხვრა-მოხვრა, თითოეული წვრილმანი მის მანერებში, როგორ შეიძლება ორი ადამიანის ასეთი მსგავსება? ცხადია, ვადიმია, თუმცა, რამდენადაც ახსოვს, ვადიმი ბათუმში არ დადიოდა. სულ სხვაა სოხუმი. აი, იქ ჰყავდათ თავისიანი ვიღაც ბერძენი, რომელიც კარგა ხანია დააპატიმრეს... ალბათ გამოქცეულა და აქ, ბათუმში აფარებს თავს.

მაგრამ, თუ გამოპარულია, განა ასე აშკარად გამოჩნდებოდა? იმისთანა ფრთხილი კაცი ნუთუ გაბედავდა მსგავსი წინდაუხედაობის ჩადენას? უარიც რომ განუცხადა ნაცნობობაზე? ბუინაკსკი არ ვიცი, მახაჩყალაში მხოლოდ გავლით ვყოფილვარო, ხომ არ გადაეხვეოდა და არ გადაჰკოცნიდა ყველას თვალწინ?... სხვა ვინმე ხომ არ მიიღო ვადიმ ურალოვად? ვის დაევალოს შემოწმება? დანიელ ბოშა? არა, მისი ბათუმში სააშკარაოდ გამოჩენა არ შეიძლება. ისევ ქარუმას უნდა დაავალოს: ქარუმა ხომ იცნობს ვადიმს. არ შეეშლება, ო, თუკი მართლა ვადიმ ურალოვია ის კაცი, რას გაიხარებს ვერონიკა! აბა, ახლა კი დაუდგება ნანატრი დღეები! ახლა კი გაშლის ფრთებს, თორემ რა საცოდაობაა იმ უბადრუკი დანიელ ბოშასა და დოყლაპია ქარუმას ანაბარა დარჩენა. თუმცა ჰყავს კიდევ ორიოდე წვრილფეხა, მაგრამ ისინი ანგარიშში ჩასათველნი არ არიან.

ვერონიკამ მიხა ხაპიაშვილი მოძებნა და ზღვის პირას თავისი შეხვედრის შესახებ ყველაფერი უამბო.

— ქარუმ, ის კაცი შენ უეჭველად უნდა ნახო. კარგად დააკვირდი, ნამდვილად ვადიმ ურალოვია თუ არა.

— რას ამბობ, დეიდა ვერონიკა! — გაიკვირვა მიხამ, — რა ხანია მისი ძვლები ცივ მიწაში ჰყრია. განა არ გახსოვთ, გაზეთებში რომ ეწერა, სიკვდილი მიუსაჯეს და განაჩენიც სისრულეში მოიყვანესო.

— ბევრ რამეს წერენ გაზეთებში. დანიელ ბოშასაც დახვრეტა ჰქონდა მისჯილი, მაგრამ თხუთმეტი წლის პატიმრობით შეუცვალეს. გამოიპარა და ახლა არხეინად დასეირნობს. გეუბნები, ის არის, ზღვაზე ვნახე. პლაჟთან, დიდი ლოდი რომ გდია.

მიხას არა სჯეროდა გერმან ბაზილის მკვდრეთით აღდგომა, მაგრამ დედაბრისათვის მის მოძებნაზე უარი მაინც არ უთქვამს. დედაბერი მიჰქარავს, — ხელი უკმაყოფილოდ ჩაიქნია და სადგურში კოკი ჟვანიას დასახვედრად წავიდა.

ხუტამ, როგორც კი ვაგონიდან ფეხი ჩამოდგა, მიხამ ანიშნა გაჰყოლოდა, მაგრამ ხუტამ სადგურის რესტორნისაკენ გასწია და მიხაც იძულებული შეიქნა თვითონაც შეჰყოლოდა.

რესტორანში ცოტა ხალხი იყო. ხუტამ განმარტოებული მაგიდა აირჩია და მიუჯდა. მიხას სხვა ვარაუდი ჰქონდა. მას უნდოდა, კოკი სანაპიროზე გაეყვანა სასაუბროდ, იქ ვერონიკას შორიდან დაანახვებდა და დედაბერი საბოლოოდ გადაწყვეტდა, როგორ მოქცეოდნენ.

— აქ რატომ მოვედით? — უკმაყოფილოდ შეეკითხა მიხა.

— საბანაოდ, – წაიბუზღუნა ხუტამ, - რესტორანში რისთვის შემოვიდოდი? მშია. თუ არ დავნაყრდი, ნაბიჯს ვერ გადავდგამ.

მომსახურე ქალმა საჭმელ-სასმელი მოიტანა. ხუტა გამგელებული იყო. მოკლე ხანში საინები მთლად მოასუფთავა. არც მიხას გამოუჩენია ნაკლები მადა და ზედაც რამდენიმე ჭიქა არაყი დააყოლა.

— რატომ დაიგვიანე?

— გზადაგზა, მატარებელში ვმუშაობდი, რიონამდე გავყევი, შემდეგ კი აქეთ გამოვწიე, — თქვა ხუტამ და თეფშიდან ხორცის მოზრდილი ნაჭერი დაითრია.

— გააკეთე მაინც რამე?

— საკმარისად, მაგრამ ქარის მოტანილი ქარსვე მიაქვს, — სულ შემომეხარჯა. აქ ხელი თუ არ მოვითბე, გამიჭირდება. შენ რას საქმიანობ.

— რას უნდა ვსაქმიანობდე. ნავსადგურზე ერთი უცხოური გემი ჩამოდგა და ორი მეზღვაურის გაფცქვნა მოვახერხე.

— ყოჩაღ, — მოუწონა ხუტამ, — დეიდა ვერონიკამ რა გითხრა ჩემზე?

— და ვერ ვნახე. ვიდრე მე აქ ჩამოვიდოდი, აქედან წასულა. ალბათ სოხუმში წავიდა ჩემს საძებნელად.

— დანიელ ბოშა?

— არც ისა სჩანს, დეიდა ვერონიკას თუ გაჰყვა. ნუ გეფიქრება, მალე გამოჩნდებიან.

ხუტა გაწერელია დარწმუნებული იყო, რომ ვერონიკაც და დანიელ ბოშაც აქვე იყვნენ, ბებერი ტარტაროზი თავის ინკოგნიტოს მანამდე დაიცავდა, ვიდრე შორიდან არ ნახავდა შეუმჩნევლად.

— სამწუხაროა, — სინანულით თქვა. მიმტან ქალს დანახარჯი გადაუხადა.

— რაღას უყურებ, წავიდეთ, — დააჩქარა მიხამ.

— დამაცა, წასვლას მოვასწრებთ. ერთი შეხედე იმ დოყლაპიას, — ხუტამ მეორე მაგიდასთან მჯდარ შუახნის მამაკაცზე ანიშნა, რომელიც მატარებლის მოლოდინში გაზეთს კითხულობდა.

— მერე რა?

— ვერა ხედავ, ვიღაც საქმოსანი ჩანს. დარწმუნებული ვარ, ის ჩემოდანი ბურბუშელით არ არის გატენილი, უნდა ავწაპნოთ.

— თავი დაანებე. ხალხი ირევა. კიდევ არ ჩავარდე, — ურჩია მიხამ.

— ფიქრი ნუ გაქვს, ვერას გაიგებს, გაზეთის კითხვით არის გართული.

ხუტა წამოდგა, უცნობს ჩაუარა და ჩემოდანი ოსტატურად ააცალა. ჩემოდნის პატრონმა სამიოდე წუთის შემდეგ გაზეთი დაკეცა და ადგილზე ჩემოდანი რომ ვერ ნახა, თვალების ცეცება დაიწყო.

ხუტა უკვე კარებში გადიოდა. დამკარგავი უცებ წამოხტა. თვალი მოჰკრა ქურდს და გამოედევნა.

ხუტამ ჩემოდანი დააგდო და გაქცევა დააპირა, მაგრამ ჩემოდნის პატრონმა მოასწრო მისი ჩაბღუჯვა. ყვირილზე და აურზაურზე ორი ზორბა მილიციელი გამოჩნდა. ჩემოდნის ქურდი დააკავეს და სადგურის სამილიციო პუნქტში წაიყვანეს. „დაზარალებული“ ჩემოდნით ხელში წყევლა-კრულვით მისდევდა უკან.

მიხა ხალხში შეერია და გაუჩინარდა.

ხაპიაშვილმა ვერონიკას ყველაფერი უამბო. დედაბერმა უკმაყოფილოდ გაიქნია თავი.

— დაეხსენ, შვილო, ვიღაც ბედოვლათი ჩანს. სოხუმში დაიჭირეს, ბათუმში დაიჭირეს. ეტყობა, არაფრის გამკეთებელია. არ გამოგვადგება, ვადიმს მაგისთანა დოყლაპიები არ უყვარდა.

— ის ხომ ჩვენს ნიშანს ატარებს და თქვენც გიცნობთ?

— ვინმე ჩვენთაგანი იქნებოდა მაგასთან პატიმრობაში. ვარდიც ალბათ იმან დაუხატა და გემზედაც უამბო. ახლა კი თავი მოაქვს ჩვენი ნაცნობობით ზოგჯერ კი ვფიქრობ: ეს აფხაზი ჩაჩბა ხომ არ არისმეთქი, ვადიმი რომ გათოკა და ჩვენც ასე დაგვანიავა? ფრთხილად უნდა ვიყოთ, შვილო, ქალაქში აგრერიგად ნუ გამოვჩნდებით. აქედან წავიდოდი, მაგრამ ვიდრე იმ გომბიოს, იმ ეშმაკის ნასხლეტს ბოლოს არ მოვუღებ, აქედან არ დავიძვრები.

— კარგი და სად ვეძიოთ? რომ არ ვიცით, სად არის?

— შორს არსად წავიდოდა, ახლომახლო ეგდება სადმე.

— ადვილი სათქმელია „ახლომახლო ეგდება“.

— იცი რას გეტყვი? — მცირე ფიქრის შემდეგ თქვა ვერონიკამ, — ის ახალგაზრდა უნდა ვიპოვოთ, რომელმაც დახრჩობას გადაარჩინა. გაზეთებში დაწვრილებით ეწერა, ვინც არის გარდა ამისა, შენც გყავს ნანახი და რომ შეგხვდეს, იცნობ.

— ვერაფერი გავიგე, — წაიბუზღუნა მიხამ, — იმ ბიჭს დაეძებ თუ გოგოს?

— თუ გოგო საავადმყოფოდან გაიპარა, შეიძლება თავს იმ ბიჭთან აფარებდეს, თუ იქ არ მივიდა, ბიჭი აუცილებლად გაიგებდა მის

გაპარვას და ძებნას დაუწყებს. გოგო თვალადია, ბიჭი ახალგაზრდა, ერთმანეთს აუცილებლად იპოვნიან.

— მართლაც, რომ ჭკუის კოლოფი ხარ, დეიდა ვერა, გაუხარდა მიხას, — იმ გოგოს მხოლოდ ასე თუ ვიპოვით.

— გააფრთხილე დანიელიც, მზად იყოს დასახმარებლად. ვინ იცის, როგორ გაგვიჭირდეს. წადი ფოთში და საავადმყოფოს ახლო-მახლო იტრიალე. ის ახალგაზრდა საავადმყოფოს საშუალებით თუ მიაგნებს გოგოს. ეცადე, ისე მოაწყო საქმე, რომ მანქანა შესთავაზო, მხოლოდ დაიხსომე, სხვა მანქანა უნდა ვიშოვოთ, ამ საქმეში ჩვენი არ გამოგვადგება.

— სხვა მანქანას სად ვიშოვით?

— მე გეტყვი სად. აქ, ახლოს, ერთი აგრონომი ცხოვრობს. ეზოში გარაჟი აქვს, შიგ საკუთარი მანქანა უყენია. თვითონ ცოლ-შვილით სააგარაკოდ არის წასული და მალე დაბრუნდება. მის ბინაში მოხუცი დედაბერია, სახლიდან იშვიათად გამოდის. მანქანა ისე უნდა გავაპა-როთ, ვერავინ გაიგოს. შემდეგ კი, როცა საჭირო აღარ იქნება, ისევ დავაბრუნებთ გარაჟში. ვინ რას მიხვდება? ყოველ შემთხვევაში, ჩვენ-ზე ეჭვს ვერავინ მიიტანს.

— კარგი აზრია, — მოუწონა მიხამ, — მაგრამ ვადიმ ურალოვზე რომ მითხარი, რა ვქნა?

— შენ ის გოგო მოძებნე, ვადიმ ურალოვი არსად გაგვექცევა. მე კიდევ აუვლ-ჩამოუვლი და თუკი ის არის, უთუოდ გამომეცნაურება.

ვერონიკას ვარაუდი გამართლდა, მალხაზმა მამა დაიყოლია და თბილისში გამგზავრება რამდენიმე დღით გადაადებინა. ფოთს წავი-და ლიდა საბინას ამბის გასაგებად. არჩილ ჩოხელისგან იცოდა, რომ ზღვაში ქალიშვილი თვითონ კი არ გადავარდა, არამედ გადააგდეს. მალხაზს თავში ათასგვარი ფიქრი უტრიალებდა: ვინ გადააგდო? რა-ტომ? როგორ გაიპარა? სად არის? კიდევ რაიმე საფრთხე ხომ არ მოელის? როდესაც საფრთხე გაახსენდებოდა, მისი ვაუკაცური ბუნე-ბა ზღვავდებოდა და სურდა, კვლავ რამეში გამოდგომოდა ამ საბრა-ლო, მარტოსულ გოგოს.

ფოთის საავადმყოფოში ვერაფერი გაიგო. ვინ არ ინახულა, მაგ-რამ ლიდას ასავალ-დასავალი არავინ იცოდა.

ის იყო, გულდაწყვეტილი უკანვე უნდა გამობრუნებულიყო, რომ ვიღაც ხნიერმა ქალმა გააჩერა.

— შვილო, თქვენ მალხაზ ნაპირელი ხომ არ ბრძანდებით?

— დიახ, მე გახლავართ, რატომ მეკითხებით.

— ის ბიჭი, საწყალი გოგო რომ გადაარჩინა.

— დიახ, დიახ! თქვენ მე მიცნობთ?

— მხოლოდ გაზეთებით, სურათით გიცანით, — ქალმა ჯიბიდან დაკეცილი გაზეთი ამოიღო, გაშალა და იქ დახატული მომღიმარი ჭაბუკის სახეს ერთხელ კიდევ დააკვირდა.

— ჩემი სურათია, დეიდა, არ ტყუვდებით. ის გოგო კი..

— იმ გოგოს ამბავს მე გეტყვი, შვილო. წამოდი ჩემთან.

ქალმა მალხაზი თავის ბინაზე წაიყვანა, რომელიც იქვე საავადმყოფოს ეზოში იყო. ვაჟი გაოცებული მისდევდა უკან. მალხაზი პატარა, კოპწიად მორთულ ოთახში შევიდა და სკამზე ჩამოჯდა.

— ნამგზავრი ხარ, შვილო, პური გეშიება.

— არა, დეიდა, არაფერი მინდა, ლიდას ამბავი მიამბეთ.

— კარგი, გიამბობთ. დიდი ხანია, რაც ამ საავადმყოფოში სანიტრად ვმუშაობ. ჩემს ხელში ბევრ ავადმყოფს გაუვლია და ლიდაც ერთი მათგანი იყო. უცნაურად იქცეოდა, რაღაც დიდი ვარამი აწუხებდა. ყველას ეჭვის თვალით შესცქეროდა, ეშინოდა, არავის ენდობოდა. მივხვდი, ერთი უთვისტომო ვინმე უნდა ყოფილიყო, შემეცოდა, დედასავით მივუფერე.

ერთხელაც ადგა, მკერდზე მომეკრა და ტირილით მიამბო თავისი თავგადასავალი. საბრალო, თურმე დასასვენებლად გაეგზავნათ სანატორიუმში, გზაში ვიღაცეებს გაეტაცნათ, ბევრი ეწვალებინათ, მერე მოეხერხებინა მათგან თავის დაღწევა. გაქცეულა და გემზე ასულა. გამტაცებელი იქაც მიჰყოლია და ღამე ზღვაში გადაუგდია, „ერთმა კეთილმა ახალგაზრდამ თავი გასწირა და სიკვდილისაგან მიხსნაო“. პროკურატურიდან ხშირად აკითხავდნენ. არც იმათ გაუმხილა რამე. ეშინოდა, მილიციას არ ჩავარდნოდა ხელში, ბანდისა უარესი შიში ჰქონდა, — აუცილებლად მომკლავენო. ყველგან მდევარი ელანდებოდა. ერთადერთი მე ვიყავი, ვისაც გამენდო, შემეცოდა და გავაპარე. იმხანად ჩემთან ჩემი ძმისწული, ცნობილი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ფაცია ჟუჟუნავა იყო ჩამოსული. როდესაც ლიდას ამბავი ვუამბე, ბევრი იტირა. მითხრა: მე წავიყვან და ჩემთან იქნებაო. ეს აზრი ლიდასაც ვუთხარი. საწყალმა გაიხარა. შავი დღისათვის შენახული ცოტაოდენი ფულიც მქონდა, ჩუმად ჩავუდე ჯიბეში. წასვლის წინ შემევედრა, არავისათვის გამემხილა მისი ადგილსამყოფელი. ისე წავიდნენ, ჩემ გარდა კაციშვილს არ გაუგია, ახლა მხოლოდ მე და ფაციამ ვიცით, სად არის ლიდა.

— აკი ჩემთვისაც აპირებდით თქმას?

— გეტყვი, გენაცვალე — ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაშია ფაციასთან. გინდა წერილს გაგატან.

— არა მგონია, დამჭირდეს, ლიდა, როგორც კი დამინახავს, მაშინვე მიცნობს.

მალხაზი უკან დაბრუნდა. ერთი სული ჰქონდა, სანამ ჩაქვში მივიდოდა და სვეტლანას მონახავდა. აბა, საიდან წარმოიდგენდა, რომ ფოთშიც და ფოთიდან ჩაქვამდე მიხა ხაპიაშვილი მანქანით დასდევდა და უთვალთვალებდა? მანქანაში მას დანიელ ბოშა ეჯდა.

მალხაზმა ადვილად იპოვა ფაცია ჟუჟუნავას სახლი. სვეტლანას მეტი შინ არავინ იყო. ოჯახის წევრები ჩაის საკრეფად წასულიყვნენ. სვეტლანა ვახშამს ამზადებდა. ქალიშვილისთვის სრულიად მოულოდნელი იყო მალხაზის გამოჩენა, მაშინვე იცნო თავისი მხსნელი. სახე წამოენთო. დაიბნა, არ ელოდა თუ მოძებნიდა. ეგონა, უკვე მიავიწყდა ის დღეც და საბრალო ქალიც.

სვეტლანა მზად იყო გადახვეოდა ბიჭს და გადაექცა, მაგრამ თავი შეიკავა, თუმცა მის მზერაში იმდენი პატივისცმა და სიყვარული გამოსჭვიოდა, რომ ვაჟმა დაიმორცხვა..

— საიდან, როგორ მომაგენით? — წაიჩურჩულა ქალმა.

— როგორც ხედავთ, მოგაგენით, — გათამამდა ვაჟი, როცა ქალის ხმა გაიგონა, – განა იმ ღამის დავიწყება შეიძლება?

შეცბუნებულ გოგოს კრიჭა შეეკრა. რამდენი რამის თქმა უნდოდა, მაგრამ ენა ვერ დაეძრა. კარგა ხანს იყო ასე და მერე ძლივს ამოღერღა:

— ო, რა მადლობელი ვარ თქვენი, რა მადლობელი...

— ძვირფასო ლიდა, მადლობა საჭირო არ არის, მე მხოლოდ იმიტომ მოგძებნეთ, რომ გამეგო, ხომ არაფერი გაწუხებთ, ხომ არაფერი გჭირდებათ. ჩვენ ამ დღეებში თბილისში ვაპირებთ გამგზავრებას. თუ მოისურვებთ წამოსვლას, წაგიყვანთ.

თბილისის ხსენებაზე ქალს გული აუთრთოდა. თუ თბილისში მოხვდება, იქიდან ადვილია მამიდასთან გამგზა რება. ვინ იცის, ახლა თვითონ მამიდაც რა დღეშია. ქვეყანა შეიყარა და ალბათ ისიც გაიგებდა მის დაკარგვას.

— მე ლიდა არა ვარ.

— ლიდა არა ხართ? გაოცდა მალხაზი, — როგორ თუ ლიდა არა ხართ?

— სვეტლანა გრიეკო ვარ.

— აკი ლიდა ვარო, განა გემზე ასე არ მითხარით?

— მაგ სახელისა და გვარის მეგობარი ქალი მყავს. ჩვენთან მუშაობს საბჭოთა მეურნეობაში.

— რომელ საბჭოთა მეურნეობაში?

— დმანისი თუ გაგიგიათ, იქ, მთებში. ეს სახელი იმიტომ დავირქვი, რომ მტრები მომდევდნენ და მინდოდა გზა-კვალი ამებნია. თქვენთან დასამალი არაფერი მაქვს, მე იქ მამიდასღან ვცხოვრობ, ლარისა გრიეკოსთან. ცნობილი მწველავია, მთელ რაიონში იცნობენ. მე სანატორიუმში მივდიოდი, გზაში ამედევნენ და გამიტაცეს. გამოვიქეცი და გემზე ავედი. იქაც ამომყვნენ და ზღვაში გადამაგდეს.

— იცით, ვინ იყო თქვენი გამწირავი? იცნობთ?

— სახით ვიცნობ.

— კარგი, დამშვიდდი, სვეტლანა, ნუ გეშინია. ის ნადირი მართლმსაჯულებას ვერ გაექცევა. მიწაშიც რომ ჩაძვრეს, ვიპოვით და სასჯელს მივაზღვევთ, ოღონდ ნუღარ წუხარ, ნურც გეშინია, ხვალ კიდევ მოვალ და თუ თბილისში წამოსვლას გადაწყვეტთ, წაგიყვანთ, ნურაფრისა ნუ გეფიქრებათ. ისე მიგიყვანთ თქვენს მამიდასთან, ცივ ნიავს არ მოგაკარებთ. ნახვამდის, სვეტლანა.

ვაჟი დაემშვიდობა, ქალმა ხელი დაუჭირა და დიდხანს, დიდხანს აღარ გაუშვა. თვალებზე ცრემლები მოადგა. ასე მალე დაშორება ენანებოდა, გული სწყდებოდა. ბოლოს ქალი, თვითონაც არ იცოდა, როგორ, მკერდზე მიეკრა ვაჟს, თავი მხარზე მიადო და უხმოდ აქვითინდა.

მალხაზი შეკრთა. ათრთოლდა ჭაბუკის გული, სურდა თვითონაც მოხვეოდა, თვითონაც მკერდზე მიეკრა ძვირფასი ქალი, მაგრამ სურვილი დაიოკა, თმებზე ნაზად გადაუსვა ხელი და მღელვარებით თქვა:

— კარგად მენახე, სვეტლანა, მელოდე, აუცილებლად მოვალ და წაგიყვან.

გოგომ ბიჭი ჭიშკრამდე გამოაცილა და იქ ერთხელ კიდევ დაემშვიდობა, მალხაზის წასვლის შემდეგ ქალიშვილი ერთხანს ისევ ჭიშკართან იდგა და მის გზას გაჰყურებდა. შემდეგ ოთახში შემობრუნდა და დიდხანს იდგა იქ, სადაც ვაჟს ესაუბრებოდა.

სამზარეულოდან შიშინის ხმა მოისმა. მხოლოდ ახლა გაახსენდა სვეტლანას, რომ ვახშმის მომზადება ჰქონდა დავალებული, ბედზე მიუსწრო, ქვაბიდან ადუღებული წვნიანი გადმოდიოდა. ვახშმის მზადებაში გაერთო, მაგრამ საქმე მაინც არ გამოსდიოდა. თვალწინ სულ ის ბიჭი ედგა.

მალხაზის წასვლის შემდეგ ერთ საათს არც კი გაევლო, რომ ვიღაც უცნობი მამაკაცი მოადგა ფაცია ჟუჟუნავას ბინას და ლიდია საბინა იკითხა. სვეტლანა გულის ფანცქალით მივიდა ფანჯარასთან, კარი არ გაუღია, პირდაპირ ფანჯრიდან ჰკითხა, ვინ იყო და რაში სჭირდებოდა ლიდია საბინა.

— მე საავადმყოფოდან ვარ, — თქვა უცნობმა, — თუ ლიდა საბინა თქვენ ბრძანდებით, მაშინ თქვენთან ვარ გამოგზავნილი. ოცი წუთის წინ ჩვენთან ახალგაზრდა ჭაბუკი მოიყვანეს, ავტომანქანა დასჯახებია. როგორც კი გონს მოვიდა, თქვენი სახელი ახსენა.

— ვინ არის? — შეჰკივლა ქალმა.

— მალხაზ ნაპირელი, — უპასუხა უცნობმა, სამი ნეკნი აქვს ჩამტვრეული. მთხოვა, თქვენთვის მეცნობებინა. ხომ არ ინებებთ და წამოხვალთ? მე მანქანით ვარ.

ქალიშვილს თავზარი დაეცა. ერთხანს გაშეშებული იდგა, მერე კი სამზარეულოში შევარდა, ცეცხლი ჩააქრო, გამოვარდა გარეთ და კარები ჩაკეტა.

— ჩქარა, ჩქარა, წავიდეთ! იქნებ ცოცხალს მიუსწროთ!

სვეტლანა გაგიჟებული გამოვარდა ქუჩაში. კაბის გამოცვლაც კი არ გახსენებია. ჭიშკართან „პობედა“ იდგა. სვეტლანამ სასწრაფოდ გააღო მანქანის კარი და შიგ შევარდა. უცნობი მანქანის საჭეს მიუჯდა.

ხუთიოდე წუთის შემდეგ მანქანა სადღაც უკაცრიელ ადგილას შედგა. კაცი უცბად შემოტრიალდა ქალისაკენ, ყელში სწვდა, პირში ჩვარი ჩასჩარა. ქალმა გაიბრძოლა, მაგრამ სუსტი გოგო რას გახდებოდა ვეშაპივით კაცთან?

მანქანის კარი ერთხელ კიდევ გაიღო და მიხა ხაპიაშვილმა შიგ თავი შეჰყო.

ქალი შეკრთა.

მიხამ ჯიბიდან ბინის გასაღები ამოართვა.

— ახლა გასწი და პირდაპირ იმ ჯადოქართან წაიყვანე, — უბრძანა უცნობს. თვითონ უკანვე შემობრუნდა. გააღო ფაცია ჟუჟუნავას ბინის კარი და მოასუფთავა.

საღამოს, როდესაც ფაცია და მისი ოჯახის წევრები პლანტაციიდან დაბრუნდნენ, ელდა ეცათ. მათთან შეხიზნული ლიდა საბინა არსად ჩანდა და ბინაც გაქურდული დახვდათ. ფაციამ ყველაფერი გადააქოთა. წაღებული იყო ფული, ძვირფასეულობა და მისი საამაყო სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი, საბრალო ქალს გულს შემოეყარა.

— ჩქარა, ჩქარა, მილიციაში! — შეჰკივლა მან.

ფაციას ქმარი სასწრაფოდ მილიციაში წავიდა. მოვიდა უბნის რწმუნებული და დათვალიერებას შეუდგა. ფაციას ოჯახის წევრებს იქაურობა ისე აერდაერიათ, რომ ყოველგვარი კვალი წაეშალათ. უბნის რწმუნებულის საყვედურზე ქალმა მწარედ ამოიკვნესა და ცრემლები გადმოყარა.

— რა კვალი, რის კვალი! კვალიც ვიცი და ქურდიც! ის ვიღაც გომბიო რომ შემოვიხიზნე, იმან გამქურდა. ვინ წარმოიდგენდა ამას? ისეთი უწყინარის, მიამიტის შთაბეჭდილებას ტოვებდა და ხედავთ, რა მიყო? სხვას არას ვჩივი, ოქროს ვარსკვლავია წაღებული. თავი მაქვს მოსაკლავი, თავი!

— გულს ნუ გაიტეხთ, ყველაფერი მოიძებნება, ის ქალი შორს არსად წაგვივა, — ამშვიდებდა დიასახლისს მილიციის უბნის რწმუნებული.

ჭიშკართან ავტომანქანა მოგრიალდა. იქიდან არჩილ ჩოხელი და ჯემალ ქედელიძე გადმოვიდნენ.

— ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, ეს იყო, ახლა მაცნობეს, რომ სოციალისტური შრომის გმირის, ფაცია ჟუჟუნავას ბინა გაუქურდავს მასთან დროებით შეხიზნულ ვინმე ლიდია საბინას. წაღებულია ძვირფასეულობა და მათ შორის ოქროს ვარსკვლავი, — მოახსენა უბნის რწმუნებულმა.

— სად არის ამჟამად საბინა? — იკითხა ჯემალმა.

— მიმალულია, ეს-ეს იყო ვაპირებდი თქვენთან დარეკვას.

— ხედავ, ჯემალ, აქაც დაგვასწრეს, — ჩაილაპარაკა არჩილმა და ბინის დათვალიერებას შეუდგა. ეზოში სხვათა ნასიარულევში არჩილმა დიდი ზომის კვალი შეამჩნია. ეტყობოდა, რომ მის დამტოვებელს ორივე ფეხსაცმლის ქუსლები მოღრეცილი და ცალმხრივ ნაცვეთი ჰქონდა. არჩილი დაიხარა და ზომა აიღო. ტერფების ნადგამი ირიბი იყო. ნაკვალევი ქუჩაში გადიოდა, სადაც მსუბუქი ავტომანქანის საბურავების ნავალი კარგად ემჩნეოდა. არჩილი მიჰყვა საბურავების კვალს, მაგრამ კვალი მალე ქუჩის მტვერში გაითქვიფა. მაინც მოახერხეს და დაადგინეს: მანქანა „პობედის“ მარკისა ყოფილა, მარცხენა საბურავი ახალთ ახალი ჰქონია, ხოლო მარჯვენა საკმაოდ გაცვეთილი. იქვე ჭიშკართან, სადაც მანქანა გაეჩერებინათ, არჩილმა გაზეთის ქაღალდში გახვეული წეკოს ნამწვი იპოვა. ფრთხილად აიღო, სუფთა ქაღალდში შეახვია და შეინახა.

ვიდრე არჩილი კვალს დაეძებდა, ჯემალმა მეზობლებს შეუარა, მაგრამ ფაციას მეზობლები დღისით ჩაის პლანტაციებში იყვნენ და მხოლოდ ერთ მოხუც ქალს შეენიშნა ნაცრისფერი მანქანა, რომელიც ფაციას ჭიშკართან გაჩერდა.

— ამხანაგო, — მიმართა დაზარალებულმა არჩილს, — მითხარით მაინც, მოიძებნება თუ არა ჩემი ნივთები? არაფერს არ ვჩივი, ჩემი სადარდელი ოქროს ვარსკვლავია.

— წინასწარ, აბა რა გითხრათ? — უპასუხა არჩილმა, — მე მგონია, რომ მალე ყველაფერს ვიპოვით და არც ქურდები წაგვივლენ შორს.

არჩილი და ჯემალი გამოემშვიდობნენ და წავიდნენ.

— მე მაინც ერთი რამ მაკვირვებს, — თქვა ჯემალმა, — თუ სვეტლანა ხელახლა გაიტაცეს და ბინის ქურდობაც იმ მოსაზრებით მოაწყვეს, რომ ეჭვი საბრალო გოგონაზე მიგვეტანა, ამას მხოლოდ მიხა და ვერონიკა ჩაიდენდნე, მაგრამ როგორ მიაგნეს ?

— მალხაზის საშუალებით. ალბათ უკან დასდევდნენ და იმ გულუბრყვილო ბიჭმა ბოროტმოქმედები უნებურად მიაყენა კარზე სვეტლანას. დაგვასწრეს იმ ძაღლებმა. ერთი რამ მაინც გასაკვირია, როგორ გაიტაცეს, როცა გოგო კარგად იცნობს მიხასაც და ვერონიკასაც. სვეტლანა არავითარ შემთხვევაში ნებით არ გამოჰყვებოდა, გაუძალიანდებოდა და ისინიც ძალას იხმარდნენ. არ შეიძლება ძალმომრეობის რაიმე კვალი არ იყოს დარჩენილი. ვფიქრობ, რომ მესამე პირია ჩარეული, რომელსაც სვეტლანა არ იცნობს.

— მესამე ვიღაა? ეს ნაძაღლარები რომ ორნიღა დაეთრევიან?

ხუტამ გამოარკვია, რომ დანიელ ბოშა — მალდონატოც გამოქცეულა და აქ იმალება. დანიელი მათი ბანდის ძველი წევრია.

— იქნებ აქაც ჰყავთ ვინმე ახალი გადაბირებული?

— შეიძლება, მაგრამ არა მგონია, ვერონიკა ყველას ენდოს.

მილიციის სამმართველოში მათ ხუტა გაწერელია დახვდათ. ხუტამ ივაჟკაცა და როდესაც ვერონიკა სანაპიროზე ერთხელ კიდევ გამოჩნდა იმ იმედით, რომ აქ ვადიმ ურალოვს შეხვდებოდა, უკან აედევნა. ბებერმა ძუ მგელმა შეამჩნია მოთვალთვალე და მასში ბუინაკსკელი ჩაჩბა შეიცნო. სცადა, გზაკვალი აერია, მაგრამ ხუტამ იმარჯვა და დაადგინა, სად მივიდა იგი.

ხუტამ იცოდა, რომ ჩოხელმა სვეტლანას ადგილსამყოფელი იპოვა და ელოდა, რომ ქალს თან ჩამოიყვანდა, მაგრამ, — ელდა ეცა. ვერ წარმოედგინა, თუ ვერონიკა მიაგნებდა და კვლავ ხელში ჩაიგდებდა.

— ამ წუთას წავიდეთ, მე უკვე ვიცი, სად აფარებს თავს ის როსკიპი.

— ეგ საქმეს არ შველის, — თქვა არჩილმა, — სვეტლანას იქ არავითარ შემთხვევაში არ მიიყვანდნენ. იცით, რა, ამხანაგო ჯემალ, ახლავე უნდა დაავალოთ უბნის რწმუნებულს, შეამოწმოს იმ ბებერი ალქაჯის ბინა. ჩვენ კი უნდა გავაძლიეროთ ძებნა. მათ ხომ მისი სიკვდილი გადაწყვეტილი აქვთ, ამაში ეჭვი არ მეპარება, რადგან ქალმა ბევრი რამ იცის მათი და შეიძლება გასცეს. აქ ამას ვერ გაბედავენ. შორს სადმე წაიყვანენ მანქანით და გაგვეცლებიან. მაგრამ სანამ მიხა და ვერონიკა აქ არიან, ვფიქრობ, სვეტლანას არაფერი დაუშავდება, მაინც ძალიან სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ, — ყოველ წუთს შეიძლება მოულოდნელობა.

სამივენი სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსთან სათათბიროდ წავიდნენ.

განყოფილების უფროსმა დაუყოვნებლივ მოახსენა სამმართველოს უფროსს. შემდეგ კი მისი სახელით დაავალა რკინიგზის მილიციის ოპერპუნქტებს, მეთვალყურეობა გაეძლიერებინათ მგზავრებზე. იმავე დროს გააფრთხილა სახავტოინსპექციის ყველა თანამშრომელი: ყოველი ავტომანქანა გულდასმით შეემოწმებინათ და თუკი საეჭვო მგზავრები აღმოჩნდებოდნენ, დაუყოვნებლივ დაეკავებინათ და სამმართველოში წარმოედგინათ.

თავი VII

ვერონიკა ბინაში ვეღარ ჩერდება, ეშინია, არ მიაგნონ. უხაროდა, რომ სვეტლანა ისევ იგდო ხელთ. ისეთ ადგილას მიმალა, რომ პოვნა არავის შეუძლია. მიხამ ივაჟკაცა, რაც რამ მაინც ვერ უპატიებია მისთვის, რომ სოხუმში დოყლაპიობა გამოიჩინა. ახლა შეშფოთებულია, ამ ადგილას აღარ ედგომება, რა ჰქნას? ახლავე შეუძლია წავიდეს აქედან, მაგრამ ვადიმ ურალოვის ნიშანს ელის, საკვირველია, რატომ აგვიანებს, ნუთუ ნამდვილად არ არის ვადიმ ურალოვი? მაგრამ არა, დეიდა ვერონიკა ასე ადვილად არ შეცდება, — ის ვადიმს მოხარშულს იცნობს, მისთვის მას მშვენიერი ნობათი აქვს: განა ამ ხუთიოდე წლის წინათ არ მიართვა სვეტლანა ვადიმს? მაგრამ იმ საზიზღარმა მერიმ ცხვირწინ ააცალა და გადამალა.

— შენ, ყმაწვილო, იცი თუ არა, ვინ არის ის შენი მეგობარი კოკი ჟვანია? – შემოსვლისთანავე მიახალა ვერონიკამ.

მიხამ გაკვირვებით შეხედა.

— სწორედ ის ჯეილია, მე რომ გითხარი, ბუინაკსკში ჩვენები ჩააგდო-მეთქი.

— კარგი ერთი, შეუძლებელს ლაპარაკობ, დეიდა!

— გეუბნები, არავითარი ჟვანია, მე იმას ვიცნობ, როგორც ჩაჩბას.

— კარგი და შავი ვარდი რომ აქვს მკლავზე?

— როგორც ჩანს, უკვე იციან შავი ვარდის საიდუმლოება.

— საიდან გაიგებდნენ? ვინ გათქვამდა?

— ვინ გათქვამდა, ეს მე არ ვიცი, მაგრამ ის კი კარგად ვიცი, რომ როგორმე უნდა გავიტყუოთ და ანდერძი ავუგოთ, სხვა გზა არ არის.

მიხა დაფიქრდა.

— როგორ, რა საშუალებით?

— სულ ადვილად, ეგ აქ სვეტლანას დაეძებს, შენ უნდა შეხვდე და უთხრა, სადაც იმყოფება სვეტლანა. გამოგყვება და იქ სვეტლანას მაგიერ დანიელ ბოშას დაახვედრებ.

მიხა დაფიქრდა. მას წარმოუდგენლად მიაჩნდა ვერონიკას ნათქვამი, იქნებ მართლა შეხვდა ვერონიკა როდესმე, სადღაც ვიღაც ჩაჩბას, მაგრამ განა კოკი ჟვანია არ იყო, რომ მიხას თვალწინ დააპატიმრა მილიციამ ჩემოდნის ქურდობისათვის?

— არა, დეიდა ვერა, თქვენ სცდებით, ის, ვინც, თქვენ გინახავთ, არ შეიძლება კოკი ჟვანია არ იყოს. მე თვითონ ვნახე, როგორ დაა-პატიმრეს.

ვერონიკა დაფიქრდა, მიხას მტკიცება აზრს ურევდა.

— მაინც ეცადე, შვილო, შეათვალიერე, იქნება მართლა ვცდები. სიფრთხილეს კი თავი არა სტკივა. უეჭველად შეამოწმე.

— სად შევამოწმო, საპატიმროში?

— რატომ საპატიმროში? უტრიალე მილიციას, იქ სადმე წააწყდები, თუ ჩემი ვარაუდი გამართლდა, მაშინ უნდა გავიტყუოთ და შემდეგ აქაურობას გავეცალოთ.

— ვადიმ ურალოვის სიგნალს არ მოვუცადოთ?

— შორს არსად წავალთ, დროებით ჩვენს ბინაში შევიხიზნებით. იქ ვერავინ მოგვაგნებს. რაკი ვადიმმა აქ მნახა, მომძებნის. არავითარ შემთხვევაში თავს არ დამანებებს.

— დეიდა ვერა, ალბათ გეშლებათ, ვადიმ ურალოვი არ იქნება.

— დეიდა ვერას არ შეეშლება. ის კაცი მარტო სახით კი წააგავს ვადიმს, მე მას დიდხანს ვაკვირდებოდი. ვიდრე გამოველაპარაკებოდი. მისი გამოხედვა, შუბლის შეჭმუხვნა, ხელის გაქნევაც კი ვადიმისაა.

— სვეტლანას რაღა ვუყოთ? კიდევ დიდხანს ველოლიავებით? გული გამიწყალა მისმა ძიძაობამ.

— ის გოგო მე ვადიმ ურალოვისათვის მყავს გამიზნული. ხომ კარგად არის მიმალული? კიდევ არსად გაგვექცეს.

— ფიქრი ნუ გაქვთ, ვეღარსად წაგვივა, დანიელი მეცხვარის ძაღლივით უწევს გვერდით.

— კარგი, მოვრჩეთ ყბედობას. აბა, თითო არაყი გადავკრათ და საქმეს შევუდგეთ. მე აქ თუ ვერ მნახო, ჩვენს ბინაში მოდი.

თავი VIII

ბინა, რომელსაც ვერონიკა ახსენებდა, ძველისძველი ოროთახიანი შენობა იყო ზღვის პირას, მივარდნილ ადგილზე.

ერთხანს იქ მეთევზეები ბინადრობდნენ, შემდეგ სხვაგან გადაინაცვლეს და სახლი დაცარიელდა. მისი ამშენებელი ჭაღარით მოსილი. კერძო მრეწველი იყო. ბერიკაცის გარდაცვალების შემდეგ ქობულეთში მცხოვრებმა მისმა შვილებმა უყურადღებოდ მიატოვეს, დეიდა ვერონიკამ ეს სახლი შეათვალიერა და ჩალის ფასად შეიძინა. სახლს მტკიცე, დადუღაბებული სარდაფი ქონდა. ეს სარდაფი ოსტატურად იყო შენიღბული. მისი ძველი მეპატრონე ხალხის თვალის ასახვევად თევზის მრეწველობას მისდევდა, თორემ კონტრაბანდისტებთან იყო დაკავშირებული და საიდუმლოდ შეტანილ საქონელს ამ სარდაფში მალავდა.

როდესაც ვერონიკამ „აგარაკი“ შეიძინა, იქაურობა კარგად მოჩხრიკა და სარდაფსაც მიაგნო. შიგ ძველი ყავარჯენი იპოვა, რომელიც ხელკეტს უფრო ჰგავდა. ცხოვრებაში ნათრევი ალქაჯი მიხვდა, რომ ეს არ იყო მოხუცებულის ჩვეულებრივი საყრდენი და დიდი წვალებით მოახერხა დაბურღული სახელურის მოხსნა, ღრუში თუნუქის მილი იყო ჩადგმული. ყავარჯენი როგორც კი გადმოაბრუნა, იქიდან გასაღები გადმოვარდა. დედაბერი მიხვდა, რომ ეს გასაღები დოლაბისა იქნებოდა. გადაანგრია ოთახები, სარდაფი, სხვენი, მაგრამ ვერაფერს მიაგნო. ბოლოს თავი მიანება უსარგებლო ძებნას და ყოველი შემთხვევისათვის იქვე, ეზოში უპატრონოდ მიგდებული ჭის ამოწმენდა განიზრახა.

მიხა იძულებული შეიქმნა დათანხმებოდა და შიგ ჩაძვრა. მისი ყურადღება დადუღაბებულმა კედლებმა მიიქცია. როდესაც კარგად გაწმინდა და ამოვიდა, თავისი გაოცება ვერონიკას გაუზიარა. დედაბერი რის ვაი-ვაგლახით ჩავიდა ჭაში და ბევრი წვალების შემდეგ შენიღბულ დოლაბს მიაგნო. ამოიღო ყავარჯენში ნაპოვნი გასაღები და გააღო. პატარა დოლაბი ჩვრებით იყო გამოტენილი.

როდესაც ბინდი ჩამოწვა, მიხამ იქიდან ყველაფერი ამოზიდა. აღმოჩნდა: ჩვრებში შეხვეული უცნაური ორი დამბაჩა, ვაზნები, ორი ფინური დანა, მოზრდილი დავთარი და კოჭობი. ვერონიკა წამსვე ეცა კოჭობს, ჩაყო ხელი და შავი ხავერდის პატარა პარკი ამოიღო. შემ-

დეგ კოჭობი მაგიდაზე გადმოაპირქვავა და ჰოი, საკვირველებავ! მაგიდა ძველი ოქროს თუმნიანებით და ხუთმანეთიანებით გაივსო.

პირველად ვერონიკა მოვიდა გონზე, მან სასწრაფოდ მოიხსნა წამოსასხამი და მაგიდას გადააფარა:

შემდეგ ოქროები ისევ უკან ჩაყარა კოჭობში და ხავერდის პარკი გახსნა. პარკი სავსე იყო თვლებითა და ბრილიანტებით.

განძი ისევ ჭაში დამალეს და გადაწყვიტეს, დანიელ ბოშასთვისაც არ ეთქვათ.

ამავე სახლში ჰყავდა დამალული ვერონიკას სვეტლანა. დანიელ ბოშას ფხიზლად ეჭირა თვალი, როგორც კი შეამჩნევდა შემთხვევით გამვლელს, სვეტლანა მაშინვე სარდაფში ჩაჰყავდა და თვითონაც იმალებოდა. როდესაც ბოშა რამე საქმეზე მიდიოდა, საბრალო ქალიშვილს მაშინაც სარდაფში უკრავდა თავს.

საცოდავ გოგოს უკუნეთ წყვდიადში ათასი რამ ელანდებოდა. ცრემლად იღვრებოდა, შემზარავად ტიროდა, მაგრამ სარდაფის კედლები მისი პატრონივით ყრუ იყო. როდესაც ზემოთ ამოჰყავდათ, კიდევ კაი ხანს ვერ მოდიოდა გონზე. ძაგძაგებდა, კუთხეში იკრუნჩხებოდა და თვალები ელეთმელეთს გაურბოდა.

ქალი უკვე შეშლილობის ზღვარზე იყო მისული, როდესაც ვერონიკა სოჭიდან, თავისი მორიგი „რეისიდან“, დაბრუნდა და გოგო ინახულა. ძლიერ შეშფოთდა: სვეტლანას ვადიმ ურალოვისათვის ინახავდა და თუ გოგო გაგიჟდა, რაღა ეშმაკად უნდა ვადიმს? ვერონიკამ რამდენიმე საჩუქარი უძღვნა სვეტლანას, რათა მისი გული მოეგო. ქალი ჩონჩხად იყო ქცეული.

თავი IX

არჩილ ჩოხელი ჯავრისაგან ჭკუაზე აღარ იყო. მილიცია ფეხზე დააყენა ჯემალ ქედელიძემ და სახალხო რაზმელებიც მოიშველია, მაგრამ სვეტლანას მაინც ვერ მიაგნო. ხაპიაშვილი და ვერონიკაც უგზო-უკვლოდ გაჰქრნენ. საკვირველი იყო, როგორ უნდა გაეტაცნათ სვეტლანა, როდესაც არავის ენდობოდა? ეზოში გასვლასაც კი ერიდებოდა, — ეშინოდა, ხელახლა არ წამოსდგომოდნენ თავზე გამტაცებლები. ნუთუ მართლა გაუწყრა ღმერთი და ვინმე ბოროტმოქმედს ბინა გააქურდვინა და თვითონაც გადაიკარგა?

ქუსლმოღრეცილი ფეხსაცმელების კვალი ბევრს არაფერს იძლეოდა, — მიხა ხაპიაშვილი წვერწამახულ ფეხსაცმელებს ატარებდა, არც წეკოს ეწეოდა. ფეხიც გაცილებით პატარა ჰქონდა. ისიც დადასტურდა, რომ მანქანა „პობედის“ მარკისა და ნაცრისფერი იყო. მიხა კი ლურჯი ფერის „მოსკვიჩით“ დადიოდა. მაშასადამე, იყო ვიღაც მესამე და ეს მესამე დანიელ ბოშა უნდა ყოფილიყო.

ვიდრე ქალაქიდან გავიდოდნენ, გარეუბანში იმ უბნის რწმუნებულს შეუარეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე ვერონიკა და მიხა ხაპიაშვილი იმყოფებოდნენ.

უბნის რწმუნებული ჩაის საბჭოთა მეურნეობის აგრონომის, ენვერ ბედელიძის, ეზოში იპოვეს.

— კაი დროს მოხვედით, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, — მიმართა მან ჯემალს, — მგონი, მანქანის კვალს მივაგენით.

ჯემალი გაოცდა:

— როგორ, რანაირად?

— მანქანის მოძებნა ავტოინსპექტორებს რომ დაავალეთ, დახმარებისათვის მოგვმართეს და მანქანის ნიშნებიც გვითხრეს. ეზოები დავიარე, ვისაც კი მანქანა აქვს, ყველასთან ვიყავი და ბოლოს ამ ადგილს მოვადექი. გარაჟის წინ მანქანის კვალი ვნახე, გამიკვირდა. ვიცოდი, რომ პატრონი აგარაკზე იყო წასული და თვითონ არ შეეძლო მანქანით სარგებლობა.

ენვერი მიხვდა, ვინც ეწვია და ეზოში ჩამოვიდა.

— პირდაპირ საოცარია. უბნის რწმუნებული მიმტკიცებს, რომ ჩემი მანქანა გაუტაცნიათ, როდესაც იგი გარაჟშია ჩაკეტილი. წეღან გავაღე და თავისი თვალით ნახა, რომ შიგ დგას. უცნაურია, რატომ დაინ-

ტერესდა მილიცია ჩემი „ურმით“, დღეს დავბრუნდი და არც სადმე წავსულვარ მანქანით.

არჩილს ტუჩებზე დამცინავი ღიმილი გადაეკრა.

— თუ არ შეწუხდებით, ეგ თქვენი „ურემი“ ცოტა ხანს ეზოში გამოაგორეთ.

ენვერ ბედელიძემ მანქანა ეზოში გამოიყვანა.

ოპერატიული მუშაკები შემოეხვივნენ და თვალიერება დაუწყეს. მანქანის პატრონი ადგილზევე გაშრა, უკან, მარცხენა თვალზე ახალი საბურავი რომ დაინახა. უცებ ისევ მანქანაში შეძვრა, სპიდომეტრს დახედა და უბის წიგნაკი ამოიღო.

— გასაოცარია, განსხვავება ასოთხმოცდათექვსმეტი კილომეტრია. მანქანაც გარეცხილი დავაყენე გარაჟში, — ლუღლუღებდა გაკვირვებული ენვერი.

— თქვენი მანქანა ბოროტმოქმედებმა გამოიყენეს, მეგობარო, - უთხრა არჩილმა.

— ბოროტმოქმედებმა? — ენვერი შიშმა შეიპყრო. მივარდა და საბარგული გახსნა, — ძველი საბურავიც არ არის! ხედავთ? აი, აქ, ძველი საბურავი მეყენა, ახლა ახალია, ხედავთ?

— ალბათ გზაში სადმე დაეშვათ, ახლით შეცვალეს და ძველი გადააგდეს.

— გაუტაცნიათ... მაგრამ უკან რატომღა მოიყვანეს?

— თვალის ასახვევად. თქვენ რა, ყოველთვის იწერთ, რამდენ კილომეტრს გადის თქვენი მანქანა? — ჰკითხა არჩილმა.

— ყოველდღე, როცა კი დავდივარ.

— ხომ არ შევცდი? როგორღაც ყური მოვკარი წეღან: ასოთხმოცდათექვსმეტი კილომეტრი გაურბენიაო.

— დიახ, არ შემცდარხართ, ჩემი წასვლის შემდეგ სწორედ მაგდენი მომატებია სპიდომეტრს.

— ამას ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს, — უთხრა არჩილმა ჯემალს, — კილომეტრს ასოთხმოცდათექვსმეტს. უნდა გამოვაკლოთ მანძილი აქედან ფოთამდე და უკან, რაც დარჩება, იმ მანძილის რადიუსში უნდა ვეძებოთ. გადაგდებული საბურავიც რომ ვიპოვოთ, მალე დავდგებით სწორ გზაზე.

საგულდაგულოდ დაათვალიერეს მანქანა და გაზეთში გახვეული წეკოს ნამწვი იპოვეს. არჩილმა ისიც შეინახა და საჭის სახელურიდან თითების ანაბეჭდების აღებაც მოახერხა.

არჩილ ჩოხელმა ყურადღება მიაქცია ახალ საბურავზე შემხმარ ტალახს, მტვრის ფენას და დაასკვნა, რომ მისი შეცვლა სადმე შორიახლოს არ მოხდებოდა. შემხმარი ტალახი იმასაც ადასტურებდა, რომ მანქანას მარტო ასფალტის გზაზე არ ევლო. შემდეგ გაოცებულ მასპინძელს გამოეთხოვნენ და ქობულეთისაკენ გასწიეს.

სახალხო რაზმელმა მემედ დუმბაძემ, როგორც კი არჩილ ჩოხელი და ჯემალ ქედელიძე ქობულეთში ჩაიყვანა, მაშინვე უკან, ბათუმშივე გაბრუნება დააპირა. მერე იფიქრა: სირცხვილია, აქ ვიყო და დეიდაჩემი არ ვინახულო, გაიგებენ, ეწყინებათ და ნაცნობი ქუჩისაკენ გასწია.

სახლში მემედს თავისი დეიდაშვილი მევლუდ მეხრიშვილი დაუხვდა. გაუკვირდა, რომ ტრაქტორისტი მინდორში არ წასულიყო. მევლუდმა გაიხარა მემედის დანახვით და უთხრა: პურის საჭმელად მოვედი სახლში და თან ნაპოვნი საბურავიც მოვიტანეო.

მემედმა საბურავის ხსენებაზე ყური ცქვიტა. მაშინვე გავარდა გარეთ და დიდად კმაყოფილი დარჩა, როცა საბურავი ნაცვეთი პობედისა გამოდგა. მაშინვე ჩაჯდა თავის მანქანაში, საბურავიც წაიღო და ტრაქტორისტიც წაიყვანა. არჩილ ჩოხელი და ჯემალ ქედელიძე იპოვა და ის ადგილი დაათვალიერებინა, სადაც მევლუდი ხვნის დროს საბურავს წააწყდა.

იქ მილიციის მუშაკებმა გაზეთში გახვეული პაპიროსის კიდევ ერთი ნამწვი იპოვეს. არჩილმა ნაბიჯებით გაზომა და ფაციას ქუსლმოღრეცილი ფეხსაცმლის კვალიც ეტყობოდა. ბინასთან აღმოჩენილ ნაბიჯებს შეუდარა — ზუსტი დამთხვევა იყო!

მევლუდის საშუალებით, სრულიად მოულოდნელად, ისიც გამოირკვა, რომ კაცი, რომელიც გაზეთში გახვეულ წეკოს ეწეოდა, ქუსლმოღრეცილ ფეხსაცმელს ატარებდა და დურგალი იყო, აქვე ახლოს სარეწაოებზე მუშაობდა და კარგი ოსტატის სახელიც ჰქონდა. ეს უეჭველად დანიელ ბოშა უნდა ყოფილიყო, რადგან მევლუდისაგან მისი აღწერილობა სრულიად ემთხვეოდა იმ გამოუსწორებელი ბანდიტის გარეგნობას.

სარეწაოებზე მისი დაპატიმრება არ შეიძლებოდა: მიხასა და ვერონიკას დააფრთხობდნენ, ამიტომ მოიფიქრეს და მევლუდს სახლში მიაწვევინეს, ვითომდა კიბის შესაკეთებლად.

დანიელ ბოშამ იცნო ტრაქტორისტი, რომელმაც ერთხელ ბენზინი მისცა და სიამოვნებით დათანხმდა.

კიბეს ბევრი არაფერი უნდოდა და მალეც მოათავა. მასპინძელმა სუფრაზე მიიწვია დურგალი.

დამშეულმა დანიელმა გაზეთის ქაღალდში გახვეული წეკოს ნამწვი იატაკზე ისროლა და დამგელებული შეუდგა ჭამას.

ჭაჭის არაყმა უფრო გაუხელა მადა დამშეულ დურგალს, რამდენსაც მეტს სვამდა, იმდენი კიდევ უფრო სწყურდებოდა. მასპინძელმა ისე შეიყოლია თავისი სტუმარი, რომ ბინდი შეუმჩნევლად ჩამოწვა. დანიელი უკვე მთვრალი იყო. მასპინძელმა დაცლილი ბოთლი წაიღო და სავსე მოიტანა. როდესაც ბოშამ ისიც გამოაშრო, მევლუდმა სახლში დარჩენა და დაძინება შესთავაზა. დანიელმა არ ქნა. მაშინ ტრაქტორისტმა დურგალი ქუჩაში გამოიყვანა, გზაზე დააყენა და თავად უკანვე სახლში შებრუნდა. მას მემედი შეჰყვა, იატაკზე დაყრილი ნამწვები აკრიფა და დანიელის ნახელავი ჭიქაც წაიღო. მილიციის თანამშრომლები ბინაში შესვლას მოერიდნენ, რომ რომელიმე ოჯახის წევრს არ დაენახა.

— ახლა მეც მთვრალი ვარ და უნდა დავიძინო, მაპატიეთ თუ ვერაფერში ვეღარ გამოგადგებით, — თქვა მევლუდმა და ფართოდ გაიღიმა.

— შენ უკვე შეასრულე შენი მისია. დიდი მადლობა, ნახვამდის, — გამოემშვიდობნენ მილიციის თანამშრომლები და მისი დეიდაშვილი.

მთვრალი დანიელი მინდორში მილაყუნობდა და თავისთვის ბურდღუნებდა.

— კაი კაცი ჩანს ჩემი მასპინძელი, — კარგადაც მაქეიფა და დაძინებაც შემომთავაზა, რატომ?.. დაძინებაც შეიძლებოდა, რამდენი ხანია, ხეირიან ლოგინში არ მძინებია, მაგრამ ვინ იცის, სანდოა? აბა, არაყი რომ არ გაეჩინა ღმერთს, რის მაქნისი იქნებოდა ცხოვრება.

დანიელი ფილოსოფიურ გუნებაზე დადგა და მოჰყვა გაუთავებელ მსჯელობას არყისა და კაცობრიობის ურთიერთდამოკიდებულებაზე. როგორც იყო, მინდვრად გავიდა. ღამის სიგრილემ უფრო გაახელა. გაჩერდა, იფიქრა, პატარას დავისვენებო და მიწაზე მოიკალათა. ჯერ ჩამომჯდარი არც კი იყო, რომ გვერდზე წაუწვა და მაშინვე ლაზათიანი ხვრინვა ამოუშვა.

მეორე დილით, დანიელს რომ გამოეღვიძა, ვერ მიხვდა, სად იმყოფებოდა, გაოცებული შესცქეროდა დარკინულ სარკმელს, საიდანაც მზის შუქი ოდნავ აღწევდა, თავს ძალას ატანდა და ვერ მოეგონებინა, როგორ გაჩნდა აქ. იფიქრა, სიზმარში ხომ არა ვარო და იჩქმიტა კიდეც, მერე ბუნდოვნად გაახსენდა მევლუდის ოჯახი, ქეიფი,

ისიც, თუ როგორ გავიდა მინდორში. მაგრამ აქ რა უნდა? საკნის კარი გაიღო და მილიციელი შემოვიდა. ცხვირში ეცა საშინელი სიბინძურის სუნი. უკანვე გაბრუნდა და კარი გაიკეტა. დანიელს გაუკვირდა მილიციელის დანახვა. მიხვდა, რომ დაპატიმრებული იყო და თავისი თავი შეეცოდა. ვაი, რამდენს ეცადა, მაგრამ აკი ბოლოს მაინც გაება. ნეტავი რაზე დააპატიმრეს? აქ დანიელ მალდონატო კი არა, დურგალი ათანასე გავაა. ნამდვილი ათანასე გავ კი კასპის ზღვის იქით, შავ მიწაშია ჩაფლული. არავინ იცის, რომ სასჯელმოხდილი, ნამდვილი ათანასე გავა, პატიმრობიდან გამოპარულმა დანიელმა გზაში მიახრჩო და მისი საბუთები მიისაკუთრა.

როდესაც ბოშა დაკითხვაზე აიყვანეს, საწერ მაგიდას არჩილ ჩოხელი ეჯდა. დანიელმა კუშტად შეხედა არჩილს და კარებთან გაჩერდა.

— დაჯექით, — შესთავაზა სკამი არჩილმა. დანიელი დაჯდა.

— თქვენი სახელი, მამის სახელი და გვარი.

— ათანასე ტიმოთეს ძე გავა. ხელობით დურგალი, თევზის სარეწაოს მუშა.

— საიდან ჩამოხვედით აქ და როდის?

— ხუთი თვის წინ ჩამოვედი კრასნოდარის მხრიდან, მომასწავლეს აქეთ, სამუშაო ბევრია, მუშახელი კი ნაკლებიო.

— იცით რა? სჯობია თავიდანვე გულახდილი იყო, რა საჭიროა თვალთმაქცობა, თავის კატუნი? თქვენ ათანასე გავა კი არ ხართ, არამედ დანიელ მალდონატო, ვადიმ ურალოვის ბანდის წევრი. აბა, გაიხსენეთ თქვენი დაპატიმრება, მახაჩყალაში, აზა სუმბარის ბინაში, სადაც თქვენი ბუნაგი იყო.

დანიელი გაშტერებული უსმენდა. მიხვდა, რომ ნამდვილად გაება და საკმაოდ მაგრადაც.

— მოქალაქე უფროსო, თქვენ ცდებით, ათანასე გავა გახლავართ. გეფიცებით გამჩენ ღმერთს და იესო ქრისტეს წმინდა ზიარებას.

— ეს კი დიდი უტიფრობაა, როგორ, თქვენი საკუთარი გვარიც აღარ გახსოვთ? მახაჩყალაში თქვენი ბუნაგის აღმოჩენასა და დაპატიმრებაში მეც მივიღე მონაწილეობა, ისიც ვიცი, ყუბანში, საავეჯო ფაბრიკაში რომ მუშაობდით, ერთ ხელში პატიოსანი დურგლის რანდა გეჭირათ, მეორეში — ავაზაკის სისხლიანი დანა.

დანიელმა იგრძნო, რომ ბრძოლა წაგებული იყო და შეძრწუნდა.

— ასე, სასჯელს ვერავითარ შემთხვევაში ვერ ასცდებით, ხოლო თუ გინდათ, რომ პირში სული შეგრჩეთ, იყავით გულახდილი.

დანიელმა მძიმედ ამოიოხრა.

— კარგი, აგრე იყოს, მოქალაქე უფროსო, მე სინამდვილეში ათანასე გავა კი არა, დანიელ მალდონატო ვარ, ჩემი ერთდერთი დანაშაული საპატიმროდან გამოპარვაა. მას შემდეგ სულ პატიოსან შრომას ვეწევი. გეფიცებით პირჯვრის წერისა და წირვა-ლოცვის მადლს.

— თქვენ წეღან ზიარება და მაღალი ღმერთი დაიფიცეთ ტყუილად, ახლა რაღა დავიჯერო თქვენი ფიცისა?

— იკითხეთ სარეწაოებზე, პატიოსანი მშრომელი ვარ. მადლობებიც მაქვს მიღებული.

— არყის სმაში?

— რატომ არყის სმაში? შრომაში.

— სწორია. ისინი იტყვიან: დურგალი ათანასე გავა პატიოსანი მშრომელია, მუშაობს და არაყს სვამსო, მაგრამ მათ ხომ არ იციან, რა საქმიანობას ეწევა ავაზაკი დანიელ მალდონატო? თქვენ, როცა გასცდებით სარეწაოებს, უკვე ათანასე გავა აღარ ხართ, არამედ შავვარდოსანი დანიელ ბოშა.

პატიმარს თავზარი დაეცა, — შავი ვარდის საიდუმლოებასაც ფარდა ახდოდა. ისე მოეშვა, რომ კინაღამ სკამიდან გადმოვარდა.

ოთახში ჯემალ ქედელიძე შემოვიდა და თან ყუთი შემოიტანა.

— როგორ არის საქმე? — შეეკითხა არჩილი.

— კარგად. ნამწვავების ანალიზმაც და კვალის შედარებამაც დადებითი შედეგი მოგვცა.

— ანაბეჭდები მანქანის სახელურზე და ჭიქაზე?

— იდენტურია.

— ძალიან გამახარე და დროზედაც მოხვედი. დაჯექი, მიიღე მონაწილეობა ჩვენს გულითად საუბარში. ეს ვაუბატონი, როგორც იქნა, გამოტყდა, რომ ნამდვილი დანიელ მალდონატოა და არა ათანასე გავა. ერთი მინდა გკითხო: რა მიზეზით მოიპარე ენვერ ბეღელაძის ავტომანქანა?

— მე არავისი მანქანა არ მომიპარია და არც მანქანის მართვა ვიცი,

— არათუ მართვა, საბურავების გამოცვლაც კი შეგიძლია.

— ჯემალ, — მიუბრუნდა არჩილი ქედელიძეს, — ერთი ის საბურავი შემოაგორე, დაე, ამ ჯიუტმა არამზადამ თავისი თვალით ნახოს და დარწმუნდეს, რომ ყველაფერი ვიცით, — გაბრაზდა არჩილი.

ჯემალი გავიდა და ძველი საბურავი შემოიტანა.

— ახლა რაღას იტყვით? სადაც თქვენ საბურავი შეუცვალეთ მანქანას, გაზეთის ქაღალდში გახვეული წეკოს ნამწვავიც აღმოავაჩინეთ. ვიცანით თქვენი ნაფეხურები, რომლებიც ქუსლმოგრეხილი ჩექმებით დაგეტოვებინა. ასეთივე ნაფეხურები იქნა აღმოჩენილი ენვერ ბეღელაძის გარაჟთან, საიდანაც მანქანა მოიპარეთ და შემდეგ უკანვე დააბრუნეთ.

— წეკოს მარტო მე როდი ვეწევი, სხვანიც ეწევიან და ქუსლმოგრეხილი ფეხსაცმელებითაც დადიან.

არჩილმა ჭიქა მაგიდაზე დადგა, რომლითაც დანიელი არაყს შეექცეოდა მევლუდ მეხრიშვილის ბინაში.

— აი, აქ თქვენი თითების ანაბეჭდებია, სწორედ ასეთივე ანაბეჭდები იყო თქვენ მიერ გატაცებულ ავტომანქანის საჭეზე.

უნებურად დაიხედა თითებზე. მან კარგად იცოდა, რომ თითების ანაბეჭდებს ვერსად გაექცეოდა.

არჩილმა პატარა პაუზა გააკეთა. პატიმარს თვალებზე შეხედა, მიხვდა, რომ ნაცადი ავაზაკის სული ააფორიაქა და რომ მისთვის მოფიქრების საშუალება არ მიეცა, განაგრძო:

— თქვენ ფაცია ჟუჟუნავას ბინიდან არა მარტო სვეტლანა გაიტაცეთ, არამედ ბინაც გაქურდეთ, წაიღეთ ბევრი ძვირფასეულობა და მათ შორის სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი. იცით თუ არა, რა მოგელით ამ ქურდობისათვის?

— ბინა მე არ გამიქურდავს. მე მხოლოდ სვეტლანა გავიტყუე, — მიხვდა დანიელი, რომ დამკითხველმა მათი ყოველი ნაბიჯი იცოდა.

— განაგრძეთ, განაგრძეთ!

— ბინა ქარუმ ფეთქაურმა გაქურდა.

— სად გყავთ ამჟამად სვეტლანა გადამალული?

— არ ვიცი, მე ის მას შემდეგ თვალით არ მინახავს.

— სად, რომელ ბინაში მიიყვანეთ გატაცების შემდეგ?

— მე არსად მიმიყვანია. ის დეიდა ვერონიკამ წაიყვანა, მხოლოდ საით, არ ვიცი.

— ფეხით წაიყვანა თუ მანქანით?

— არ მახსოვს, მგონი ფეხით.

— მე ხომ გითხარით, რომ თქვენ მხოლოდ გულწრფელობა გიშველით.

— პირჯვრის წერის მადლმა, სიმართლეა, რაც გითხარით.

— დანიელ, იქ მარტო თქვენი და ქარუმას კვალი იყო დატოვებული. მაშასადამე, ვერონიკამ სვეტლანა ფეხით კი არა, მანქანით წა-

იყვანა. იმ მანქანას კი შენ მართავდი. თქვი, სად მიიყვანეთ, თორემ თვითონ გამოვარკვევთ და ეს გააუარესებს თქვენს მდგომარეობას, აბა, რაღას უყურებთ?

— რა ვთქვა, ხომ გითხარით, რომ არ ვიცი-მეთქი. სვეტლანა · დეიდა ვერონიკამ წაიყვანა და აქაურობას გაცილდა. საით წავიდნენ, არ ვიცი, მგონი, დაღესტნისაკენ აპირებდა წასვლას თავის ნათესავ ქალთან.

არჩილი დარწმუნებული იყო, რომ ვერონიკა სადღაც აქვე იმყოფებოდა. ის რომ წასულიყო, დანიელ ბოშას არ დატოვებდა. მისთვის მათი ბანდის ძველი წევრი უფრო საჭირო და სანდო იყო, ვიდრე მიხა ხაპიაშვილი. ისიც კარგად იცოდა არჩილმა, რომ ამ ავაზაკს ვერონიკას საწინააღმდეგოდ ვერ აალაპარაკებდა. საჭირო იყო ქალაქის და ახლო მდებარე სამოსახლოების მოჩხრეკა.

არჩილმა დაკითხვა შეწყვიტა და პატიმარი საკანში დააბრუნა.

როდესაც ვერონიკა თავის „აგარაკზე“ მივიდა და სვეტლანა ნახა, ელდა ეცა, საბრალო ქალიშვილი გამხდარიყო, თვალები ჩასცვენოდა, რაღაცას უთავბოლოდ ბოდავდა, ტიროდა და საჭმელს ახლოს არ იკარებდა. გაბურძგნული და ჭუჭყიანი დაუძლურებულ მოჩვენებას ჰგავდა. არც ვინმეს იკარებდა და არც თვითონ ეკარებოდა.

— შვილო, ქარუმ, — უთხრა მიხას, — სოხუმში უნდა წახვიდე და რაც შეიძლება საჩქაროდ ჩამოიყვანო ვანდა, ხომ ხედავ, ჩვენ არ გვენდობა, იქნებ ვანდას მიენდოს და მოიხედოს.

მიხა იმავე დღეს წავიდა სოხუმში. იქ მას ახალი სიურპრიზი მოელოდა თბილისიდან. ყაზარ წყალობიჩის შვილი კაპლო ჩამოსულიყო. ბიძა და დისწული სიხარულით გადაეხვივნენ ერთმანეთს.

მიხა იმავე საღამოს დაბრუნდა თავისი მანქანით ბათუმში „აგარაკზე“ და თან ვანდა ჩამოიყვანა.

ვერონიკამ ვანდას უთხრა, რისთვისაც დაიბარა და დაავალა: რადაც არ უნდა დასჯდომოდა, სვეტლანა გამოებრუნებინა.

— ისიც გააგებინე, შვილო, რომ მისი გადამრჩენი მალხაზ ნაპირელი ვითომ საავადმყოფოში იმყოფება, კარგად არის და მალე მოინახულებს.

როდესაც ვერონიკამ „შინაური საქმეები მოაწესრიგა". ქობულეთიდან ოთხიოდე კილომეტრით დაშორებულ დასახლება ჩოლოხში დროებით ერთი ოთახი იქირავა და იქ გადავიდა.

სახლი მოხუც მეზღვაურს კუზმა ნოვიკოვს ეკუთვნოდა, რომელიც პენსიაზე იყო გასული და ობოლ ძმისწულს ზრდიდა.

ვერონიკამ სახლის პატრონს თავი მოსკოვიდან ჩამოსულ დამსვენებლად გააცნო. კაპლო ავტოინჟინრად აქცია, მიხა კი

— სტუდენტად.

ვერონიკამ მოპარული ოქროს ვარსკვლავი მკერდზე გაიკეთა და სახლის პატრონი დაარწმუნა, რომ ძველი რევოლუციონერი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და სოციალისტური შრომის გმირი იყო.

— მე აქ დასასვენებლად ჩამოვედი. მინდა დიდი შრომის შემდეგ ადამიანთა ჟრიამულისაგან მცირე ხნით შორს ვიყო, რათა შემდეგში იმავე ადამიანებს გამოვადგე. ძალიან გთხოვთ, რომ არავის უთხრათ ჩემი აქ ყოფნა.

სახლის პატრონმა პირზე კლიტე დაიდო და თავისიანებსაც აუკრძალა, არსად ეყბედათ. კუზმა პატიოსანი მშრომელი იყო და იცოდა შრომის და დასვენების ფასი. ერთადერთი საშიშროება იმაში იყო, რომ არ დაელია და მთვრალი არ ენახათ, რადგან უარყოდ ცხოვრება ვერ წარმოედგინა. გადაწყვიტა, ღამღამობით ძილის წინ დაელია.

ვერონიკას ახლა მხოლოდ ის აწუხებდა, რომ ვადიმ ურალოვისაგან არაფერი ისმოდა.

თავი X

ვანდას მისვლამ სვეტლანას ნაწილობრივ შეუმსუბუქა დარდი. თუმცა პირველ დღეებში არც მას ენდობოდა. ფიქრობდა, რომ თუკი ამ ბუნაგში შეჰყო თავი, ისიც ისეთივე ღრძო და ავგული იქნებოდა, როგორც მაჯლაჯუნა ვერონიკა იყო.

ვანდამ პირველსავე დღეს შეძლო სვეტლანას გულის მოგება იმით, რომ მალხაზ ნაპირელი ახსენა.

— თქვენ იცნობთ მალხაზს?

— ძალიან კარგად.

— სად არის ახლა. როგორ არის ? — ჰკითხა საჩქაროდ ქალმა.

— საავადმყოფოში წევს, მალე გამოვა, — იცრუა ვანდამ.

— მე იმან სიკვდილს გადამარჩინა. ბოდიში, თქვენ თვითონ ვინ ბრძანდებით? საიდან იცნობთ ამ ბოროტ ხალხს?

— მე ამათ არ ვიცნობ.

— აბა, მაშ აქ როგორ მოხვდით? — გაუკვირდა სვეტლანას.

— რა დაგიმალო, გენაცვალე, ერთი უპატრონო ქალი ვარ, არავინ გამაჩნია. თუმცა ჯანმრთელად გამოვიყურები, მაგრამ გულით ვარ დაავადებული, ფიზიკური შრომა არ შემიძლია. ცოდნა მე არა მაქვს, რომ სამსახური დავიწყო. შვილი მყავს, ათი წლის გოგონა. ცხოვრება გვინდა. ამათ შემთხვევით დამიქირავეს, ჯამაგირი დამინიშნეს და მთხოვეს, შენთან ვყოფილიყავი. მეც, გაჭირვებული ადამიანის ამბავი ხომ იცი, რა მექნა, დავთანხმდი.

სვეტლანამ დაიჯერა ვანდას ნათქვამი. გულზე მოეშვა. მასში თანამგრძნობი დაინახა და დაწვრილებით უამბო თავისი ამბავი. ვანდამ ადრევე იცოდა და არც ენაღვლებოდა მისი გასაჭირი, მაგრამ სვეტლანა ისეთი გულისტკივილით უყვებოდა, რომ ამ გულქვა ქალშიც კი სიბრალული გამოიწვია.

— არაფერია, გენაცვალე, მალე მოეღება ბოლო შენს ტანჯვას, აი, მალხაზი გამოვა საავადმყოფოდან, საიდუმლოდ ვაცნობებ, სადაც ხარ და ის გაგათავისუფლებს, წაგიყვანს მამიდაშენთან.

სვეტლანა დამშვიდდა, ამ ქალში მან თავისი მხსნელი იპოვა და გადაწყვიტა, არავითარ შემთხვევაში არ მოშორებოდა მალხაზის გამოჩენამდე. აგარაკზე ხანდახან კაპლო გამოჩნდებოდა ხოლმე, რო-

მელიც თავის ნათესავად გააცნო. დანარჩენი კი კარგა ხანს არ გამოჩენილან.

ვერონიკა კმაყოფილი იყო სვეტლანას გამობრუნებით. იმედი ჰქონდა, რომ „შეფი“ დაუმადლიდა.

ვადიმ ურალოვისაგან ვერონიკამ ვერავითარი ცნობა ვერ მიიღო. მის გულში თანდათან შიში დაგუბდა. ღამეები არ ეძინა. თითქმის თავისი საყვარელი არაყიც კი მიივიწყა და მხოლოდ დაწოლის წინა სვამდა. ის დაწყევლილი დანიელიც ხომ ახლა დაიკარგა?

კუზმა გაურკვეველი იყო თავისი მდგმურის საქციელით.

— ვერა ნიკოლაევნა, არ გაინტერესებთ ახალი გაზეთები? თუ გნებავთ, მოვიტან.

— მე აქ დასასვენებლად ვარ ჩამოსული და მინდა ყველაფრისაგან დავისვენო.

— ცხოვრებისაგან გამოთიშვა არავის ეპატიება, — უპასუხა კუზმამ.

მან რამდენიმე დღის გაზეთები მოუტანა და მაგიდაზე დაულაგა. საღამო ჟამს ისევ მიადგა აბეზარი ბერიკაცი ვერონიკას ოთახს.

— ვერა ნიკოლაევნა, როგორია თქვენი აზრი აფრიკის ქვეყნებზე, რომელთაც კოლონიალიზმის უღელი დაამსხვრიეს და თავისუფლად ამოისუნთქეს? ჩვენი გავლენა რომ არ ყოფილიყო მსოფლიო პოლიტიკაზე, ისინი ხომ ამას ვერ მოახერხებდნენ?

ვერონიკა უსმენდა კუზმას და მისი არაფერი გაეგებოდა. მისთვის აფრიკა მიკარგული მიწის ნაჭერი იყო, სადაც მხოლოდ ველურები ცხოვრობდნენ და ისიც კი არ იცოდნენ, რამდენი თითი ჰქონდათ ორივე ხელზე. ამერიკელი ფერმერები მათ მონებად ყიდულობდნენ და ყიდიდნენ.

— მე ყველა გაზეთის გადათვალიერება ვერ მოვასწარი და მაგ შეკითხვაზე ჯერჯერობით ვერ გიპასუხებთ.

კუზმამ გაკვირვებული თვალები შეანათა ვერონიკას.

მერე სკამიდან წამოდგა და გაზეთების შეგროვება დაიწყო. ოთახიდან ისე გავიდა, ჯერაც გონზე ვერ მოსულიყო. ვერასგზით ვერ წარმოედგინა, თუ ასეთი უვიცი გამოდგებოდა მისი მდგმური.

— არა, აქ რაღაც სხვა საეჭვო ამბავია და ყურადღების გამახვილებაა საჭირო.

არც ვერონიკა იყო ნაკლებად შეშფოთებული, რა იქნება, რომ ამ ბერიკაცმა ეჭვი აიღოს და მილიციაში გამოაცხადოს? მაშინ ხომ მთლად ჩაიფუშება მისი გეგმები. ეშმაკმა დასწყევლოს იმ ბებერი ქაჯის თავ-ტანი, რომ აუშალა პოლიტიკაზე საუბრის საღერღელი? ნეტა

რაღას აგვიანებს ვადიმი? რატომ არაფერს ატყობინებთ? ერთი სიტყვა მაინც მოეწვდინა, როგორ მოიქცეს, წავიდეს თუ კიდევ დაელოდოს? არა, ერთ დღეს კიდევ მოუცდის და თუ ხვალეც ვერაფერი გაიგო, მოკურცხლავს აქედან. იმ საღამოს ვერონიკამ დაწვრილებით უამბო მიხას ყველაფერი. მიხას ამ ამბავმა თავზარი დასცა. თუმცა მზად იყო გასაქცევად, მაგრამ მაინც ელოდა ფიდო ძიას რამე ნიშანს.

— შენ რას იტყვი, ქარუმ, როგორ მოვიქცეთ? მე ხვალაც მინდა მოვუცადო, იქნებ იმ ბედოვლათმა კაპლომ როგორმე ინახულოს ვადიმი, თუ არადა, სვეტლანას მივასაკლავებთ, ჩვენ კი რუსეთისაკენ წავალთ. დიდი ქვეყანაა, ვერავინ მოგვნახავს. მთავარია, აქედან გავაღწიოთ.

— მერე ვანდა?

— კისერი უტეხია, რაც უნდა, ის გააკეთოს.

ვერონიკამ, როგორც იქნა, გაათენა მეორე დღეც. ვადიმისაგან კვლავ არა ისმოდა რა.

— ჩვენი აქ გაჩერება აღარ შეიძლება, — უთხრა მან მიხას და კაპლოს, — ვადიმს ვეღარ მოვუცდით. ვიცი, სადაც არ უნდა ვიყო, მომნახავს. რახან თავისუფალი მნახა, აღარ მომეშვება. მკითხავს რამეს და შევძლებ დავარწმუნო, რომ თავის გარიდება აუცილებლობით იყო გამოწვეული.

— სვეტლანას რა ვუყო? — შეეკითხა მიხა.

ვერონიკა დაფიქრდა. მიხა და კაპლო მის გადაწყვეტილებას ელოდნენ.

— აი რა, სვეტლანა უნდა მოვიშოროთ თავიდან.

— ფიდო ძიას რაღა პასუხს გასცემთ? — შეეკითხა მიხა.

— ვეტყვით, გაგვექცა და იძულებული ვიყავით მოგვეკლა-მეთქი, დაგვიჯერებს. პატარას იჯავრებს და დამშვიდდება. მერე მაგ ძაღლის ლეკვზე უკეთესებიც მოიძებნებიან.

— ახლა როგორ მოვიქცეთ, რას გვირჩევთ?

— იცით, მე რას ვფიქრობ? — უთხრა ვერონიკამ, მატარებლით ჩვენი აქედან წასვლა საშიშია, რკინიგზის მილიცია ეყოლებათ გაფრთხილებული. მანქანით აჯობებს წასვლა.

— მანქანით შორს ვერ წავალთ, — შეეკამათა მიხა, — ავტოინსპექტორები განა ნაკლებად არიან საშიშნი? მე ასეთი აზრი მაქვს: ერთ ბერიკაცს ვიცნობ, რომელსაც მოტორიანი ნავი აქვს, იმით უნდა ვისარგებლოთ.

— ის შორს არსად წაგვიყვანს.

— არცაა საჭირო, ჩვენ თვითონ წავალთ. მთავარია ზღვაში გავიდეთ, შემდეგ აღარ დავეკითხებით. შავი ზღვის სანაპიროები მანქანით მაქვს დავლილი. აქედან ანაკლიამდე მივალთ, იქ მანქანას ვიშოვით და ზუგდიდში ჩავალთ. შემდეგ გვდიონ, რამდენიც უნდათ.

— გზაში საშიში არ იქნება? — თქვა კაპლომ.

— ფიქრი ნუ გაქვს. ოქროს ვარსკვლავიან დეიდა ვერონიკას რომ ნახავენ, გზას დაგვითმობენ.

— კარგი, შვილო, მაგრამ იმ ბერიკაცმა რომ გაგვიწიოს წინააღმდეგობა?

— გაგვიწევს და ზღვაში გადავუშვებ, ნავს კი მე თვითონ წავიყვან.

— შენ, ჩემო დისწულო, ანაკლიის მაგივრად თურქეთში გაგვიყვანო.

— ფიქრი ნუ გაქვს, ბიძაჩემო, მიმართულებას არ დავკარგავ.

— ღმერთია მოწყალე, შვილო, - გადაიწერა პირჯვარი ვერონიკამ, — ის ჩვენ არ გაგვწირავს. შენი აზრი, შვილო ქარუმ, მომწონს. მანქანა კი უნდა დავტოვო. მანქანას აქ რომ ნახავენ, აზრზე ვერ მოვლენ თუ გაპარულები ვართ.

— ზუგდიდიდან თბილისში ჩავალთ, იქ რამდენიმე ხანს ზახარ წყალობიჩთან შევაფარებთ თავს, შემდეგ კი ვიფიქრებთ, საით ემჯობინება გაფრენა.

— კარგი, შვილო ქარუმ, ხვალვე მონახე ის მენავე, ამ საქმის გადადება აღარ შეიძლება. ფულს ნუ დაზოგავ, რაც გთხოვოს, დაპირდი, მით უმეტეს, რომ გადახდა არ მოგიხდება, ჩაილაპარაკა კაპლომ.

— აბა, ახლა თითო გადავკრათ აქ უკანასკნელად და დავიძინოთ, — დაასკვნა ვერონიკამ.

კაპლომ და მიხამ სიამოვნებით დასცეს დასტური.

თავი XI

შუაღამისას ვერონიკამ მიხა და კაპლო ფეხზე წამოაყენა.

— რა ამბავია, დეიდა ვერა? — იკითხა უკმაყოფილო მიხამ.

— ჩუმად, ქარუმ, რა ღრიანცელი ატეხე, შე საძაგელო? ჩვენი ბარგი-ბარხანა ამაღამვე გადაიტანეთ „აგარაკზე“, ხვალ ისე უნდა წავიდეთ აქედან, რომ კაცმა ვერ შეიტყოს ჩვენი გაპარვა. ორი ძველი ჩემოდანი დატოვეთ სათვალფერისოდ. გათენებამდე უნდა მოვათავსოთ ეს საქმე, ფრთხილად იყავით, არავინ მოგკრათ თვალი, გასაგებია? — ჩურჩულებდა ვერონიკა.

ორივესთვის ყველაფერი გასაგები იყო. უკვირდათ ლოთი დედაბრის წინდახედულება, წინა საღამოს იმდენი არაყი ჩაცეცხლა და მაინც შერჩა სიფხიზლის უნარი.

მზე ჯერ ამოსული არ იყო, რომ მიხა და კაპლო დაბრუნდნენ, კუზმამ და მისმა ძმისწულმა ვალერიმ დაინახეს, რომ დილით ორივენი ეზოში იბანდნენ პირს.

ნახევარი საათის შემდეგ კი ვალერი ქობულეთისაკენ გაუდგა გზას, კუზმამ თვალი გააყოლა შვილიშვილს და წაიდუდუნა:

— ეჰ, ყეყეჩო კუზმა გრიგორიჩ, ძველი მეზღვაური მაინც არ იყო, შე გამოთაყვანებულო ბებერო. რა თქმა უნდა, მართალი ხარ ვალერი ალექსეევიჩ, პაპაშენი კი ისე გასულელდა, რომ უსარგებლო შუშის ნამსხვრევი ბრილიანტად მიიღო. შემდეგ დაფიქრდა და განაგრძო — მაგრამ სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი? ჰო, ვნახოთ, მოვიდეს მილიცია და გამოარკვიოს, გული მაინც ისევ საგულეს ჩამიდგება.

ვალერი ახალი წასული იყო, როდესაც მიხა ხაპიაშვილი დაბრუნდა. ვერონიკა გულისფანცქალით ელოდა. ის ძაღლის ლეკვი სადღა წავიდა, — ალბათ ქობულეთში, ვაი თუ დაასმინოს! გაასწრებენ თუ არა? მიხამ ვერონიკას აცნობა, რომ მოტორიანი ნავი უკვე დაქირავებულია და ელოდება. ნივთები და ძვირფასეულობა ნავის მახლობლად არის შენახული. ვერონიკას ესიამოვნა მიხას წინდახედულობა და ანიშნა: ვიწყებთ გაპარვასო.

— მე პატარას გავივლი, მუხლს გავშლი, თქვენ აქ მომიცადეთ.

— დეიდა ვერა, ბარემ ჩვენც წავალთ ზღვაზე საბანაოდ, უთხრა მიხამ.

ვერონიკამ დაუტატანა:

— არა! არავითარ საბანაოზე! უმჯობესია ქობულეთში წახვიდეთ და ფოსტაში მოიკითხოთ, ჩემს სახელზე წერილები ხომ არ არის მოსული.

კაპლო მივიდა მანქანასთან და ჩამოჯდომა დააპირა.

— რად გინდათ მანქანა? ფეხით წავიდეთ, მე არსად არ მეჩქარება.

ეს საუბარი მანქანის პატრონისათვის იყო გამიზნული.

კუზმამ პირველ ხანს იფიქრა, გაქცევას ხომ არ აპირებენო, მაგრამ როდესაც ნახა, რომ მანქანით არ წავიდნენ და ჩემოდნებს არ ახლეს ხელი, დამშვიდდა. ან რატომ უნდა გაიქცნენ? ავი სულებიც რომ არ იყვნენ, რას მიხვდებიან, თუ ვალერი ქობულეთში იმიტომ წავიდა, რომ მილიციას აცნობოს მათზე.

ვერონიკას წასვლის შემდეგ მის ოთახში მაინც შეიხედა ფანჯრიდან. ჩემოდნები წინანდელ ადგილზე ეწყო.

არჩილ ჩოხელი ქობულეთში გაემგზავრა ბანდის დანარჩენი წევრების მისაგნებად და სვეტლანას მოსაძებნად, ხოლო დანიელ ბოშა ხუტა გაწერელიას „გადაულოცა“. ისინი ერთმანეთს კარგად იცნობდნენ, დანიელი ხუტას, მაშინდელ ჩაჩბას, თავიანთ კაცად სთვლიდა. როდესაც მილიციაში მისი ოპერატიული მუშაობა გამომჟღავნდა, დანიელი უკვე დაპატიმრებული იყო. ყველაფერი ეს მხოლოდ გადასახლებიდან გამოპარვის შემდეგ გაიგო.

პატიმარი დაკითხვისას ნერვიულობდა. ხუტამ იცოდა, რომ ბოშასათვის სულ ერთი იყო, სად იქნებოდა, ოღონდ არაყი და წეკო არ მოჰკლებოდა, უარყობას კიდევ როგორმე გაუძლებდა, მაგრამ წეკოს უქონლობას კი ძლიერ განიცდიდა.

ხუტა მიუხვდა მიზეზს, რამდენიმე შეკვრა წეკო იშოვა და საწერი მაგიდის უჯრაში შეინახა. როდესაც დანიელი მორიგ დაკითხვაზე მოიყვანეს, ხუტამ პაპიროსი გაუწოდა. დანიელმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— მოსწიე, ვიცი, რომ მოსაწევი გაგითავდა, — უთხრა ხუტამ.

— არა, მოქალაქე უფროსო, პაპიროსს არ ვეწევი. აი, წეკო რომ ყოფილიყო... — ამოიხვნეშა პატიმარმა.

— ძველი ნაცნობისათვის არც წეკოს დავიშურებ, — გამოაღო მაგიდის უჯრა და დანიელს შეკრულა წეკო დაუდო.

პატიმარს თვალები გაუბრწყინდა, შეხედა შეკრულს, მაგრამ ხელის ხლება ვერ გაბედა.

— აიღე, შენთვის არის ნაყიდი, — ღიმილით უთხრა ხუტამ და პაპიროსის ქაღალდიც გაუწოდა.

— არა, ეს არა, გაზეთის ქაღალდი გექნებათ.

— ინებეთ!

პატიმარმა გაზეთს კუთხე მოახია, შიგ წეკო ჩაყარა, ხელის კანკალით გაახვია, ენით დაასველა, გაასწორა და ხუტას შეხედა.

ასანთი მისცეს.

დანიელმა რამდენჯერმე ღრმა ნაფაზი დაარტყა, თვალები გაუბრწყინდა, სიხარულით აცმუკდა.

მოქალაქე უფროსო, არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა, თქვენ მე სიცოცხლე დამიბრუნეთ.

— კაცო, წეკოს უქონლობას თუ ასე განიცდიდი, ვეღარ მითხარი?

— დალოცვილო, განა შემეძლო მეფიქრა, რომ თხოვნას შემისრულებდით.

— სცდები, თუ ფიქრობ, რომ ჩვენ ადამიანის წვალება გვიყვარს, მხოლოდ სიმართლეს ვეძებთ. თქვენ კი სიმართლის თქმას გაურბიხართ და ამიტომ გაქცევთ ნაკლებ ყურადღებას.

— მე ყველაფერი მართალი მოგახსენეთ. რა ჩემი ბრალია, რომ არ გჯერათ?

— რატომ მალავთ და არ ამბობთ, სად იმყოფებიან ვერონიკა და ქარუმა.

— რაში მჭირდება დაფარვა, ხომ ვიცი, რომ ჩემი საქმე წასულია?

— მეც სწორედ ეგ მაკვირვებს. დანაშაულის ჩადენა ბოროტებაა, ხოლო დაფარვა აორკეცებს ამ ბოროტებას. თქვენი ჩადენილი დანაშაული რომ აღიარეთ, კარგია, მაგრამ მთავარ დამნაშავეებს რომ ხელს აფარებთ, ეს უკვე არ ვარგა. ახლა მეტს არაფერს გეტყვით, წადით, დაფიქრდით და თუ ჩემი რჩევა ჭკუაში დაგიჯდებათ, რა დროც არ უნდა იყოს, გუშაგი მილიციელის პირით შემომითვალე. სასამართლო მხედველობაში მიიღებს ყველა გარემოებას. ჩვენი მართლმსაჯულება როდესაც იძულებულია, სასტიკი განაჩენი გამოიტანოს, გარწმუნებთ, გულისტკივილით აწერს ხელს.

— თუ მოსამართლე გულისტკივილით აწერს ხელს, რატომ გამოაქვს სასტიკი განაჩენი, რატომ არ არბილებს?

— არც მოსამართლე და არც პროკურორი არ სწირავს ისეთ ადამიანს, რომლის შემობრუნება ცხოვრებისაკენ კვლავ შეიძლება. მაშ ასე, წადით და იფიქრეთ.

დანიელ ბოშა სკამიდან წამოდგა და გასასვლელისაკენ გაბრუნდა.

— მოითმინეთ, — გააჩერა ხუტამ, თქვენ აქ წეკო დაგრჩათ. ღამე გაგიჭირდებათ.

— როგორ, თან წაღების უფლებას მაძლევთ? — იკითხა გაკვირვებულმა პატიმარმა.

— წაიღეთ, კიდევ მაქვს თქვენთვის შენახული. ნუ გეფიქრებათ, არ მოგაკლებთ ამ სიამოვნებას.

დანიელ ბოშა დაბნეული შევიდა საკანში. მერე საწოლზე მიეგდო და იქაურობა მყრალი წეკოს კვამლით გაავსო.

— მართლაც და რატომ არ ვამჟღავნებ ქარუმას და ვერონიკას? — ფიქრობდა იგი, — ჩემი საქმე მაინც წასულია და პატიმრობა არ ამცდება. მაშ რა საჭიროა, რომ ვფარავ იმ გადაყრუებულ ლოთ ბებრუხუნას? დურგლობა ვიცი, შოფრობაც, იქაც გამოვდგები, სადაც გამგზავნიან. ყველაზე ძნელ საქმეს მე მავალებენ, წილად კი ნასუფრალს მაძლევენ. ხეირიანი ჩექმებიც კი არ მიყიდეს. ეს გამომძიებელი ჩემი მტერი არ უნდა იყოს. აი, წეკოც კი მომიტანა.

რიჟრაჟმა მოაწია, დანიელ ბოშა კი ისევ იწვა და წეკოს აბოლებდა. უცბად წამოხტა, კარს მივარდა და რახუნი დაუწყო:

— რაშია საქმე, რა მოგელანდა? — მოესმა მილიციელის ხმა.

— ახლავე წამიყვანე უფროსთან! სასწრაფო, გადაუდებელი საქმე მაქვს!

ხუტა დასასვენებლად არსად წასულა, სამუშაო ოთახშივე წამოწვა, მაგრამ მის თვალს რული არ მიჰკარებია. გრძნობდა, რომ ეს ღამე გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო.

როდესაც მილიციელმა აცნობა, რომ პატიმარს მისი ნახვა სურდა, ხუტამ უბრძანა, დაუყოვნებლივ მოეყვანათ.

რამდენიმე წუთის შემდეგ დანიელ ბოშამ მოღუშული სახით შემოალაჯა.

— მოქალაქე უფროსო, არ იფიქროთ, თითქოს წეკოთი მიყიდეთ. არა, მე ბევრი ვიფიქრე და დავრწმუნდი, რომ თქვენ მართალი ხართ. თქვენ იცით, რომ ვერონიკა და ქარუმა არსად წასულან, მხოლოდ ის არ იცით, სად იმალებიან და სად ჰყავთ სვეტლანა მიჩქმალული. ეს რომ ასე არ იყოს, არ ჩამაცივდებოდით. მომისმინეთ და დაწერეთ, დაუფარავად გეტყვით სიმართლეს...

ნახევარი საათის შემდეგ დანიელ ბოშამ ოქმზე ბატისფეხურით მოაწერა ხელი და გულდამშვიდებული დაბრუნდა საკანში.

თავი XII

მოხუცი კუზმას შვილიშვილი ვალერი ნოვიკოვი შეფიქრიანებული მიდიოდა ქობულეთისაკენ. სერიოზულად იყო შეშფოთებული. ეჭვი ეპარებოდა დედაბრის დეპუტატობაშიც და სოციალისტური შრომის გმირობაშიც. არ კითხულობს გაზეთებს და პოლიტიკურადაც უვიცია.

ამ ფიქრებში გახვეული მიადგა რაიონის მილიციის განყოფილებას.

— მობრძანდით, — გასძახა კარის კაკუნზე მილიციის უფროსმა. კაბინეტში ვალერი ნოვიკოვი შემოვიდა.

— გნებავთ რამე? შეეკითხა უფროსი და იქვე მდგომ არჩილ ჩოხელსა და ჯემალ ქედელიძეს ანიშნა, დამსხდარიყვნენ.

— გხედავთ, არ გცალიათ, გარეთ მოვიცდი, ძალიან საჩქარო და მნიშვნელოვანი საქმე კი მქონდა.

— ესენი ჩვენი თანამშრომლები არიან, ნუ მოგერიდებათ, დაბრძანდით და თქვით, რაც სათქმელი გაქვთ.

ვალერი ჩამოჯდა სკამზე და გაუბედავად დაიწყო, შემდეგ გული გაიმაგრა და დაწვრილებით უამბო, რაც იცოდა ვერონიკასა და კაპლოზე, აგრეთვე მიხაზეც.

— ერთი ეს მითხარით, ჩემო ვალერი, ახალგაზრდა ქალი ხომ არ გინახავთ მათთან? ან თქვენს პაპას ხომ არაფერი უთქვამს?

— ახალგაზრდა ქალი? არა, არაფერი გამიგია და არც მინახავს, ისინი მხოლოდ სამნი არიან.

— მადლობელი ვარ თქვენი, ძვირფასი ამხანაგო, ძალიან დიდი საქმე გააკეთეთ, რომ გვაცნობეთ. თქვენი ეჭვები არ არის უსაფუძვლო. ეს სამეული ოდესღაც საშინელი ბანდის ნაშთია.

მილიციის უფროსმა ხელი მაგრად ჩამოართვა.

— საჭიროა სწრაფი მოქმედება, — თქვა არჩილმა, — ხომ წამიყვანთ ბინაში, რომ ძებნაში დრო არ დავკარგოთ?

— რატომ არა, სიამოვნებით.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ქობულეთიდან ტყვიასავით გავარდა ავტომანქანა ჩოლოხისაკენ.

კუზმამ რომ თვალი მოჰკრა მოულოდნელ სტუმრებს, გულმა ფანცქალი დაუწყო.

— აბა, ბიძაჩემო, სად არიან, თქვენი მდგმურები? — შეეკითხა მას მილიციის უფროსი.

— შინ არ გახლავთ, პატივცემულო, ქალი დიდი ხანია სასეირნოდ წავიდა.

— ხომ არ გაიპარნენ?

— სად უნდა გაპარულიყვნენ? ჩემოდნები და მანქანა აქა აქვთ.

— დავუცადოთ? — იკითხა, არჩილმა.

— სხვა გზა არა გვაქვს. მანამდე კი ვნახოთ, ჩემოდნებში რა ულაგიათ.

ოთახში შევიდნენ. ჩემოდნები საგულდაგულოდ იყო დაკეტილი, ასწიეს, მძიმე აღმოჩნდა.

— რა შავი ქვით არის, სავსე? — გაიკვირვა ჯემალმა, — შიგ ოქროს ზოდები რომ არ ულაგიათ?

წვალებით გახსნეს და როდესაც სახურავები ახადეს, შიგ მართლა ქვები აღმოჩნდა.

— გაქცეულან, კიდევ გაგვასწრეს! — ამოიკვნესა არჩილმა.

— გაბედეს გაქცევა? აბა ჩქარა, სადგურისაკენ!

— იქნებ ზღვით წავიდნენ?

— აქ ნავსადგური არსადაა, ზღვას ფეხით ხომ არ გატოპავენ.

მოტოციკლეტი მოგრიალდა. ბათუმიდან მილიციელი ჩამოვიდა და არჩილს სასწრაფო ბარათი გადასცა.

ხუტა გაწერელია იწერებოდა:

— როგორც იქნა, ენა ამოიდგა დანიელმა, სვეტლანა დამალული ჰყავთ ახლო მდებარე განმარტოებულ, ნახევრად დაზიანებულ სახლში. მასთან სოხუმელი ვანდაა. სახლი ქობულეთის ჩრდილო დასავლეთითაა ხრიოკ ადგილზე. მე სასწრაფოდ მივდივარ იქ.

— ის სახლი ვიცი, — გაიხსენა მილიციის უფროსმა, ყურადღება არ მიმიქცევია. უპატრონოდ იყო მიტოვებული.

— შორს არის აქედან?

— ხუთი თუ ექვსი კილომეტრი იქნება.

— აბა ჩქარა, გავწიოთ! გზა ხომ არის?

— მანქანა გაივლის, მხოლოდ რიყეში ცოტა გაგვიჭირდება.

მილიციის უფროსმა ერთი თანამშრომელი სასწრაფოდ გაგზავნა ქობულეთის სადგურში, რათა ოპერატიული პუნქტის თანამშრომლები გაეფრთხილებინა, განყოფილებიდანაც წაეყვანა მილიციელები და მთელი სადგური მოეჩხრიკა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ვერონიკას „აგარაკისაკენ“ ორმა მანქანამ გაიქროლა.

თავი XIII

კაპლო და მიხა დასახლების ბოლოში შეხვდნენ ვერონიკას. მათ დაწვრილებით დაათვალიერეს იქაურობა და რომ ნახეს, კაცის ჭაჭანება არ იყო, გულდამშვიდებულნი გაუდგნენ გზას. ერთი სული ჰქონდა, ვიდრე ნავს მიაღწევდნენ, რომ ზღვის პირას მომლოდინე მოხუცი მეზღვაური „აგარაკზე“ მისულიყო, სვეტლანა შეეკრა, იატაკზე დაეგდო და სახლისათვის ცეცხლი წაეკიდებინა, მერე ვანდა წამოეყვანა და ნავთან მისულიყო.

— ვანდა, მოემზადე წასასვლელად.

— მივდივართ?

— ჰო, უნდა წავიდეთ, — უთხრა კაპლომ.

— სად არის სვეტლანა?

— შენი საქმე არ არის. აბა გავიქცეთ, ჩქარა!

ვანდას ცეცხლის ტკაცატკუცი მოესმა. კარებს ეცა, მაგრამ დაკეტილი დახვდა. სახლს ფანჯრები დარკინული ჰქონდა.

— მხეცო, ნადირო, ჩქარა მომეცი გასაღები. ცოცხალი ადამიანის დაწვას აპირებ?

— მე კი არა, დეიდა ვერონიკა აპირებს, — თავი იმართლა კაპლომ, — აბა, მოდიხარ თუ არა?

— სად უნდა წამოვიდე? ჩქარა, გასაღები-მეთქი!

— არ წამოხვალ და ჯანდაბას შენი თავი, — კაპლო სწრაფად გაემართა ჭიშკრისაკენ. ვანდა გამოუდგა და ებდღვნა. მამაკაცმა ხელის კვრით მოიშორა და ბებუთი იძრო:

— არ მომეშვები? — დაიძახა კაპლომ და ქალს ბებუთი მკერდში ჩასცა.

მანქანის საყვირის ხმამ შეაკრთო ავაზაკი. საფრთხე იგრძნო და ზღვისაკენ გაიქცა. ხუტამ შორიდან დაინახა ცეცხლმოკიდებული სახლი. იქ საშინელი ტრაგედია ტრიალებდა, მანქანიდან გადმოხტა და მძიმედ დაჭრილ ქალს თავზე დაადგა.

— კოკი, უშველეთ, სვეტლანა იწვის. აგერ გარბის ავაზაკი... ქალს გული წაუვიდა.

ხუტა გაწერელია თანამშრომლებთან ერთად ცეცხლის ალში გახვეულ სახლთან მიიჭრა, კარები გამოკეტილი იყო. ხუტა ეცა ღობეს, მოაძრო ვეება მარგილი და კარს აძგერა. როგორც იქნა, კარი შეიმტვრა. ოთახიდან გავარვარებული ალი გამოიჭრა. ფიქრის დრო

აღარ იყო. ხუტამ ჭიდან კასრით წყალი ამოზიდა, ზედ გადაივლო და ალმოდებულ სახლში შეიჭრა.

კაპლოს კაპიტანი კონცელიძე დაედევნა.

დროზე მიუსწრო ხუტამ, ცეცხლმოკიდებული ქალი მხარზე შეიგდო და კარისაკენ გაექანა. როდესაც ხუტა გაწერელია ცეცხლმოდებულ ოთახში შეიჭრა, ეზოში კიდევ ერთი ავტომანქანა მოგრიალდა, იქიდან სასწრაფოდ გადმოვიდნენ მილიციის უფროსი არჩილ ჩოხელი, ჯემალ ქედელიძე და ორი თანამშრომელი. ხუტას მეწყვილემ თქვა, რომ ოთახში ქალის გადასარჩენად ხუტა შევიდა, კონცელიძე კი ბანდიტს გამოუდგა.

არჩილ ჩოხელი და ჯემალ ქედელიძე გაიქცნენ კონცელიძის მისახმარებლად.

ოთახიდან გამოსულ ხუტას მილიციის უფროსი დაუხვდა. გულწასული ქალი სასწრაფოდ გადასცა მას და თვითონ მიწაზე კოტრიალი დაიწყო. ტანსაცმელზე მოდებული ცეცხლის ჩასაქრობად. მილიციის უფროსმა ქალი ბრეზენტის საწვიმარში გაახვია, ხუტას დროზე მიესწრო მისთვის, მხოლოდ ფეხზე მოსწვდენოდა ალი. თვითონ გადამრჩენი უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდა და სწუხდა, რომ არჩილ ჩოხელის მისახმარებლად ვერ გაიქცეოდა.

მილიციის უფროსმა მოსვლისთანავე შეუხვია ჭრილობა მძიმედ დაჭრილ ვანდას. სასწრაფოდ გაგზავნა ავტომანქანებით ქობულეთის საავადმყოფოში, თან თანამშრომელი გააყოლა. ვანდას წამყვანი მალე დაბრუნდა უკანვე, თან სასწრაფო დახმარების მანქანა და ექიმი წამოეყვანა.

ქალი გვიან მოვიდა გონზე.

— როგორ ხართ, სვეტლანა, როგორ გრძნობთ თავს? — მოესმა მას. მიხვდა, თავზე ვიღაც ადგა. უცნობს სახე და ხელები ბინტით ისე ჰქონდა შეხვეული, რომ მხოლოდ თვალები უჩანდა.

— ლაპარაკს თავი დაანებეთ, თქვენთვის ახლა სრული სიწყნარეა საჭირო, — გააფრთხილა ექიმმა ხუტა და ქალს მიაშურა.

შორიდან გასროლის ხმა მოისმა.

მილიციის უფროსი ელვის უმალ შებრუნდა, თან ერთი თანამშრომელი გაიყოლა და ხმის მიმართულებით გაიქცა.

როდესაც კაპიტანი კონცელიძე მიხვდა, რომ გაქცეულ კაპლოს ვერ დაეწეოდა, დამბაჩა იძრო.

— შესდექი, თორემ გესვრი! — და მართლა ესროლა.

ტყვიამ კაპლოს თავზე გადაუარა. იგი მიხვდა, რომ მეორე ტყვია აღარ „მოტყუვდებოდა“, შეჩერდა და მდევარს თვალი გაუშტერა.

— ასწიე ხელები! — კვლავ შეუძახა კონცელიძემ. კონცელიძე ბანდიტს მიუახლოვდა.

უეცრად კაპლომ ბებუთი იძრო და კაპიტანს მუცელში გაუყარა. კონცელიძემ მძიმედ ამოიგმინა, ხელები მუცელზე იტაცა და ჩაიჩოქა.

კაპლოს ხელახლა უნდოდა დანის ხმარება, მაგრამ ძახილი მოესმა და ზღვისკენ გაიქცა.

მიხა შორიდან უმზერდა ამ გაწამაწიას. მიხვდა, რომ ვიდრე რამდენიმე ნახტომს გააკეთებდა, არჩილი წამოეწეოდა. სასწრაფოდ იძრო დამბაჩა და მდევარს ესროლა და დისწულმა თავისი დედის ძმა ქვიშაზე გააგორა.

მიხამ დაინახა თავისი მარცხი, მაგრამ სინანულის დრო აღარ იყო, არჩილი გაშმაგებული მორბოდა ნავისაკენ. ყოველი წუთი შეიძლება საბედისწერო ყოფილიყო.

— აბა ჩქარა, შევარდი ზღვაში! — უბრძანა მიხამ გაოგნებულ მენავეს.

მენავე ადგილიდან არ დაძრულა, მოხუცი მეზღვაური შეშინებული და დაბნეული იყო.

— სიცოცხლე მოგბეზრდა ბებერო? ჩქარა-მეთქი, თორემ მაგ უტვინო შუბლს გაგიხვრიტავ, — მიხამ დამბაჩა ასწია და მენავის შუბლს გაუსწორა.

— როდესაც არჩილმა ზღვასთან მიირბინა, ნავი უკვე შორს მიაპობდა ტალღებს.

მოტორიანი ნავი, რომლითაც ვერონიკა და მიხა გაიქცნენ, ღრმად შეიჭრა ზღვაში.

ვერონიკა გულმოსული იყო თავის თავზე. იმ უკუღმართმა ვადიმმა დააყოვნა, თორემ დიდი ხანია სვეტლანას ბოლოს მოუღებდა და თავსაც დააღწევდა საფრთხეს. ახლა კი საით გაიქცეს? ისევ მიხას უნდა მიენდოს. მიხამ თქვა: ანაკლიაში მანქანას ვიშოვით, იქიდან ზუგდიდში მივალთ და მატარებლით თბილისში გავემგზავრებითო. ჩრდილო კავკასიაში ხომ არ ჯობია?

— არა, საშიშია! სოხუმის მილიცია ფეხზე იქნება დამდგარი. ისევ თბილისი სჯობია, ვერავინ წარმოიდგენს თუ ისინი თბილისისაკენ გაბედავენ გამგზავრებას. შემდეგ კი დაღესტანში გადავლენ. კაბის ნაოჭებში ამოკერილი ბრილიანტები სიკვდილამდე უზრუნველყოფს.

ოქროებიც ბლომად აქვს. იქ რომ ჩავა, მერე აღარც მიხა იქნება საჭირო.

მოხუცი მეზღვაურიც თავის ფიქრებში იყო ჩაფლული. მოტორიანი ნავი თევზის სარეწაოებს ეკუთვნოდა. გვიან მიხვდა წუწკი ბერიკაცი თავის გამოუსწორებელ შეცდომას. ახლა დამბაჩის შიშით აცახცახებული მთელი სისწრაფით მიაქროლებდა ნავს ზღვაში.

— აგერ, ბატონო, ფოთი უკვე გამოჩნდა, უთხრა მან მიხას და დააპირა ნავისთვის მიმართულება შეეცვალა და ფოთისაკენ ექნა პირი.

— არ გაბედო! — უღრიალა მიხამ.

— თქვენ ხომ მითხარით, ფოთში მივდივართო, ხომ ასე იყო მორიგება?

— გეუბნები, გასწი-მეთქი, ანაკლიამდე არსად არ გაჩერდები.

— ბენზინი არ მეყოფა, ბატონო.

— შენ ხომ იმდენი ბენზინი გქონდა, რომ ფოთამდე და იქიდან დასაბრუნებლად გეყოფოდა?

— მისვლით კი მივალთ როგორმე, მაგრამ უკან დასაბრუნებელი აღარ დამრჩება.

— ჩვენ უკან დაბრუნებას არ ვაპირებთ, გასწი, ბევრს ნუ ლაყბობ!!

საბრალო მენავე ნატრობდა, რომ ქარიშხალი ამოვარდნილიყო და ნავი გადაებრუნებინა, მაგრამ თითქოს განგებ, ზღვა სარკესავით ლაპლაპებდა.

— აგე, ბატონო, ანაკლიაც გამოჩნდა.

მიხამ, რომელიც აქამდე თვალს არ აშორებდა მენავეს, წუთით შეატრიალა თავი და ნაპირისაკენ გაიხედა. ბერიკაცმა ისარგებლა ამ წუთით, მარჯვედ აუკრა ხელი თავის დარაჯს, დამბაჩა ზღვაში გადაუგდო და თვითონაც წყალში გადაეშვა.

— დოყლაპია, უქნარა! როგორ მოგატყუა ბერიკაცმა, ტუტუცო! — ვერონიკა ბრაზისაგან გადაირია.

მიხას რაღა შეეძლო? ცურვა არ იცოდა, თორემ გადაჰყვებოდა. ავზი შეამოწმა, ბენზინი ილეოდა. მეტი გზა არ ჰქონდა — საჭე ნაპირისაკენ მიმართა.

ნავიდან გადმოსულებმა მცირე ხანს შეისვენეს და გზატკეცილზე გავიდნენ.

დიდი ლოდინი არ დასჭირვებიათ. გზად სატვირთო მანქანა მოგრიალებდა. მიხამ გააჩერა და ჰკითხა, საით მიდიოდა.

— ინგირში, — უპასუხა შოფერმა.

— ვერ წაგვიყვანთ? — შეეკითხა მიხა, — მატარებელზე გვაგვიანდება.

შოფერმა ალმაცერად შეხედა. უარის თქმა დააპირა, მაგრამ ვერონიკას მკერდზე ოქროს ვარსკვლავი რომ დაინახა, გადაიფიქრა.

— დაბრძანდით. ვერონიკა შოფერს მიუჯდა, მიხამ ძარაში მოიკალათა.

ინგირს უახლოვდებოდნენ, როცა ავტოინსპექტორმა გააჩერა.

— ეჩქარებათ მატარებელზე. მთხოვეს და უარი ვერ ვუთხარი, - დაეღრიჯა შოფერი.

ვერონიკა მანქანიდან გადმოვიდა და ავტოინსპექტორს შეევედრა:

— შვილო, ამ კეთილ ადამიანს ნუ დასჯით, ძალიან გვეშურება, გთხოვთ გაგვიშვათ, მატარებელმა არ გაგვასწროს.

ავტოინსპექტორმა ქალის მკერდზე ოქროს ვარსკვლავს შეავლო თვალი და შოფერს საბუთები დაუბრუნა.

ინგირის სადგურში მოსკოვ-თბილისის მატარებელი იდგა. სალარო დაკეტილი აღმოჩნდა, ბილეთები უკვე გაეყიდათ. ვერონიკა სადგურის უფროსისაკენ გაეშურა.

— შვილო, სასწრაფოდ უნდა წავიდე თბილისში, შვილის ავადმყოფობის დეპეშა მივიღე. ლამის ჭკუაზე შევიშალო.

ვერონიკამ ხელჩანთიდან ცხვირსახოცი ამოიღო და უცრემლო თვალების წმენდას შეუდგა.

— ბილეთები არ გახლავთ, მაგრამ იქნებ რამე მოგიხერხოთ. მარტო ხართ?

— ორნი ვართ, შვილო, შვილიშვილი მახლავს თან.

ბაქანზე გამოვიდნენ. სადგურის უფროსი რბილი ვაგონის გამყოლ ქალთან მივიდა და ჰკითხა: სადმე, ახლო ხომ არავინ ჩადიოდა ვაგონიდან, სასწრაფოდ სჭირდებოდა ორი ადგილი.

— ერთი სამტრედიაში ჩამოვა, მეორე კი — რიონში, მხოლოდ სხვადასხვა კუპეებში იქნება ადგილები, — უპასუხა გამყოლმა.

— მეტი არც გვინდა, იყოს სხვადასხვა კუპეებში, არა უშავს.

სადგურის უფროსმა სალარო გააღებინა და მოლარეს უბრძანა, დაუყოვნებლივ გაეცა ორი ბილეთი თბილისამდე.

მატარებელი დაიძრა. გამყოლმა დახურა ვაგონის კარი და ვერონიკა კუპეში შეიყვანა. მას მაშინვე დაუთმეს ქვედა საწოლი.

ვერონიკამ მადლობა გადაიხადა, საწოლზე გაიშოტა და თვალები მილულა. წინ გაურკვეველი, მოულოდნელობით აღსავსე მომავალი

იყო. ყაზარ წყალობიჩს პირადად არ იცნობდა, მაგრამ ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი. იცოდა, ძველი ნაჯიბგირალ-ნამიკიტნარი თავისიანს არ გაჰყიდდა. შვილზე ეტყვის, სარფიან საქმეზე დაბანდდა და მალე ჩამოვაო, მანამდე კი თბილისიდანაც წავლენ.

მიხა ტამბურში იდგა ფანჯარასთან და სივრცეს გაჰყურებდა. ნეტავი ჩქარა ჩაიყვანდეს ვერონიკას ყაზარ წყალობიჩთან. მერე ორივენი წაახრჩობენ ვერონიკას და ქონებას დაეპატრონებიან. თავის წილს გაანაღდებინებს პაპას, შემდეგ კი მთლად გაეცლება საქართველოს.

იმავე კუპეში, სადაც ვერონიკა მოთავსდა, თეთრწვერა, სათვალიანი მოხუციც იმყოფებოდა. მარცხენა ლოყაზე ღრმა ჭრილობა ჰქონდა. ვერონიკას მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ როგორც კი თბილისში ჩამოვიდნენ და ვაგონიდან ფეხი ჩამოდგეს, ბერიკაციც ჩამოჰყვა.

მიხამ ტაქსი დაიქირავა და წავიდა. ბერიკაცმა იმ ტაქსის ნომერი ჩაიწერა, იმავე საღამოს ეწვია ტაქსების პარკს, შოფრის ვინაობა გამოარკვია, მისამართი გაიგო და ბინაზე ეწვია.

— ხომ არ გახსოვთ, სად მიიყვანეთ მოხუცი ქალი და ახალგაზრდა კაცი, რომელიც დღეს სადგურიდან წაიყვანეთ, მოსკოვის მატარებლის ჩამოსვლის შემდეგ? — შეეკითხა ბერიკაცი შოფერს და მგზავრების გარეგნობა აუწერა.

შოფერი მიხვდა, ვისზედაც ეკითხებოდა სტუმარი.

— ელიაზე წავიყვანე.

— მისამართი ხომ არ გახსოვთ?

— ქუჩის დასახელება და სახლის ნომერი არ ვიცი, მაგრამ ადვილად მივაგნებ.

— შეგიძლიათ წამიყვანოთ?

— რატომ არა, მაგრამ მე უკვე გამოვიცვალე. ხვალ, სადაც მეტყვით, იქ მოვალ და წაგიყვანთ.

■ ■ ■

არჩილ ჩოხელი დაუკავშირდა თბილისს და საქმის მდგომარეობა ზურაბ ლომაურს მოახსენა.

— კაპიტანი კონცელიძე მძიმე მდგომარეობაშია, ამხანაგო პოლკოვნიკო, მაგრამ ექიმებმა განმიცხადეს, რომ უნუგეშო არ არის. ხუტასა და სვეტლანას დამწვრობაც სერიოზული ხასიათისაა. ბანდის დაჭრილი წევრი ვანდა გარდაიცვალა. ველოდები სარეწაოებზე გაგზავნილ ოპერატიულ თანამშრომელს. როგორც კი დაბრუნდება, წავალ ზღვის სანაპიროს მოსაჩხრეკად, შეიძლება სადმე კვალს წავაწყდე.

— იმოქმედე აზრიანად. შორს არსად იქნებიან წასულები.

ოპერატიული მუშაკი დაბრუნდა და უფროსს მოახსენა, რომ მოტორიანი ნავი სარეწაოებისა ყოფილა. არც მისი მენავე ჩანს სადმე.

— გამოარკვიეთ, ვინ არის მენავე?

— დიახ, ძველი მეზღვაურია, ამჟამად პენსიონერი.

— კიდევ აქვთ მოტორიანი ნავი?

— არ მიკითხავს, უეჭველად ექნებათ.

— უნდა გამოვუდგეთ, თუმცა დაწევის იმედი დაკარგულია, მაგრამ იქნება რაიმე კვალს მივაგნოთ. არა მგონია, რომ ფოთს იქით წასულიყვნენ, ფოთი კი გაფრთხილებული გვყავს, — თქვა არჩილმა.

სასწრაფოდ ჩასხდნენ ავტომანქანაში და სარეწაოებისაკენ გაეშურნენ. ზღვაში მალე მცირე მოტორიანი ნავი გავიდა. არჩილმა თან ერთი ოპერატიული თანამშრომელი გაიყოლია. მივიდნენ ფოთში. ვერაფერი შეიტყვეს.

— ნაპირ-ნაპირ ვიაროთ, იქნებ რაიმე საეჭვოს მოვკრათ თვალი, — მიუბრუნდა მენავეს.

ანაკლიის ნაპირებს რომ მიუახლოვდნენ, ზღვის პირას ნაპირს მიადგნენ. არჩილის მენავემ თვალი მოჰკრა ბერიკაცს, რომელმაც მიხა და ვერონიკა წაიყვანა.

— აი, ის, ვისაც თქვენ დაეძებთ, — თქვა მან.

არჩილს გაეხარდა, აქ მოსულან, ანაკლიაში, მაგრამ ნავი რომ არსად ჩანს?

დაღვრემილი ბერიკაცი თვალს ვერავის უსწორებდა, მან სლუკუნით უამბო არჩილს თავისი თავგადასავალი.

— რა ვქნა, შვილო, შევცდი, მოვტყუვდი, ზღვაზე გავისეირნოთო, რას წარმოვიდგენდი თუ ბოროტმოქმედები იქნებოდნენ?

— როდესაც დაინახეთ, რომ ქობულეთთან, ზღვის ნაპირზე ბრძოლა იყო, რატომ გააქციეთ ისინი?

— რა მექნა? ხელში სასროლი ეჭირა და შუბლში მიმიზნებდა. შემეშინდა.

— იცნობდით, ვინ იყვნენ?

— კაცს ვიცნობდი, ჩვენთან მოდიოდა ხოლმე, ჩვენი დურგლის მეგობარი იყო.

— არჩილმა ჩაისვა ბერიკაცი ნავში და გზა განაგრძო, ნაპირ-ნაპირ მიდიოდნენ, არ გაუვლიათ ხუთიოდე კილომეტრი, რომ ბერიკაცმა ტალღებზე უპატრონოდ მოქანავე ნავი შენიშნა და იცნო.

— ჩემი ნავი, აგერ ჩემი ნავი... — გადაირია სიხარულით.

— თქვენ ახლა შეგიძლიათ წახვიდეთ, საჭირო აღარ ხართ, — უთხრა არჩილმა მენავეებს.

არჩილი და მისი მეწყვილე ნაპირზე გადმოვიდნენ.

გზატკეცილზე მსუბუქი ავტომანქანა გააჩერეს და ზუგდიდში წავიდნენ.

არჩილმა ზუგდიდში მილიციის უფროსს უამბო თავისი მოსვლის მიზეზი და დაასკვნა:

— შეიძლება თქვენს ქალაქში ჰყავთ ვინმე, ვისთანაც დროებით თავს შეაფარებდნენ, თუმცა უფრო სწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ისინი არ გაჩერდებოდნენ. არც რკინიგზით გაბედავენ წასვლას.

მილიციის უფროსმა მდივანს დაუძახა და დაავალა ავტოინსპექტორები შეეკრიბა — ვნახოთ, ავტოინსპექტორები რას გვეტყვიან, იქნებ ნახეს რამე.

როდესაც თავმოყრილ ავტოინსპექტორებს განუმარტეს საქმის ვითარება, ერთმა მათგანმა მოახსენა უფროსს:

— დღეს ერთი მანქანა დავაკავე, რომლითაც ასეთი ნიშნების მქონე პირები მიდიოდნენ.

თავი XIV

მიხამ ვერონიკა თავის პაპის, ყაზარ წყალობიჩის ბინაში მიიყვანა. ყაზარ წყალობიჩს არ ესიამოვნა უცხო დედაკაცის შემოსახლება.

— ნუ გეფიქრება, პაპაჩემო, ეს ქალი ოქროთია გატენილი. ბრილიანტებიც ბევრი აქვს. ტანზე რომ კაბა აცვია, იმ კაბის ნაოჭებში სულ ბრილიანტები აქვს გამოკერებული.

— კარგი ერთი დაღლარავ, ბრილიანტები არა, ტორროლა! შენი მოსატყუარი კბილი დიდი ხანია მოვიცვალე.

— ბრილიანტებიც აქვს და ნიკოლოზის ოქროებიც.

— პაუალუსტა, ნუ დაახეთქე. ცხვირი არ დააცემინო. კაცს მართალი ეგონება.

— მაშ არა გჯერა? — მიხამ რამდენიმე ოქრო ამოიღო და ყაზარ წყალობიჩს წინ დაუყარა, ეს ოქროები მას ვერონიკამ მისცა გადასახურდავებლად.

— ახლა რაღას მეტყვი?

ყაზარ წყალობიჩს ოქროების დანახვაზე თვალები აცაბაცა გაექცა: ხელი სტაცა, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, კბილზედაც მოსინჯა, მაგიდაზე დაახეთქა და წკრიალი დააწყებინა.

— ვაჰ, კაცო, ეს ხომ ნიკალაის იმპერიალებია, საიდან გაჩნდა, როგორ? რამდენი ხანია თვალით აღარ მინახავს, მაშ შენ იძახი, რომ ამისთანა ზახრუმალები ბევრი აქვს? სთქვი რაღა, სული ნუ დამალევინე.

— ხომ გითხარი, ოხრად აქვს-მეთქი.

ყაზარ წყალობიჩს უნდოდა კაპლოს ამბავი ეკითხა მისთვის, მაგრამ ოქროების დანახვაზე შვილიც დაავიწყდა და თავისი თავიც.

— მანამ აქ ვიქნებით, დღეში ერთ ოქროს მოვაცემინებ. ჰა, რას იტყვი, ყაბულსა ხარ?

— ყაბულს რომელია, კაცო, ამისთანა რამის ხელიდან გაშვება შეიძლება ?!

ყაზარ წყალობიჩი იმავე წუთს აივანზე გაიჭრა, სადაც ვერონიკა იჯდა და მათ ელოდა, თვალებში შესცინა და თავისი დამტვრეული რუსულით დიდი ამბით მოიკითხა.

— ქალო კეკე, შვილო ამალია, — გასძახა ყაზარმა ცოლსა და ქალს, — სად მამაჩემთან დაიკარგენით, თქვენი ქოქი ამოვარდა?

— ახლავე. ქა, რა მოგელანდა? ოთახიდან დედაბერი გამოცუნ-ცულდა.

— ეს ჩემი ცოლია, იცნობდეთ, რუსული არ იცის, მაგრამ ზატო ჩიხირთმასა და ტოლმას ისე აკეთებს, რომ პერვოკლასნი პოვარი შემირცხვენია.

— დრასტი პაჟალუსტა, — კეკემ ხელი გაუწოდა სტუმარს.

— კეკე, აბა ჩქარა, განაპირა პატარა ოთახი მოამზადე, მარგოს ოთახი რომ იყო, ისა. ახალი ლოგინი გაშალე. ყველაფერი სუფთად იყოს. იცოდე, ქათამი დაიჭირე, რომ დავკლა, ერთი კარგი ჩვენებური ჩიხირთმა გააკეთე. ამალია გაგზავნე კოლხოზნი ბაზარში, სატოლმე ხორცი მოიტანოს, ჩვენებური ტოლმაც გააკეთე კომბოსტოს ფო-თოლში გახვეული. მაგას ბორშიც და კატლეტიც მობეზრებული ექნე-ბა, ერთი ჩვენიც ნახოს, როგორი საჭმელების გაკეთება ვიცით. ჰა, ჩქარა, ზაკუსკათ ერბოკვერცხი გააკეთე და ჩაიც აადუღე. ჰა, ჩქარა ქენი, ნუ იზლაზნები საქულას სახედარივით.

ვერონიკა ასაუზმეს და ლოგინში მოასვენეს.

— კაპლო რა იქნა. ის ყურუმსაღი? რატომ არ ჩამოვიდა თქვენ-თან?

— იმას ჯერ არ სცალია, პაპა, ერთი სარფიანი საქმე გაუჩნდა. ორ კვირას დარჩება, კაი ფულს გააკეთებს.

— მერე იმ ბედოვლათმა ერთი წერილი მაინც ვეღარ გამოგატა-ნა?

— უნდოდა გამოტანება, მაგრამ მითხრა: რაღა მივწერო, წერილი არ ხარო? ფიქრი ნუ გაქვს პაპა, კაპლოს არაფერი დაუშავდება.

— არა, რა ფიქრი უნდა მქონდეს. პატარა ხომ არ არის, რომ ნი-ანკები დასჭირდეს. თავისი ჭკუა თავში აქვს. რომელი ნეუნი-მაროუ-ნია, რომ გაცივდეს და ავად გახდეს, მარიფათიანია, ფულს გააკეთებს და მოვა, აბა რას იზამს!

— შენ ეს მითხარი, შვილო, — ყაზარმა აქეთ-იქით მიმოიხედა და ჩურჩულით უთხრა, — მაგ შენს ვერონიკას იმპერიალები ბევრი აქვს?

— იმპერიალები რა არის, პაპა?

— ეე, შკოლაში უჩიტელები რას გასწავლიდნენ, რომ იმპერია-ლიც არ იცი. წეღან არ გითხარი? იმპერიალი, შვილო, ნიკალაის ოქ-როს თუმნიანებს ერქვა, ხუთმანეთიანებს კი პოლუპრიალი. ვაჰ, რას იცინი, შე ყალთაბანდო, გასაცინი რა ვთქვი?

— არაფერი, ისე გამეცინა. იცი, რას ვფიქრობ? როგორმე უნდა დავისაკუთროთ.

— ვაჰ, ყურუმსაღო, ჩემს გულში იჯექი? საღოლ მიხაჯან. სიყრმის მზემ, მარიფათიანი ბიჭი ხარ, შენთვის შნო და ლაზათი მოუცია ღმერთს.

— მაგრამ როგორ მივახერხოთ?

— მაგაზე ადვილი რა არის! ღამით წავახრჩოთ, ძილის დროს, როცა ეძინება რაღა. მერე დავკუწოთ და ნაჭერ-ნაჭერ მეშოკებით წავიღოთ. ჩემთვის, შვილო, ასეთი საქმე პირველი არ არის.

— არა, პაპა, ასე არ ივარგებს. აქ მაგის მოკვლა არ შეიძლება. მთებში წავიყვანთ, იქ უდაბური ადგილები ბევრია, სადმე მივასაკლავებ და მიწაში ჩავფლავ, რომ კაცმა ვერ მონახოს. მორჩა და გათავდა.

— არა, შვილო, მეც იქ უნდა ვიყო.

— რა, არ მენდობი?

— არ მენდობი რომელია, ყურუმსაღო, ერთიც ვნახოთ და გაგიძალიანდა, მომხმარე არ უნდა გყავდეს?

— რა მენაღვლება, წამოდი.

— ეს როდის მოვახერხოთ? ბარემ ამაღამვე.

— არა, ამაღამ არ ივარგებს. წავალ, ლევანას მოვინახულებ. ის უეჭველად საჭირო იქნება ჩვენთვის. ნავალი კაცია, მიყრუებული ადგილები ჩემზე უკეთ იცის.

— კარგი, შვილო, მაგრამ ეს ვერონიკა წამოგვყვება მთებში?

— მაგან აქაური ასავალ-დასავალი არ იცის. პირველად არის აქ. ვეტყვი, მივდივართ-მეთქი, ჩვენ კი მთებისკენ წავიყვანთ. ფიქრი ნუ გაქვს, ვერაფერს გაიგებს.

— დაშხოშ, ყაბულ! შენ გენაცვალოს პაპაშენი, ყაზარ წყალობიჩი. მე, შვილო, ორი პარასკევიღა დამრჩენია, თქვენთვის არ მინდა, თუ მაქვს რამე? საფლავში თან ხომ არ ჩამატანთ? ვიდრე ცოცხალი ვარ, იმ ოქროების და ბრილიანტების ყურებით გამაძღეთ, მეტი არაფერი მინდა. მარტო ამას გთხოვთ, როცა მოვკვდები, გამაპატიოსნეთ, დუდუკით დამმარხეთ. ეთიმ გურჯის პესნებით, კარგი ქელეხი გამიმართეთ და ზედაც ქვა დამადეთ. სულ ეს არის, ამის პრავა მაქვს თუ არა?

მიხამ ვერონიკა გააფრთხილა, ვითომ დასაზვერად მიდიოდა და გულიც დაუმშვიდა, რომ მისი პაპის სახლში მას საშიშროება არ მოელოდა.

— შვილო, ქარუმ, არ დაიგვიანო, ხომ იცი, ჩემთვის მარტოობა ძნელია.

— არა, დეიდა, ზეგ აქ ვიქნები, გულში შიში არ გაიტაროთ. პაპა-ჩემს ვეტყვი, რომ არაყი არ მოგაკლოთ.

მიხა იმავე საღამოს გაემგზავრა ცალთვალა ლევანასთან მთებში.

ვერონიკამ მშფოთვარე ღამე გაატარა. მას ეხამუშებოდა უცხო, უცნობ ბინაში ძილი. ერთში კი იყო დარწმუნებული რომ ყაზარ წყალობიჩი მას არ გასცემდა.

მეორე დღეს ახალი ნასაუზმევი ვერონიკა აივანზე იჯდა და ყაზარს ემუსაიფებოდა.

ჭიშკარი გაიღო და ეზოში ვიღაც მოხუცმა შემოაბიჯა.

ყაზარი გაკვირვებული წამოდგა და მიეგება.

— ვინ გნებავთ?

ვერონიკამ შეხედა და ის თეთრწვერა ბერიკაცი იცნო, რომელიც ზუგდიდიდან მასთან ერთ კუპეში მგზავრობდა.

— მე ვერონიკა ნიკოლაევნა ხრაპის ნახვა მინდა, — უთხრა ყაზარს სტუმარმა.

ვერონიკამ თავისი სახელის გაგონებაზე ყურები სცქვიტა.

ბერიკაცი აივანს მიუახლოვდა და ვერონიკას გაუღიმა.

— ვერონიკა, ნუთუ ისე გამოვიცვალე, რომ ვეღარ მცნობ? მე ხომ იური ტერენტის ძე ბობრინცევი ვარ.

— იურკა, იუროჩკა, ცოცხალი ხარ? რა უნდა გიცნო? ჩვენ ხომ ერთმანეთს დავშორდით, ახალგაზრდა ყმაწვილი ვიყავი, ახლა კი...

— ვეროჩკა, დროს თავისი მიაქვს. რას იზამ, ასეთია ცხოვრება.

ვერონიკა საჩქაროდ წამოხტა, ეზოში ჩავიდა და მოსულს მიეგება.

ყაზარა შეჰყურებდა მათ. თვალებს ახამხამებდა და ვერაფერი გაეგო, საიდან მოევლინა მას ეს უცნობი ბერიკაცი.

— ვერონიკა ხომ საიდუმლოდ ჩამოვიდა? მაშ ვის უნდა სცოდნოდა მისი აქ ყოფნა?

მას განსაკუთრებით ის აკვირვებდა, რომ ქალმა პირველად ვერ იცნო მამაკაცი, შემდეგ კი, როდესაც გაიგო მისი ვინაობა, გაიბადრა.

— მოდი, მოდი გენაცვალე, მიამბე, საიდან გაჩნდი აქ, როგორ მომაგენი?

— ვერონიკა, ნუთუ კიდევ გახსოვარ?

შენი დავიწყება განა შემეძლო? სიზმარშიც კი გნახულობდი. მართალია, ორმოც წელზე მეტმა განვლო მას შემდეგ, რაც ერთმანეთს დავცილდით, ორივენი დავბერდით, მაგრამ შენში იმდენი რამ დარჩენილა ძველი, რომ მაინც გიცანი.

— რატომ მატარებელში არ გამომეცნაურე?

— იქ არც ადგილი იყო საამისო და არც დრო, მაგრამ შენ რომ ვერ მიცანი, ეს კი გასაკვირია! შენ ხომ ფენომენალური მეხსიერება გახასიათებდა მუდამ, ნუთუ ჩემში აღარაფერი დარჩა ძველი?

— მეხსიერებას არც ახლა დავემდურები, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, თუ შენ იქნებოდი. მაშინ ლამაზი, ახოვანი ვაჟკაცი იყავი. ახლა კი...

ყაზარ ნყალობიჩი ეზოში იდგა და გაკვირვებული შეჰყურებდა.

ვერონიკამ თვალი მოჰკრა სახლის პატრონის გაშტერებულ მზერას და უთხრა:

— მობრძანდით, ყაზარ წყალობიჩ, ეს კაცი ჩემი ქმარია. ორმოც წელზე მეტია, არ მინახავს.

— ნამდვილი ქმარი? ჯვარდაწერილი?

— რა თქმა უნდა, ნამდვილი, ჯვარდაწერილი.

— მაშ როგორ მოხდა, რომ ორმოც წელზე მეტია, რაც ერთმანეთი არ გინახავთ?

— მოხდა. ცხოვრების უკუღმართობის ბრალია ყველაფერი:

— ჰო, რა თქმა უნდა, ხდება ხოლმე, — ჩაიბურტყუნა ყაზარმა და გაბრუნდა. მან გადაწყვიტა, რომ არავითარ შემთხვევაში არ მიეცა ბინა თავის სახლში ამ ბერიკაცისათვის და თავისი გეგმა მაინც მოეყვანა სისრულეში.

ვერონიკამ ამჯერად სიმართლე თქვა, იური ტერენტის ძე ბობრინცევი ნამდვილად მისი ქმარი იყო.

ოდესღაც ბრწყინვაკე გრაფი, მეფის მსროლელთა შტაბის კაპიტანი და ბოლოს დენიკინის ახოვანი პოლკოვნიკი ახლა მეტად დაჩიავებული ეჩვენა რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი მექარხნისა და მილიონერის ქალიშვილს — ვერონიკა ხრაპს.

— დამაცა, ვიცი, გაინტერესებს ჩემი ცხოვრება და მოკლედ მოგიყვები. როდესაც შენ დაგშორდი, ჯერ ორიოლს მივაშურე, შემდეგ კი ბოშათა ბანაკს მივეკედლე. ოცნებად მქონდა გადაქცეული, როგორმე გამეღწია საზღვარგარეთ. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ საბჭოთა მტრებს კაპიტალისტები ზეიმით ეგებებოდნენ. ერთხელ, როდესაც ჩვენი ბანაკი ტირასპოლის მიდამოებში გაჩერდა, მე შევძელი შეუმჩნევლად ნავით გადასვლა მდინარე დნესტრზე და ბენდერს ვეწვიე. იქიდან იუგოსლავიაში წავედი. შემდეგ კი უნგრეთში გავლით, ავსტრიის ქალაქ მედლინგში მოვხვდი, სადაც ტრამვაის კონდუქტორად დავიწყე მუშაობა. მაშინ გერმანიაში ფაშიზმი მძვინვარებდა. მალე ჰიტლერი ავსტრიასაც ეწვია და თოფის გაუსროლე-

ლად დაიპყრო. ყველა უცხოელი მაშინვე აგვრიცხეს. ძველ ოფიცრებს წინადადება მოგვცეს, სამსახური მათ არმიაში დაგვეწყო. უარი არ მითქვამს. ან კი რად ვეტყოდი უარს? მომბეზრდა წინანდელი თრევა, შიმშილი. რაც არ უნდა ცუდი ყოფილიყო, იმ მდგომარეობაზე მაინც უკეთესი იქნებოდა, რასაც განვიცდიდი.

ერთ ღამეს ქალაქ ბადენში გამიწვიეს. იქ შევხვდი უცნობ გერმანელ პოლკოვნიკს, რომელმაც ორაზროვნად მითხრა, რომ მე განკუთვნილი ვარ სულ სხვა დანიშნულებისათვის და წინადადება მომცა, მოვმზადებულიყავი. დიდი საიდუმლოების დაცვით გაურკვეველი მიმართულებით წამიყვანეს და თუ საით, დღესაც არ ვიცი. იქ ამიხსნეს, რომ ჯაშუშად უნდა მოვემზადებინე. გამაფრთხილეს, ან თანხმობა გამომეცხადებინა, ან არადა, ჩემს კრემაცირებულ ფერფლს ქარს გაატანდნენ. მეტი რა გზა მქონდა, დავთანხმდი. ექვს თვეს დავყავი, სხვადასხვა ხელობა მასწავლეს: შიფრები, კოდები, მიკროფოტოგადაღება და სხვა ბევრი რამ, ჩემისთანების პოვნა მათთვის სასიხარულო იყო. ენის სპეციალური შესწავლა არ მჭირდებოდა და, როგორც ოფიცერმა, სასროლი იარაღის გამოყენება და მო. მარებაც კარგად ვიცოდი.

და აი, ერთ დღეს საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთ სანაპირო ქალაქს პარიკმახერად მოვევლინე. ფულითა და ათასი თაღლითური ცდებით ისეთ საპარიკმახეროში მოვეწყვე, სადაც უმთავრესად სამხედრო პირები დადიოდნენ.

ფაშისტები საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად ემზადებოდნენ და ყოველი უმნიშვნელო ცნობაც კი მათთვის ძვირფასი იყო. დიდხანს ვერ ვიბოგინე. ბოლოს მაინც ჩავვარდი. მაგრად ჩამჭიდეს ხელი. მე არაფერი დამიმალია, ყველაფერი მხედველობაში მიიღეს, ჩემი გულწრფელობა და თხუთმეტი წლის პატიმრობით შემიცვალეს. ამას არ მოველოდი. რა თქმა უნდა, სიკვდილის ღირსი ვიყავი, მათ კი ასეთი ჰუმანურობა გამოიჩინეს. წამიყვანეს ციმბირში. მუშაობა მშენებლობაზე დავინყე. თავი არ დავზოგე. ვეცადე გამომესწორებინა მიუტევებელი დანაშაული. დაიწყო სამამულო ომი. მე იმდენი ნდობა მოვიხვეჭე, რომ სამხედრო ქარხანაში გამამწესეს. ჩემს თავს სიტყვა მივეცი, ასეთი ნდობისათვის სამაგიერო სიკეთით გადამეხადა. ყუმბარებს ვამზადებდი და ფრონტს ვუგზავნიდი. ჩემი ხალისიანი მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩათ. ქების სიგელით დამაჯილდოვეს.

ერთხელ ჩვენს ქარხანაში ჯაშუში შემოძვრა, ოსტატის სახელით მოგვევლინა. საქმის ჩინებულმა მცოდნემ, მალე ყველასთან კეთილ-

განწყობილება დაიმსახურა, მაგრამ მის ავკაცობაში ეჭვი არ შემპარვია. საიდუმლოდ ვზვერავდი, მის ყოველ მოქმედებას სიფრთხილით ვადევნებდი თვალს და აი, ერთხელ, როდესაც ქარხნის აფეთქება განიზრახა, შევებრძოლე. დანით დამჭრა სახეში. მასზე ძლიერი აღმოვჩნდი და მისი განიარაღება შევძელი, შევიპყარი. ხმაურზე და ყვირილზე შემოსწრებულ დარაჯებს გადავეცი ოსტატი-ჯაშუში, მე კი მოვნახე და გავაუვნებლე ასაფეთქებელი მანქანა. საქციელი დამიფასეს და დამაჯილდოვეს.

დამთავრდა ომი, მე მაინც განვაგრძობდი დაუღალავ მუშაობას. სასჯელის ვადა შემიმცირეს, შემდეგ მთლად განმათავისუფლეს და საბჭოთა ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქის პასპორტით აღმჭურვეს. ჩემთვის ეს პასპორტი ამჟამად ფასდაუდებელ განძს წარმოადგენს, ჯანმრთელობა ცოტა შემერყა, თორემ... სამხრეთი ვამჯობინე საცხოვრებლად და აი, ახლა აქ ვმუშაობ ქალაქის განაპირას ერთ-ერთ ქარხანაში,

ვერონიკამ არ დაუმალა იურის თავისი ცხოვრების გზაზე ნახულ-განცდილი, ყველაფერი მოუყვა, მხოლოდ ის კი არ გაუმჟღავნა, რომ ლოთი, ავაზაკი და სახედაკარგული იყო, არც კირა ზაბორასა და სვეტლანაზე უთხრა რამე.

იური უსმენდა ქალს, მის წუხილსა და ტანჯვას განიცდიდა. ხედავდა, რომ ეს ბოროტებითა და გესლით აღსავსე ადამიანი მაინც დედა იყო და შვილის გახსენებამ მის გულში ნათელი გრძნობები ააბჟუტა.

— იცი რა, ვერა, ჩვენი ბავშვი არ მომკვდარა. ის ახლაც ცოცხალი უნდა იყოს.

— რას ამბობ, რას? შენს ჭკუაზე ხარ? შენ არ მითხარი მაშინ, რომ ჩვენი გოგონა შიმშილით მოკვდაო? შენ არ იყავი, რომ მითხარი, რძე არსად იშოვებოდა და გამხმარი პურის ნახორხლებით ხომ ვერ დავაპურებდი ძუძუმწოვარ ბავშვსო?

— მართალია, მე გითხარი, მაგრამ მაშინ ფიქრის დრო არ მქონდა. შენ უგონოდ იყავი, მე არ შემეძლო ბავშვის მოვლა, განსაკუთრებით კი კვება. განწირული იყო სასიკვდილოდ. შევიტყვე, რომ ბავშვთა სახლები მოეწყოთ, სადაც თავს უყრიდნენ უპატრონო ბავშვებს. ჩვრებში გახვეული ბავშვი საბავშვო სახლის ახლოს, ღობის ძირას მოვათავსე და შორიდან ვუთვალთვალე, ერთმა მოხუცმა მანდილოსანმა მიაქცია ყურადღება, აიყვანა და საბავშვო სახლს მიჰგვარა. შემდეგ ერთი მომვლელი ქალი გავიცანი და ხშირად ვნახულობდი ხოლმე ჩვენს გოგონას.

— როდესაც კარგად გავხდი, რატომ მაშინ არ მითხარი ეს ყველაფერი, რად დამიმალე?

— არა, თქმა არ შემეძლო, შენ რომ გაგეგო, არ დატოვებდი, გამოიყვანდი. ჩვენ თვითონ მაწანწალების დღეში ვიყავით, სახლკარი არ გვებადა და უმწეო ბალღი შემოგვაკვდებოდა. მე ვფიქრობდი, როდესაც წამოიზრდებოდა, დაქალდებოდა და ჩვენი ზრუნვა ნაკლებ საჭირო იქნებოდა, მაშინ გაგიმჟღავნებდი საიდუმლოს, მაგრამ ჩვენ დავცილდით და ამის შემდეგ ერთმანეთის გზაკვალი დავკარგეთ. მოზდოკში დავბრუნდი, ხანდახან ჩავდიოდი ხოლმე ბავშვის სანახავად. გოგონა იზრდებოდა. მომვლელი ქალი მაძლევდა მისი ნახვის საშუალებას. ექვსი წლისა იქნებოდა, როდესაც ბავშვი დაიკარგა. საბავშვო სახლის მესვეურები ამ ამბავმა ძალიან შეაწუხა. ეძებეს, მაგრამ ამაოდ. მე მაშინ ბოშათა ბანაკს მივეკედლე. ოთხი წლის შემდეგ, სრულიად შემთხვევით მივაგენი ბავშვს. ეკლესიის ეზოში, ჩამოფხრეწილ-ჩამოძენძილი, ჭუჭყიანი მათხოვრობდა. იმავე ღამეს მოვიცალე და ბოშებთან მივიყვანე. არ ვეუბნებოდი, რომ მამა ვიყავი. რამდენიმე წლის შემდეგ საზღვარგარეთ გადავიხვეწე. ბოშები ჩემთან კარგად განწყობილებაში იყვნენ. აღმითქვეს, რომ მოუვლიდნენ. ლამაზი ქალი დადგა, კოხტა. მისი სიმღერებითა და ცეკვით ყველა აღტაცებაში მოდიოდა.

იური დადუმდა. ვერონიკა თვალებდაჭყეტილი მიშტერებოდა. შემდეგ უცებ წამოხტა.

— იური, ამ წუთში წავიდეთ, მოვძებნოთ ჩვენი შვილი.

— იცი რა, ვერა? ჩვენი აზა...

— აზა! – იყვირა ვერონიკამ.

— ჰო, მას ბოშათა ბანაკში აზა სუმბარი შევარქვი. საბავშვო სახლში კი, ვინაიდან ღობის ძირში იყო მიგდებული...

— კირა ზაბორა!

— საიდან იცი მისი სახელი? — გაიკვირვა იურიმ.

ვერონიკა წამოდგა. მისი სახე ისეთ ტანჯვას გამოხატავდა, რომ ქვასაც კი აატირებდა. იგი ბარბაცით გაემართა მისთვის განკუთვნილ ოთახისაკენ, შევიდა და ლოგინზე დაეშვა.

— შვილო, საყვარელო შვილო, რატომ არ წამოდგები საფლავიდან და თვალებში არ ჩააფურთხებ შენს უღირს, კაციჭამია დედას, მე, მე მოგიღე ბოლო, მე გაგწირე.

ვერონიკას თვალწინ გაირბინა წარსულმა. როგორ შეხვდა კირა ზაბორას საპატიმროში, როგორ გამოიპარნენ. ახალგაზრდა, თექ-

ვსმეტი წლის ობოლი, უპატრონო როგორ დააყენა გარყვნილების, ლოთობისა და ავკაცობის გზაზე, როგორ ელტვოდა საბრალო პატიოსან ცხოვრებას, შრომით მოპოვებულ ტკბილ ლუკმას, მაგრამ ეს ვერაგი დედაკაცი გასაქანს არ აძლევდა. სამამულო ომის დროს გოგო გაიპარა, სასახელოდ იბრძოდა, ჯილდოებით საკვსე დაბრუნდა; ისევ მიაგნო ვერონიკამ, ხელახლა გამოთიშა ცხოვრებას და შემდეგ როგორ მოჰკლა ის უბედური ვადიმ ურალოვმა სცენაზე.

— რა ვიცოდი მაშინ, მე უბედურმა, თუ შენ ჩემი შვილი იყავი. რა ვიცოდი, რომ ყველა იმ ბოროტებას, რომელსაც შენ გაყენებდი, საკუთარ თავს ვაყენებდი. განა ოდესმე წარმოვიდგენდი, თუ ასე სასტიკად იძიებდა შურს ცხოვრება ყველა იმ საშინელებისათვის, რაც მე ჩამიდენია? შვილო, ჩემო კირა, ჩემო აზა, სად ხარ? ადექი საფლავიდან, მოდი მითხარი, რომ მე დედა კი არ ვიყავი, არამედ ცოფიანი მგელი, რომელიც თავისიანებსაც კი არ ინდობს, მაგრამ ვაი უბედურს, რა ვიცოდი მაშინ, განა კი წარმოვიდგენდი ამას? განა ოდესმე ამ უბედურ თავში მომივიდოდა აზრად, რომ საკუთარ შვილს, ჩემს ნაშობს ლეშად ვაქცევდი? არა, მორჩა, კმარა, რაც დედამიწა დავამძიმე, სიცოცხლის ღირსი აღარა ვარ, ჩემთვის მზე უკვე ჩასვენდა, წყვდიადმა მოიცვა ჩემი არსება.

ყაზარმა დააპირა, ვერონიკას გამოლაპარაკებოდა, რომ ხმაური მოესმა. ჭიშკარს გახედა და ეზოში მილიციის სამი თანამშრომელი შემოვიდა. სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების მუშაკები გუცა დარბაისელი და სურენ კონდახჩიანი იყვნენ, უბნის რწმუნებული მოყვებოდა გვერდით. ყაზარი შეშინდა, საჩქაროდ ჩავიდა ეზოში, ღიმილით მიეგება.

— გამარჯობა, ყაზარ წყალობიჩ, — მიესალმა უბნის რწმუნებული.

— ღმერთმა გაგიმარჯოს, მობრძანდით. ზიარების მადლმა, ძალიან გამიხარდა თქვენი დანახვა.

თანამშრომლები აივანზე ავიდნენ.

ხმაურზე ვერონიკა წამომდგარიყო.

— ყაზარ წყალობიჩ, აკი სთქვი, ჩემთან უცხო არავინ არისო? — შეეკითხა უბნის რწმუნებული.

— სრაზუმ არ მომაგონდა. ერთი მოხუცებული ქალია, შორეული ნათესავი.

თანამშრომლები ვერონიკას ოთახში შევიდნენ.

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — შეეკითხა გუცა დარბაისელი.

— მე ის ვარ, ვისაც თქვენ დაეძებთ. ვერონიკა ნიკოლოზის ასული ხრაპი, უკანასკნელი შავვარდოსანი. დამაპატიმრეთ, — ვერონიკა გაბრუნდა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო, კარადა გახსნა, იქიდან თავისი კაბა და პარკი გამოიღო.

როდესაც პარკს პირი მოხსნა და წამოაპირქვავა, მაგიდაზე ოქროები გადმოიყარა. ყველა განცვიფრებით შეჰყურებდა ოქროებს.

— დანა მომეცით, მოითხოვა ვერონიკამ, — თუმცა მე უკვე პატიმარი ვარ და დანას არ მანდობენ, თქვენ თვითონ გაარღვიეთ კაბის ნაოჭები, იქ ბრილიანტებია ჩაკერებული. ეს ოქროს ვარსკვლავიც, სოციალისტური შრომის გმირის საპატიო ნიშანი, მოპარულია.

■ ■ ■

ვერონიკა ახალი წაყვანილი ჰყავდათ მილიციის სამმართველოში, როდესაც ბათუმიდან ზურაბ ლომაური და არჩილ ჩოხელი დაბრუნდნენ.

თბილისში ახალი ამბავი დახვდათ. დუშეთიდან რეზო წიკლაურს ირემაძის პირით შემოუთვლია: ძერა ჩამოფრინდა ბრუციანთან და დაეშურეთ, არ გაგიფრინდეთო.

— მარტო წახვალ, თუ გაგაყოლო ვინმე? — შეეკითხა არჩილს ლომაური.

— მარტო წავალ. საჭირო თუ შეიქნა, რაიონიდან წავიყვან. ვიცი, მილიციის უფროსი წამოვა ჩემთან ერთად.

შუაღამე გადასულიყო, როდესაც არჩილ ჩოხელი რაიონის მილიციაში მივიდა.

— როდის იყო თქვენთან რეზო წიკლაური? — ჰკითხა მილიციის უფროსს არჩილმა.

— გუშინ საღამოს. მიხა ცალთვალა ლევანასთან არის ჩამოსული. ცხვარი ლომისის ზევით, ზეგანზე უყენიათ.

— ნუთუ კიდევ წაგვივიდა ხელიდან? — რამდენიც არ უნდა ვდიოთ, ვეღარ მივეწევით.

არჩილს ჯავრი მოუვიდა თავის თავზე, რომ რეზოს დაუჯერა და მისვლისთანავე არ მიადგა ლევანის ბინას.

— ნუ მირბიხართ, დაიღლებით, ნელა იარეთ, ვეღარსად წაგვივა, — რეზომ ღიმილით მიმართა არჩილს და მილიციის უფროსს.

როდესაც მდევრები პატარა გორაკზე ავიდნენ და ტაფობს გადახედეს, თვალწინ საინტერესო სურათი წარმოუდგათ: მიხა ბალახზე იჯდა, ირგვლივ ნაგაზები ჩამომწკრივებულიყვნენ, თვალებში შესცქეროდნენ, ძაღლების პატიმარს ხელის განძრევის ილაჯი არ ჰქონდა, საკმარისი იყო ოდნავ მოძრაობა, რომ მათ ბასრ კბილებს ვეღარ გადაურჩებოდა. იმ საძაგლებმა კი უმთავრესად ყანყრატოში იცოდნენ კბილების გაყრა. ასე ებრძოდნენ მგლებს და განა მიხაც მგელთაგანი არ იყო?

— მგელს ძაღლები უნდა მიუსიო, აბა როგორ! — გაიცინა რეზომ.

— ქარუმ ფეთქაურს ვახლავარ, მიმართა მას არჩილ ჩოხელმა. ქარუმ ფეთქაურის ხსენებაზე მილიციის უფროსი და რეზო გაოცდნენ. არჩილმა შეხედა მათ, გაიცინა და განუმარტა:

— ეს ვაუბატონი ბოროტმოქმედთა წრეში ქარუმ ფეთქაურის სახელით იყო ცნობილი.

— რა თქმა უნდა, უარს იტყვი, რომ სვეტლანა არ მოიტაცე, აწამე და ზღვაშიც კი გადააგდე. იმასაც იცრუებ, რომ ბათუმისა და სოხუმის მიდამო აკლებული გქონდათ, ალბათ ბიძაშენ კაპლოს მოკვლასაც უარყოფ. ნუ გიკვირს, ჩვენ ბევრი სხვა შენი ნამოქმედარიც ვიცით. დეიდა ვერონიკა და დანიელ ბოშაც გელიან.

მიხას აღარაფერი ჰქონდა სათქმელი. დეიდა ვერონიკასათვისაც მიუგნიათ, დანიელ ბოშაც დაუპატიმრებიათ, ვიღა დარჩა? არავინ, მას დაენანა თავისი თავი, უმიზნოდ გატარებული ცხოვრება ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, რამდენი ცოდვის ჩადენა მოასწრო, რომ არავითარი მიტევების იმედი აღარ ჰქონდა. ადამიანური დაპატიმრებაც კი არ ეღირსა, ძაღლები გამოუყენეს. მეცხვარის ქოფაკმა ბომბორა ნაგაზებმა შეიპყრეს, როგორც მგელი და არა როგორც ადამიანი. მას ეგონა, ქვეყანას ააფეთქებდა, შურს იძიებდა პაპისა და მამის სიკვდილისათვის, მაგრამ ამ ჭიაყელას, რომელიც ოცნებობდა სპილოდ გადაქცევას, ის არ გამოუვიდა, რასაც ელტვოდა. იმ ლაღუმით მხოლოდ საკუთარი თავი, საკუთარი ცხოვრება, საკუთარი მომავალი ააფეთქა.

ერთი თვე გავიდა. გამომძიებელი უკვე ამთავრებდა გამოძიებას. ბრალდება მტკიცე და ურყევი იყო. ბოროტმოქმედნი მკაცრ განაჩენს ელოდნენ.

პოლკოვნიკ ზურაბ ლომაურის კაბინეტში კი კვლავ ოპერატიული თათბირი იყო. ნაცადმა ხელმძღვანელმა თანამშრომლებს დაწვრილებით გააცნო ხუტა გაწერელიას მიერ ჩატარებული მუშაობა და არსებული განაჩენი, რომელიც სისრულეში მოყვანილ იქნა.